1131 /13-325

# კვირის პალიტრა

## ყოველკვირეული დაიჯესტი

18 გვ.

ყველა გაზეთი ერთ გაზეთში

№ 26 (63) ◆ 1-7 ივლისი ◆ ფასი 40 თეთრი ◆ A & B დაარსებულია 1995 წ.

(37) VII-IX

პარლამენტმა დაუნიშნავ-დაუმტკიცებელი კონტროლის პალატის თავმჯდომარე რევაზ შავიშვილი ორიოდ წუთში, სასწაულმოქმედი პულტების მეშვეობით დანიშნულ-დამტკიცებულად აქცია, თანაც 5 წლით.

☞ გვ. 3



**როდიონოვი იმ შემთხვევაში დათანხმდება თავდაცვის მინისტრის პოსტს, თუ რუსეთის ხელისუფლება ოფიციალურად აღიარებს მის უდანაშაულობას 9 აპრილის ტრაგედიაში.**

უმაღლესი ჩინოსნების გადაყენებას კარგა ხანია ელოდნენ რუსეთის თავდაცვის სამინისტროში, პოლიტგენერალი ლებედი ტყუილად ხომ არ ასახელებდა მითური „გკჩპ-3“-ის მონაწილეებს.

ჰოდა... აფოსხეს ბუდიდან გრაჩოვის ბარტყები... – თავდაცვის სამინისტროს 7 უმაღლესი გენერალი გადააყენეს...

გერმანიიდან საქართველოში 40-მდე ტონა ჰუმანიტარული დახმარება გამოგზავნა გერმანიის ფეხბურთის ფედერაციამ.

☞ გვ. 4

## გერმანია

ევროპის 1996 წლის ჩემპიონი

**გერმანია 2 : 1 ჩეხეთი**

30 ივნისი, ლონდონი, უემბლის სტადიონი

მსოფლიოსა და ევროპის ჯადოქრული ფეხბურთის კლანები დიდი ხანია, ბატონობენ ფეხბურთის ასტრალიკაში. ფაქტობრივად, ბოლო 40 წელი საფეხბურთო ბრძოლა მინდორზე კი არა, ოკულტურ სამყაროში ხდება.

☞ გვ. *12*



ფიროსმანის ნამუშევრები ნახა 400 ათასმა შვეიცარიელმა და ესპანელმა ფერწერის მოყვარულმა და, როგორც გავიგეთ, დიდი სიამოვნებაც მიიღეს, მაგრამ, მა, ნიკალას რაღა?!

☞ გვ. 3

*სადღეისოდ რფ-ში ოფიციალურად აღრიცხულია 3 600 000 სულით ავადმყოფი. მოსკოვის №1 საავადმყოფო კი, სადაც 3 ივლისს საარჩევნო ურნებს დადგამენ, მზადაა არჩევნებში მონაწილეობისათვის.*

ნტვ

50 ათასი რუსი „დეტდომელიდან“ ყოველი მეათის ცხოვრება საპატიმროდან იწყება.

☞ გვ. 7

სერბიის ლიდერმა რადოვან კარაჯიჩმა ოფიციალურად განაცხადა თავისი გადადგომის შესახებ და ქვეყნის სადავეები ვიცე-პრეზიდენტს გადასცა. თუმცა, დასავლეთი ჯიუტად უბიძგებს საბრალდებო სკამისკენ, სექტემბერში იგი საპრეზიდენტო არჩევნებში აპირებს მონაწილეობას და თავისი ხალხის მტკიცე მხარდაჭერის რეალური შანსიც აქვს.

2X2, ნტვ

პარიზის რესპექტაბელურ გარეუბანში უბედურება დატრიალდა. პირველივე წუთებიდან ნათელი გახდა, რომ მკვლელი დედა იყო...

☞ გვ. 7

**ჩემს სიკვდილში ნურავის დაადანაშაულებთ. მე ვარ ზომბი №3124. მე კომპიუტერებმა მომკლეს, — ეს წერილი ნახეს დაღუპულის ბინაში.**

☞ გვ. .16

პარლამენტმა ფარული კენჭისყრის შედეგად აცილება მისცა სახალხო დამცველის თანამდებობაზე სანდრო კავსაძის კანდიდატურას.

☞ გვ. 3

თბილისის პოლიციის სამმართველოს უფროსი დემურ მიქაძე ავტონომიას მოითხოვს, რაც ხელს შეუწყობს პირადი შემადგენლობის უკეთ გაკონტროლებას.

კომერსანტი №8

– არჩევნებში გაიმარჯვებს ელცინი;

– ჩეჩნეთის ომი აგვისტოზე ადრე არ დასრულდება;

– პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვა ახალი პიროვნება;

– დუდაევი არ დაღუპულა, იგი თურქეთში იმალება.

ბრძანებს კრემლის ექსტრასენსი.

☞ გვ.. 16

*იორდანიაში მიკვლეულია ქალის ფორმის მარილის სვეტი, რომელიც ბიბლიური ლოთის ცოლს მოგვაგონებს.*

☞ გვ. *12*

— ჰომოსექსუალისტებისა არ მესმის. ეს ხომ ადამიანის ღირსებას შეურაცხყოფს, თანაც, არაბუნებრივია. ის კი არა, შარვლიან ქალსაც ვერ ვეგუები, — ამბობს ადრიანო ჩელენტანო.

☞ გვ. 17

თბილისის სამრეწველო კოლეჯი

იწვევს სასწავლებლად 9 და 11 კლასდამთავრებულ ახალგაზრდებს შემდეგ სპეციალობებზე:

1. საგადასახადო, საბანკო და კომერციული სამსახურის საბუღალტრო აღრიცხვა;
2. კვების პროდუქტების ტექნოლოგია (პურისა და მაკარონის წარმოება);
3. ავტოტექმომსახურების უმცროსი ინჟინერ-მექანიკოსი.

კოლეჯში სწავლა უფასოა, დამთავრების შემდეგ სამუშაოდ განაწილდებიან შესაბამისად, ვაჟებს ეძლევათ სამხედრო სამსახურიდან გადავადება არსებული წესის მიხედვით.

*საბუთების მიღება 25 აგვისტომდე*

*ჩარიცხვა გასაუბრებით*

*მისამართი: ჯიქიას ქ. №3 (ქავთარაძის ქუჩის ბოლოს)*

*ტელ.: 31-03-82*



ამ, და სხვა კინოვარსკვლავებს შეხვდებით ტელეეკრანზე 1-დან 8 ივლისამდე.

☞ გვ. 9



**გილოცავთ**, თქვენ კითხულობთ "კვირის პალიტრას", თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!

ბანკები და ფინანსები

დილის გაზეთი

ЕЖЕНЕДЕЛЬНАЯ ГАЗЕТА

За РУБЕЖОМ

КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА

Коммерсантъ daily

МК

Newsweek

საქართველოს რესპუბლიკა

СЕГОДНЯ

სრულიად არასაიდუმლოდ

ТАЙНАЯ ВЛАСТЬ

ТВ ПАРК

ФИНАНСОВЫЕ ИЗВЕСТИЯ

Труд

FOCUS

შანსი

stern

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კვირიდან კვირამდე

⊙ *საქართველოს საპატრიარქომ* გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამია: საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის დადგენილებით, სასულიერო პირისათვის შეუფერებელი ქმედების გამო, დეკანოზი ვასილ მკალავიშვილი განიკვეთა სამღვდელოებიდან. მიუხედავად ამისა, ვასილ მკალავიშვილი არ წყვეტს უკანონო საქმიანობას. ახლახან მან განაცხადა, რომ დააარსა გლდანის მართლმადიდებელი ეპარქია და იმოგზაურა ათენში, სადაც არსებულმა ეკლესიათა წმინდა სინოდმა ცნო ხსნებული გლდანის ეპარქია.

*ცნობისათვის: ახალი ეპარქის დაარსება ხდება საქართველოს საეკლესიო კრების, ან წმინდა სინოდის დადგენილებით და მღვდელმთავარსაც მარტო ის ნიშნავს. ასე რომ, ე.წ. გლდანის ეპარქია არის თვითმარქვია მღვდლის თვითნებურად გამოცხადებული მორიგი სიცრუე. რაც შეეხება ბერძნული ეკლესიის წმინდა სინოდის მიერ მის აღიარებას, ეს ინფორმაცია არასწორია. ერთი ავტოკეფალური ეკლესია არავითარ შემთხვევაში არ ერევა სხვა ავტოკეფალური ეკლესიის შინაურ საქმეებში.*

⊙ *საქართველოს უზენაესმა სასამართლომ* 15 და 16 წლით პატიმრობა მიუსაჯა ზურაბ და ნუგზარ ფაჩულიებს, რომლებსაც ბრალი დაედოთ სამშობლოს ღალატში, ეროვნებათშორის შუღლის გაღვივებასა და ბანდიტიზმში. ფაჩულიები აქტიურად მონაწილეობდნენ ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში. საომარი მოქმედებების დამთავრების შემდეგ ძარცვავდნენ და იტაცებდნენ გალსა და ოჩამჩირეში მცხოვრებ ქართველებს, უწვავდნენ სახლებს.

⊙ *იმავდროულად,* აფხაზ სეპარატისტებს მძევლად ჰყავთ გალის რაიონის რამდენიმე მცხოვრები და ითხოვენ ფაჩულიების გათავისუფლებას.

გალის რაიონის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა რუსლან ქიშმარიამ განაცხადა, რომ აღნიშნული პირები ბანდიტური დაჯგუფებების წევრები არიან და მათ საქმეს იძიებს თვითმარქვია რესპუბლიკის პროკურატურა.

⊙ *ედპ-ს პრესცენტრმა გაავრცელა განცხადება,* რომელშიც ნათქვამია, რომ „ბოლო დროს საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში მომხდარი მოვლენების გაშუქებისას საინფორმაციო საშუალებების მიერ დაშვებულ იქნა შეცდომა, კერძოდ, პარტიიდან გარიცხულ პირებს კვლავ მოიხსენიებენ პარტიის წევრებად. ედპ არის ერთი მთლიანი ორგანიზაცია, რომლის თავმჯდომარეა ირინა სარიშვილი-ჭანტურია. ამიტომ, ვთხოვთ ჟურნალისტებს, ედპ-ს ნუ გააიგივებენ საპარლამენტო ფრაქცია „ეროვნულდემოკრატთან“ და პარტიიდან გარიცხულ პირებთან, წინააღმდეგ შემთხვევაში, პასუხისმგებლობა მათ დაეკისრებათ.

⊙ *გერმანიაში საქართველოს ელჩმა კოტე გაბაშვილმა* გაზეთ „დი ველტისათვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ საქართველო ის ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკაა, რომელიც გერმანიას დაუბრუნებს მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანიიდან ნადავლად წაღებულ კულტურის ნიმუშებს.

შემდეგ გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საქართველო გერმანიას ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე უბრუნებს გერმანული კულტურის საგანძურს და ამ საქმეში დიდი დამსახურება მიუძღვის ედუარდ შევარდნაძეს.

გერმანიას მართლაც აქვს საბაბი, კიდევ ერთხელ გადაუხადოს შევარდნაძეს მადლობა, — წერს გაზეთი, — მაგრამ საქართველოს ამ გაბედულ ნაბიჯს შეიძლება მოჰყვეს ნეგატიური რეაქცია რუსეთის მხრივ, რომელიც კვლავინდებურად უარს აცხადებს გერმანიისთვის ხელოვნების ნიმუშების დაბრუნებაზე. ეს ნიმუშები რუსეთის მუზეუმთა საცავებში ინახება. გერმანული წიგნები და კულტურის ნიმუშები უკრაინასა და ბელორუსშიც არის დაცული, მაგრამ არც ეს ქვეყნები აპირებენ დაუბრუნონ ისინი პატრონს.

ბატონ გაბაშვილის თქმით, საქართველოში ინახება, ძირითადად, გერმანიაში 18-19 საუკუნეებში გამოცემული უძვირფასესი წიგნები, რომელთა მდგომარეობა მეტნაკლებად დამაკმაყოფილებელია და მალე დაუბრუნდება გერმანიის ბიბლიოთეკებს. აღნიშნული წიგნების ძირითადი ნაწილი საბჭოთა ჯარებმა დრეზდენის საცავებიდან გაიტაცეს, დანარჩენი პრუსიისა და გერმანიის სხვა საცავებიდან.

ნადავლის სახით წაღებული ათასობით წიგნი ჯერ მოსკოვში ჩაიტანეს და მხოლოდ 50-იან წლებში გააგზავნეს თბილისში. წიგნები საბარგო ავტომანქანებზე დაყარეს და ამიტომ ძალზე დააზიანა წვიმამ. თბილისში ჩამოტანის შემდეგ წიგნები მეცნიერებათა აკადემიას გადაეცა, მაგრამ მათ შესანახად ადგილი არ მოიძებნა და წიგნებმა სარდაფში ჰპოვეს „განსასვენებელი“.

⊙ *როგორც ჩანს,* კონტროლის პალატის თავმჯდომარეს რევაზ შავიშვილს, რომელმაც ახლახან განცხადება გააკეთა გადადგომის შესახებ, მოუწევს მოვალეობის შესრულების გაგრძელება. პრეზიდენტმა ე. შევარდნაძემ არ მიიღო მისი გადადგომა და შავიშვილს პოსტზე დარჩენა მოსთხოვა.

⊙ *გასულ კვირას,* პარლამენტმა არ მიიღო პრეზიდენტის მიერ სახალხო დამცველის თანამდებობაზე წარდგენილი სანდრო კავსაძის კანდიდატურა. პარლამენტმა უარყოფითად შეაფასა ბატონ კავსაძის თავმჯდომარეობისას ადამიანის უფლებების დაცვისა და ეროვნებათშორის ურთიერთობათა კომიტეტის საქმიანობა. მიხეილ სააკაშვილმა პარლამენტს გააცნო გაეროს მოხსენება, სადაც შეფასებულია აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებული უმნვავესი საკითხები. დოკუმენტი მთლიანად ბატონ კავსაძის მიერ მომზადებული მასალებით არის შექმნილი და, მცდარ სურათს ქმნის აფხაზეთში შექმნილ ვითარებაზე. პარლამენტს მიაჩნია, რომ ს. კავსაძემ ამოწურა თავისი შესაძლებლობები და ამ პოსტზე სხვა კანდიდატი უნდა დაინიშნოს.

⊙ *საქართველოს ოფიციალურად ეწვია* ჩეჩნეთის პრომოსკოვური მთავრობის დელეგაცია საგარეო ურთიერთობათა მინისტრის რუსლან მადიევის ხელმძღვანელობით. ჩეჩენთა მხარის მტკიცებით, ვიზიტი მიზნად ისახავდა ქართულ-ჩეჩნური ურთიერთობების აღდგენას, რასაც, მათივე თქმით, ხელს შეუწყობს საქართველოში, მოსკოვის მარიონეტის, დოკუ ზავგაევის ოფიციალური ვიზიტი. ჩეჩნებმა სინანული გამოთქვეს აფხაზეთის კონფლიქტში მათი თანამემამულეების მონაწილეობის გამო და განაცხადეს, ჩეჩენი ერი მონანიებს ამ ცოდვასო!

ამ ინფორმაციას საკმაოდ საინტერესო კომენტარი დაურთო რადიო „დოიჩე ველემ“. მიმოხილვაში აღინიშნა, რომ ჩეჩნეთის პრომოსკოვური ხელისუფლების წარმომადგენლის ჩასვლა თბილისში პირდაპირ კავშირშია რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნებთან და რუსეთ-საქართველოს შორის ამ პერიოდში შექმნილ არცთუ სასიამოვნო ურთიერთობასთან, რაც დაკავშირებულია გენერალ ლებედის დემარშებთან. როგორც ჩანს, ჩეჩნეთის პრომოსკოვური და ოპოზიციური ხელისუფლებაც არჩევნების შემდგომ შექმნილ ვითარებაში შეეცდება დასაყრდენი სამხრეთით მონახოს და ამიერკავკასიის ქვეყნებს და რუსეთს შორის ურთიერთობათა გაუარესების შემთხვევაში მისთვის ხელსაყრელი პოზიცია დაიკავოს, — დასძენს „დოიჩე ველე“.

⊙ *1995 წლის ბიუჯეტით* განსაზღვრული თანხის გარდა, უკანონოდაა დახარჯული 93 მილიონი ლარი, — განაცხადა პარლამენტის საბიუჯეტო-საფინანსო კომიტეტის თავმჯდომარემ ზაზა სიორიძემ და დასძინა, რომ თუ აღნიშნული თანხის გაფლანგვის ფაქტი დადასტურდა, საქმე პროკურატურას გადაეცემა.

⊙ *გასულ კვირას,* ბათუმის ნავსადგურში შემოვიდა აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების სადესანტო ხომალდი „ტორდუგა“. ბიბისის თქმით, „მართალია, ამერიკელ მეზღვაურთა ვიზიტი ქართველ კოლეგებთან გამოცდილების ურთიერთგაზიარებას ისახავს მიზნად, მაგრამ თავად ეს ვიზიტი ბევრისმთქმელი უნდა გახდეს ამიერკავკასიის ამ საკვანძო სახელმწიფოს მეზობლებისათვის“.

⊙ *საქართველოს განათლების სამინისტროსთან* მოეწყო პედაგოგთა საპროტესტო აქცია, რომლებიც მოითხოვდნენ აღნიშნული სამინისტროს იმ ბრძანების გაუქმებას, რომელიც შრომის უფლებას ანიჭებს მხოლოდ კვირაში ცხრასაათიანი დატვირთვის მქონე პედაგოგებს. ამავე ბრძანების თანახმად, კვირაში ერთი-რვა საათის მქონე პედაგოგები შემცირდებიან.

⊙ *საქართველოს მონარქიულ-კონსერვატიული* პარტიის თავმჯდომარის, თემურ ჟორჟოლიანის ადვოკატმა თემურ გოქსაძემ კასაცია შეიტანა სამგორის რაიონის სასამართლოში. თემურ ჟორჟოლიანი, გასამართლების შემდეგ (მას ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს), იმყოფება ორთაჭალის ციხის 104-ე საკანში.

⊙ *საქართველოს გაერთიანებული* პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ნოდარ ნათაძემ საქართველოს ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ რუსეთი აღარ მალავს განზრახვას, გავლენის ქვეშ ჰყავდეს აფხაზეთი. რუსეთის ერთ-ერთი მიზანია საქართველოზე გამავალი ე.წ. „აბრეშუმის გზის“ გადაკეტვა. ბატონმა ნათაძემ გააკრიტიკა ევროპის უშიშროების და თანამშრომლობის ორგანიზაციის პროექტი აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების თაობაზე და დასძინა, რომ ეს არის შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ.

⊙ *საქართველოს პარლამენტმა* პირველი მოსმენით მიიღო კანონპროექტი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის შესახებ. აღნიშნული კანონი მოაწესრიგებს ურთიერთობებს მიწისმფლობელ სუბიექტებს შორის. მეწარმე იქნება არა მიწის მეპატრონე, არამედ მოიჯარე და მის საკუთრებად ჩაითვლება როგორც სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, ისე მოწეული მოსავალი, რომლის განკარგვაც მას სურვილისამებრ შეუძლია.

⊙ *სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის შესახებ* მიღებული კანონი კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია, რომელიც წერტილს დაუსვამს ქვეყანაში გამეფებულ იმ უკანონობას, რომელიც ამჟამად არსებობს სოფლის მეურნეობის დარგში, — განაცხადა სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრმა ბაკურ გულუამ. მისი თქმით, დღეისათვის პრივატიზებულია 705 ათასი ჰა მიწა, მაგრამ მოსახლეობას უსახსრობის გამო არ შეუძლია მისი დამუშავება. მიღებული კანონი მათ საშუალებას მისცემს იჯარით გასცენ საკუთარი მიწები, რაც უზრუნველყოფს როგორც სოფლის მოსახლეობის დასაქმებას, ისე სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებას.

⊙ *გაუქმდა თბილისის მერიასთან* არსებული ლიცენზირების პალატა. ეს გადაწყვეტილება არის კორუფციის წინააღმდეგ მიმართული კიდევ ერთი ნაბიჯი, — განაცხადა ბრიფინგზე პარლამენტის დროებითი კომისიის თავმჯდომარემ, გიორგი ბარამიძემ. მისი თქმით, 1995 წ. სექტემბერში, მერიის მიერ მიღებული დადგენილების საფუძველზე შექმნილი ლიცენზირების პალატა უკანონო ორგანო იყო, რადგან ლიცენზირების უფლება აქვთ მხოლოდ შესაბამის სამინისტროებს. მეწარმე კი, იძულების წესით, ორ ადგილას იღებდა ლიცენზიას, მათ შორის, თბილისის მერიაში წელიწადში რამდენჯერმე.

განვლილი 9 თვის განმავლობაში მერიის ლიცენზირების პალატამ 22 ათასი ლიცენზია გასცა, რომლისაგანაც მიღებულმა შემოსავალმა ქალაქის ბიუჯეტის მხოლოდ 2.5 პროცენტი შეადგინა. ბატონი ბარამიძის თქმით, გენერალური პროკურორის მოადგილემ ალექსანდრე შუშანაშვილმა განაცხადა, რომ უკვე საკმაო მასალაა სისხლის სამართლის საქმის აღძვრისათვის. ბარამიძემ ისიც ბრძანა, რომ მეწარმეებს სრული უფლება აქვს უჩივლონ თბილისის მერიას მორალური და მატერიალური ზარალის მიყენების გამო და მოითხოვონ კუთვნილი თანხები.

⊙ *საქართველოსათვის არა აქვს მნიშვნელობა,* ვინ გაიმარჯვებს რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნებში, ელცინი თუ ზიუგანოვი, — განაცხადა თავისუფლების პარტიის გამგეობის წევრმა გიორგი ტაბიძემ. მისი აზრით, რუსეთში ჭეშმარიტი დემოკრატები არიან იავლინსკი და გაიდარი. ზიუგანოვსა და ელცინ-ლებედს შორის არჩევანის გაკეთებას აზრი არა აქვს და საქართველოსათვის ყველაზე ოპტიმალური ვარიანტია სნგ-ს შემადგენლობიდან გასვლა, ჩვენი ტერიტორიიდან რუსეთის ჯარების გაყვანა და დასავლეთთან ურთიერთობის კიდევ უფრო განმტკიცება.

ბატონმა ტაბიძემ პრორუსული ორიენტაციისათვის სასტიკად დაგმო გენერალ ნადიბაიძის საქმიანობა.

⊙ *აუცილებელია* მჭიდრო კონტაქტების აღდგენა-განვითარება ჩრდილოკავკასიელ ხალხებთან, — განაცხადა კავკასიის ხალხებთან ურთიერთობების საპარლამენტო ჯგუფის ხელმძღვანელმა მამუკა არეშიძემ, ახმეტის რაიონში, პანკისის ხეობაში ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრისას, სადაც მრავალი ქისტი ცხოვრობს. ბატონმა არეშიძემ მოსახლეობას გააცნო დამუშავების სტადიაში მყოფი საპარლამენტო პროგრამის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ახმეტის რაიონში ეკოლოგიური და ნარკობიზნესის პრობლემების მოგვარებას.

⊙ *24 ივნისს,* თბილისში, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის წარმომადგენლობასთან აქცია გამართა საქართველოს ჰელსინკის კავშირმა და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ასოციაციამ, რომელშიც მონაწილეობდნენ ჰელსინკის კავშირის წევრის, ამჟამად სიკვდილმისჯილი ბადრი ზარანდიას ნათესავები. მათ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის წარმომადგენლობის ხელმძღვანელს დენის ქორბოის გააცნეს ინფორმაცია ზარანდიას ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის შესახებ და გადასცეს სასიკვდილო განაჩენის გაუქმების მოთხოვნის ტექსტი.

დენის ქორბოიმ განუცხადა შეკრებილთ, რომ წარმომადგენლობა არ არის უფლებამოსილი ჩაერიოს საქართველოს იურიდიულ საქმეებში.

სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაში გამოთქმულია შეშფოთება, რომ ხელისუფლებამ შეიძლება სასიკვდილო განაჩენი გამოუტანოს სხვა პოლიტპატიმრებსაც. ასოციაცია მოითხოვს უკანონო განაჩენის გაუქმებას ბადრი ზარანდიას, აგრეთვე, პეტრე გელბახიანისა და ირაკლი დოკვაძისათვის. ორ უკანასკნელს დახვრეტა მიუსაჯეს ჯაბა იოსელიანის წინააღმდეგ განხორციელებული ტერორისტული აქტის ბრალდებით.

⊙ *გასულ კვირას,* საქართველოს უმაღლესმა სასამართლომ დახვრეტა მიუსაჯა დედა-შვილ მაისურაძეების მკვლელობის ორგანიზატორსა და მონაწილეს იოსებ დრობიშევს. 1995 წლის აპრილში იოსებ და ვეფხია დრობიშევები გურამ პეტრიაშვილთან, დავით თვაურთან და მინდია მორგუევთან ერთად თავს დაესხნენ მაისურაძეების ოჯახს. მოკლეს 75 წლის ეკატერინე მაისურაძე და მისი 45 წლის შვილი ნელი მაისურაძე. ამ საზარელი დანაშაულის დანარჩენ 4 მონაწილეს ხანგრძლივი ვადით პატიმრობა მიუსაჯეს.

⊙ *წინასწარ პატიმრობაში მყოფმა,* საქართველოს უშიშროების სამსახურის სპეცდანიშნულების რაზმის „ომეგას“ ყოფილმა უფროსმა, ნიკა კვეზერელმა მიმართვა გაუგზავნა პრეზიდენტს, პარლამენტის სპიკერს, გენერალურ პროკურორსა და შინაგან საქმეთა მინისტრს, სადაც აცხადებს, რომ უდანაშაულოა და მოითხოვს შეიქმნას დამოუკიდებელ იურისტთა კომისია.

ნიკა კვეზერელს ბრალი ედება 29 აგვისტოს ტერორისტული აქტის განხორციელებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფიროსმანი მოგზაურობს – მაგრამ, „მა ნიკალას რაღა“?

უკვე კარგა ხანია, რაც ქართული სახვითი ხელოვნების შედევრები, დიდი ნიკო ფიროსმანაშვილის ნახატები, საზღვარგარეთ სამოგზაუროდ გაისტუმრეს. ქართველ საზოგადოებას აღელვებს ეროვნული განძის ბედი. აინტერესებს, როგორ შეხვდა უცხოეთი უცნობ სტუმარს, რამდენ ქვეყანაში ნახეს, რა შემოსავალი მოუტანა ამ გამოფენებმა საქართველოს და, კერძოდ, მუზეუმს. ამ, და კიდევ სხვა, საკითხებზე გვესაუბრება საქართველოს ხელოვნების მუზეუმის დირექტორი **პროფესორი ნოდარ ლომოური.**

— ფიროსმანის ნამუშევრები ადრეც გამოგვიფენია ყოფილი საბჭოთა კავშირის ქალაქებში, ვარშავაში, პარიზში, იტალიაში, იაპონიაში. მას, ასე თუ ისე, იცნობდნენ, მაგრამ უკანასკნელ წლებში, მიზეზთა გამო, შეფერხდა უცხოეთში გამოფენების მოწყობა; ფაქტობრივად, მხოლოდ შარშან მოხერხდა ორი გამოფენის ორგანიზება შვეიცარიაში, ქალაქ ციურიხში, ესპანეთის ქალაქ სანტიაგოში, რასაც ძალიან დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ამას მოწმობს ის, რომ სხვა ქვეყნებმაც არაერთხელ შემოგვთავაზეს გამოფენის გამართვა.

შემოსავალი დიდი არ არის და, საერთოდ, მსგავსი გამოფენები დიდ შემოსავალს არასოდეს იძლევა. ხშირად გამოფენის მოსურნე ქვეყანა გაიღებს ხოლმე საჭირო სახსრებს; ის ქვეყნები, რომლებიც ციურიხის ხელოვნების სახლში აწყობენ გამოფენას, საიჯარო გადასახადს იხდიან. გამოფენის დამთავრების შემდეგ კი პროცენტს ღებულობენ, რომელიც ძალიან მცირეა, — შემოსავლის 3-დან 5%-მდე.

ჩვენთვის გამონაკლისი დაუშვეს და ხარჯები გაიღო ციურიხის ხელოვნების სახლმა. იგულისხმება სურათების მომზადება, მათი ციურიხში ჩატანა და უკან დაბრუნება. მათვე გადაიხადეს სურათების დაზღვევის თანხა, მოგვცეს 10 ათასი დოლარი. შემდეგ გამოფენა გადავიტანეთ ესპანეთის ჩრდილოეთ პროვინციის ცენტრში, სანტიაგო დე კომპოსტენოში. ამ საკმაოდ ცნობილ ქალაქში, სანტ-იაგოს სახელობის ტაძრის მოსალოცად მთელი წლის მანძილზე ჩამოდიან მორწმუნენი და ამიტომ იქ გამოფენის მოწყობა შესანიშნავი საშუალებაა ხელოვნების პოპულარიზაციისათვის. აქ გადაგვიხადეს 5000 დოლარი. თანაც, გამოიცა კატალოგი, რომელიც იქაც გაიყიდა და ჩვენც დაგვრჩა.

— *ფიროსმანის გამოფენებიდან დარჩენილი და მომავალში მოწყობილი კომერციული გამოფენების შემოსავლიდან თუ მოხერხდება თბილისში ფიროსმანის გალერეის გახსნა?*

— შემოსავალი ძალიან მცირეა. მისი ნაწილი მოხმარდა მუზეუმის ზოგიერთი პრობლემის გადაწყვეტას, კერძოდ, კომპიუტერის შეძენას, ნაწილი — მუზეუმის თანამშრომელთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, აგრეთვე, შევიძინეთ ექსპონატები და ა.შ. საერთოდ, მომავალში კი არის დაგეგმილი ფიროსმანის გალერეის აგება, მაგრამ დღეს ეს ძალიან შორეულად გვესახება. მხოლოდ გამოფენის გზით მიღებული თანხა, რასაკვირველია, ამას ვერ გასწვდება.

— *რამდენი ნახატი წაიღეს გამოფენაზე?*

— გაიგზავნა 32 ნახატი. „ჟირაფი“, რომლის რეპროდუქცია აფიშად და კატალოგის გარეკანად გამოიყენეს, „მეეზოვე“, „გოჭებიანი დედალორი“, „ბატკანი“, „მოქეიფე“, „ოჯახი“, „ორთაჭალის ტურფა“ და სხვ.

არ მოველოდი, ისეთი გამოხმაურება მოჰყვა ამ გამოფენებს, ციურიხის ყველა გაზეთმა დაბეჭდა წერილი რეპროდუქციებითურთ.

— *რამდენი მნახველი ჰყავდა გამოფენას?*

— ზუსტი მონაცემები არა მაქვს, მაგრამ სანტიაგოში ჩამოსულმა ციურიხის გამოფენების კურატორმა ბიჩე კურგერმა მითხრა, — დაახლოებით 300-400 ათასმა კაცმა დაათვალიერაო.

— *საზღვარგარეთ გატანისას, ფიროსმანის სურათების დაზღვევის რა მექანიზმი არსებობს?*

— არსებობს სადაზღვევო კომპანიები, რომლებიც გვთავაზობენ, ცალკე სურათები კი არა, მთლიანად გამოფენა შეფასდეს და დაიზღვიოს. ჩვენ შევისწავლეთ სხვა მხატვართა გამოფენების დაზღვევის სისტემა. თავდაპირველად, შემოგვთავაზეს 300 ათასი დოლარი დაზღვევისა, არ დავეთანხმეთ; საბოლოოდ, 900 ათას დოლარად იქნა დაზღვეული ციურიხში გამოფენის გატანა. იმავე თანხით დავაზღვიეთ გამოფენა სანტიაგოში. ხელოვნების ნიმუშის რეალური ღირებულების შესაბამისად დაზღვევა შეუძლებელია, ფიროსმანის 32 სურათი მილიარდებად უნდა შეფასდეს, რასაც, რასაკვირველია, არავინ გადაიხდის. 900 ათასი დოლარი სადაზღვევო კომპანიისთვის ძალიან მაღალი თანხაა, ამიტომ ის ყველა ზომას იღებს უსაფრთხოების დასაცავად: ამზადებს სათანადო ყუთებს, ათავსებს სურათს უწვად, ტყვიაგაუმტარ კონვერტებში, რომლებიც წყალში არ იძირება. ამრიგად, ყოველგვარი საშიშროება მოხსნილია.

— *ფიროსმანის ნახატების გამოფენა საზღვარგარეთ მომავლისთვისაცაა დაგეგმილი?*

— საფრანგეთმა შემოგვთავაზა ვრცელი გამოფენის მოწყობა. ითხოვენ 60 სურათს. ამასთან, შესაბამისად, რა თქმა უნდა, იზრდება სადაზღვევო თანხა და ის თანხაც, რომელსაც ისინი გადაგვიხდიან.

ესაუბრა ეკა ოთარაშვილი

# ...სენსაცია, სკანდალი, ბატონო რეზო...

## *ანუ ამბავი უკვე დანიშნულ-დამტკიცებული თავმჯდომარისა*

ბატონი რეზო შავიშვილი პარლამენტის სხდომაზე ანგარიშით წარსდგა. სტრუქტურის რეორგანიზაციის პროცესში კონტროლის პალატა ბევრმა კომპეტენტურმა და პროფესიონალმა ადამიანმა დატოვა. განცხადების ძირითად მიზეზს კი, თუმცა, ძალიან მიჭირს და მეუხერხულება ამ პრობლემებზე ლაპარაკი, მაინც მოგახსენებთ — ეს არის დაუნიშნავ-დაუმტკიცებელი თავმჯდომარეობა. მიუხედავად იმისა, რომ მე ყოველთვის მქონდა პრეზიდენტისა და პარლამენტის თავმჯდომარის მხარდაჭერა, ზემოხსენებული პრობლემა მაინც გადაიქცა მთლიანად კონტროლის პალატის პრობლემად. დაიწერა უამრავი ცილისმწამებლური წერილი ჩემს წინააღმდეგ. მეტი სიბინძურე მე არ მინახავს, ამ ადამიანების მიზანია, დამაბრალონ ის, რასაც თავად ვებრძვი უკვე ნახევარი წელია, კონტროლის პალატა პარალიზებულია და ქაოსი გაგრძელდება მანამ, სანამ არ დამტკიცდება თავმჯდომარე. შევიტყვე, რომ ამ საკითხის განხილვა პარლამენტმა საშემოდგომო სესიისთვის გადადო და სწორედ ამიტომაც გადავწყვიტე, გამეკეთებინა განცხადება თანამდებობიდან წასვლაზე... ვფიქრობ, გაურკვეველ მდგომარეობაში მყოფი თავმჯდომარე სუსტია, მის ბრძოლისუნარიანობაზე კი ლაპარაკი ზედმეტია. აქვე მინდა გითხრათ, რომ არანაირი ზეწოლა ზემოდან, გვერდიდან, თუ სხვა მხრიდან არ მქონია. პრობლემა თვით კონტროლის პალატაშია.

მაშასადამე, ის ძირითადი მიზეზი, რამაც რეზო შავიშვილი აიძულა თანამდებობიდან წასულიყო, დაუნიშნავ-დაუმტკიცებლობაა. ესაა სულ?! — იკითხა პარლამენტმა და დაუნიშნავ-დაუმტკიცებელი თავმჯდომარე ორიოდ წუთში, სასწაულმოქმედი პულტების მეშვეობით დანიშნულ-დამტკიცებულად აქცია, თანაც 5 წლით.

დილის გაზეთი №102

# ქართველი ოლიმპიელები ყველა სინჯის მედალს გვპირდებიან

გუშინ პარლამენტის სხდომაზე ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ქალბატონმა ნონა გაფრინდაშვილმა განაცხადა, რომ ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოდან 36 სპორტსმენი იასპარეზებს. ბოლო საგზური მესტენდურმა თამაზ იმნაიშვილმა მოიპოვა. ჩვენმა ჩაუქებმა წინასაოლიმპიადო მზადების სრული ციკლი გაიარეს და ახლა საბრძოლო ფორმაში არიან. ქალბატონ ნონას ვარაუდით, მათ სულ მცირე, ხუთი მედალი უნდა მოიპოვონ, თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ ეს მაჩვენებელი ცხრამდე გაიზარდოს.

ოლიმპიური თამაშები ატლანტაში 19 ივლისს გაიხსნება. საქართველოს დელეგაციის დროშის გამოტანის პატივი წილად ხვდა ცნობილ მოკრივეს გიორგი კანდელაკს.

დილის გაზეთი №106

# ბაზალეთზე თურქეთის მიერ მიწების იჯარით აღების ხელშეკრულებები უნდა გადაისინჯოს...

## პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის თანაშემწე სიმონ უროტაძე

— მიწის ყიდვა-გაყიდვა მხოლოდ ჩვენს მოქალაქეებზე უნდა მოხდეს, ხოლო იჯარა, როგორც მიწათსარგებლობის ერთ-ერთი ფორმა აუცილებელი არის უცხოელებზეც ვრცელდებოდეს, რადგან ის დიდი პროექტები, რომლებსაც უცხოელი პარტნიორი გვთავაზობს, მიწის საკუთრებაში გადასვლის გარეშე შეუძლებელია განხორციელდეს. ამ კანონით გათვალისწინებულია, რომ უცხოელებმა შეიძლება ჩვენი მოქალაქეებისათვის დადგენილი შეღავათებით ისარგებლონ. მაგრამ თუ მოხდება ხელშეკრულების პირობის დარღვევა, მაშინ მოიჯარე მხარეს ჩამოერთმევა მიწა და შეიძლება შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული სასჯელითაც დაისაჯოს.

მიწის იჯარით აღების მაქსიმალური ვადა არის 40 წელი.

მოიჯარის გარდაცვალების შემთხვევაში ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები გადადის მის მემკვიდრეზე.

პარლამენტის მიერ უკვე მიღებულია ანტიმონოპოლიური კანონი. პროექტში იჯარის შესახებ ერთ-ერთ დებულებაში წერია: ნებართვის გამცემ ორგანოს უფლება აქვს მოითხოვოს იჯარის ხელშეკრულების მთლიანად ან ნაწილობრივ შეცვლა, თუ მიწის იჯარით გაცემა იწვევს მიწათსარგებლობის მონოპოლიზაციას.

რაც შეეხება საქართველოს ტერიტორიის ნაწილს, რომელსაც დროებით აკონტროლებენ სეპარატისტული სტრუქტურები, მიწის სამართლებრივ სტრუქტურასთან დაკავშირებული ყველა აქტი ბათილია მანამ, სანამ ამ ტერიტორიაზე არ აღდგება ჩვენი იურისდიქცია.

ბაზალეთზე თურქეთის მიერ მიწების იჯარით აღების ხელშეკრულებები აუცილებლად უნდა გადაისინჯოს. სასურველი არ არის, რომ ქართული მიწები დიდი რაოდენობით და საკმაოდ დიდი ხნით გავასხვისოთ.

*იბეჭდება შემოკლებით*
დრო №19

---

*28 ივნისს,* დილიდან, თბილისელი მოქალაქეები ამაოდ ელოდნენ სამარშრუტო ტაქსებს — მძღოლებმა გაფიცვა მოაწყეს რიყეზე, პოლიციასთან შეტაკება და ცემა-ტყეპაც გარდუვალ კანონზომიერებად იქცა. მიზეზი კი ის გახლდათ, რომ საგზაო პოლიციამ მტკიცედ გადაწყვიტა დედაქალაქის ქუჩებში ტექნიკურად გაუმართავი სამარშრუტო ტრანსპორტის მოძრაობის აღკვეთა. სადავო და საჩხუბარი სხვაც ბევრია. მძღოლები ჩივიან, — სათადარიგო ნაწილებით არავინ გვამარაგებს, მართვის მოწმობას კი გვართმევენ, ნომრებს გვიხსნიან და, არცთუ იშვიათად, ფულსაც გვძალავენო.. თბილტრანსის ხელმძღვანელობა კი აცხადებს: სამარშრუტო ტრანსპორტი კერძო საკუთრებაა და ამიტომ სათადარიგო ნაწილებიც, საცხებ-საწვავი მასალებიც და სხვ. მესაკუთრეებმა თავად უნდა შეიძინონ, თავად უნდა იზრუნონ ტექნიკური პრობლემების მოსაგვარებლად და ქალაქის მერიის განკარგულებებსაც დაემორჩილონო.

თბილტრანსის განცხადებით, 1 ივლისიდან თბილისში ლიცენზიები აღარ გაუგრძელდებათ „უაზისა“ და „ერაზის“ ტიპის მანქანებს.

მძღოლები 28 ივნისის აქციას გამაფრთხილებელ გაფიცვას უწოდებენ. ჯერჯერობით კი, მუშაობა განაახლეს და ქალაქის მერიის კოლეგიის სხდომის გადაწყვეტილებას დაელოდებიან.

საკუთარი ინფორმაცია

# აფხაზეთის ხელისუფლება ნელა ჩქარობს

გვესაუბრება აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი

— გერბი, დროშა, ჰიმნი — ძალიან ბევრი ხომ არ არის, ბატონებო, ერთი ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული ადმინისტრაციული რეგიონისათვის? — უთქვამთ ამას წინათ ევროსაბჭოს წარმომადგენლებს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრებისთვის მათი ბელგიაში ვიზიტისას. ამ საკითხის კომენტარი ვთხოვეთ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ თამაზ ნადარეიშვილს.

— სეპარატისტულმა მთავრობამ ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე ააფრიალა თავისი დროშა და საკუთარი გერბიც შექმნა. მათში აშკარად არის გამოკვეთილი მუსულმანური, ფუნდამენტალისტური სამყაროს ელემენტები. მაგალითად, დროშა ძლიერ წააგავს ჩეჩნეთის დროშას, რომელზედაც 12 ვარსკვლავი და ხელისგულია გამოსახული. ჩვენი პოზიცია ასეთია, — აფხაზეთის დროშა და გერბი ერთიან საქართველოს სიმბოლოებთან უნდა იყოს შეხამებული. ჩვენ აფხაზეთის ახალ კონსტიტუციასა და საარჩევნო კანონთან ერთად ამ სიმბოლიკაზეც ვმუშაობთ. რაც შეეხება ევროსაბჭოს წარმომადგენელთა მითითებას, იქ მარტო თბილისისა და სოხუმის ურთიერთობაზე არ ყოფილა საუბარი, არამედ, იმ უფლებასა და მიმართულებებზე, რომლებიც საქართველოში ცენტრმა რეგიონებს გადასცა, ანუ ფუნქციათა გამიჯვნაზე. ჩვენმა ხელისუფლებამ დღეს თბილისში უომრად ბევრად უფრო მეტი შესაძლებლობები და უფლებები მიიღო, ვიდრე ეს არძინბამ ომით შესძლო. ახლახანს, ევროსაბჭოს ვესტუმრეთ, მანამდე ოფიციალურ ვიზიტად ვიყავით ამერიკის შეერთებულ შტატებში, გერმანიაში, საფრანგეთში. მართალია, ამ ვიზიტებს ჩვენი მწირი შესაძლებლობებით ვაფინანსებთ, ან რომელიმე იქაური ჩვენი თანამემამულე გვეხმარება, მაგრამ ასეთი ვიზიტების უფლება წინათ აფხაზეთის ხელისუფლებას არ ჰქონდა.

17 აპრილის ცნობილი დადგენილების შესრულების განხილვა 4 და 5 ივლისისათვის არის დაგეგმილი. ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია სამშვიდობო ძალების აფხაზეთის ტერიტორიაზე ყოფნა-არყოფნის საკითხი. 18 ივლისს მათი საქართველოში ყოფნის ვადა გადის. გამოსვლა ამ საკითხზე რადიკალური ხასიათისა იქნება და, თუ ამჯერად ვერაფერს მივაღწევთ, ვშიშობთ, ველარ შევძლებთ მედიატორის როლი შევასრულოთ დევნილ მოსახლეობასა და საქართველოს ხელისუფლებას შორის და ველარც პარლამენტისკენ მიმართულ დარტყმებს ავიცილებთ ჩვენს თავზე.

დილის გაზეთი №102

# ედუარდ შევარდნაძე: პარლამენტმა თავისი უფლება გამოიყენა

პარლამენტმა ფარული კენჭისყრის შედეგად აცილება მისცა სახალხო დამცველის თანამდებობაზე, სანდრო კავსაძის კანდიდატურას. ამ ფაქტთან დაკავშირებით საქინფორმის კორესპონდენტმა აზრის გაზიარება სთხოვა საქართველოს პრეზიდენტს:

— გულდასაწყვეტია, სანდრო კავსაძე მხარდაჭერას იმსახურებდა, — განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ, — მეორე მხრივ, პარლამენტმა თავისი უფლება გამოიყენა და ამას უნდა შევეგუოთ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დემოკრატიულ ქვეყანაში ვცხოვრობთ და დემოკრატიული გზით მიღებული გადაწყვეტილება სულაც არ არის ტკბილი დესერტი.

საქართველოს რესპუბლიკა №124-125

# ამ დროს, თურმე, აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების დროც დადგა

აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების დრო მოვიდა. აფხაზთა დღევანდელ ლიდერებსაც ესმით, რომ საჭიროა დავიწყოთ სერიოზული ფიქრი ცხელი წერტილების ჩასაქრობად. თუ 3 ივლისს რუსეთი პრეზიდენტ ელცინს მისცემს ხმას, კონფლიქტის მოგვარების პროცესი ჩქარი ტემპით განვითარდება, — განაცხადა ორშაბათის ტრადიციულ რადიოინტერვიუში საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ.

# უცხოეთის პრესა საქართველოს შესახებ

**„ფაინენშლ თაიმსმა"** გამოაქვეყნა ფლორიდის უნივერსიტეტის პროფესორის ბატონ დ. სლაიდერის წერილი, რომელშიც იგი ეჭვს გამოთქვამს საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქმიანობის გამო საქართველოში: „კორუფცია და საგადასახადო სისტემის სირთულეები თვით სავალუტო ფონდის პოლიტიკითაა გამოწვეული. სსფ-ს მითითებით მოხელეთა (მათ შორის, პოლიციის) ხელფასი საარსებო მინიმუმზე დაბალია. თვით მინისტრების ჯამაგირებიც არ აღემატება 25 აშშ დოლარს, მაშინ როდესაც ფასები საერთაშორისო სტანდარტებს მიახლოებულია. ეს ქმნის „შესანიშნავ" ფონს კორუფციისათვის. ქრთამის საშუალებით ხდება წარმოებაში რეალური მაჩვენებლის დამახინჯება, დაახლოებით ისევე, როგორც ამას საბჭოთა პერიოდში ჰქონდა ადგილი. ფართოდ ფეხმოკიდებული კორუფცია საშუალებას აძლევს პრეზიდენტ ე. შევარდნაძეს იოლად გაათავისუფლოს თანამდებობიდან არასასურველი პირები. ასე, რომ პირობით სტაბილიზაციას შეიძლება საქართველოსთვის მეტად არასასურველი პოლიტიკური და ეკონომიკური შედეგები მოჰყვეს, რისი მიზეზიც იქნება „შავი ეკონომიკის" შექმნა და არაეფექტური ბიუროკრატული მექანიზმის ჩამოყალიბება.

**„ეკონომისტ** „იწყება საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური აღმავლობა საბჭოთა კავშირის კოლაფსის შემდეგ. ერთ-ერთ ფორუმზე საქართველოს პრეზიდენტმა ე. შევარდნაძემ აღნიშნა, რომ „პაციენტის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება". საერთაშორისო სავალუტო ფონდის, ევროკავშირისა და აშშ-ის მთავრობის დახმარებები მიმართულია ეკონომიკის გამოცოცხლებაზე. დღეს ამაზე ციფრებიც მეტყველებენ: ინფლაცია მკაცრი კონტროლის ქვეშაა, მიწის რეფორმა და პრივატიზაციის პროცესი დაწყებულია, ახალი ეროვნული ვალუტა — „ლარი" სტაბილურია და თუკი დავეყრდნობით საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენელთა პროგნოზებს, მიმდინარე წლის ბოლოსათვის საქართველოს ეკონომიკაში მოსალოდნელია 8%-იანი ზრდა. ამასთანავე არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს ის ქვეყანაა, რომელიც უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში მოცული იყო სამოქალაქო ომითა და სოციალური პრობლემებით.

საქართველოს კეთილდღეობამ კოლაფსი განიცადა და მოსახლეობა დღეს თავის ბაღებში მოყვანილი ხილითა და ბოსტნეულით ცდილობს ირჩინოს თავი,.

მძიმე მდგომარეობაა საქართველოს ჩრდილოეთ საზღვრებზე. „რუსეთს, კერძოდ კი, რუსეთის შეიარაღებულ ძალებს ჯერ კიდევ შეუძლიათ ყველაფერი გააფუჭონ ამ ქვეყანაში", — განაცხადა თბილისში აკრედიტებულმა ერთ-ერთი დასავლეთის ქვეყნის საელჩოს თანამშრომელმა. რუსეთს, თურქეთსა და ირანს შორის მოქცეულ საქართველოს იშვიათად ჰქონდა შესაძლებლობა გამოეყენებინა სახარბიელო გეოგრაფიული მდგომარეობა. უკანასკნელ პერიოდში რუსეთის ლიდერები ცდილობდნენ, გაეძლიერებინათ თავისი გავლენა საქართველოზე (ასევე, აზერბაიჯანსა და სომხეთზეც), ძირითადად, სეპარატისტული დაჯგუფებების მეშვეობით. გააზრებული და მოხერხებული პოლიტიკით ბატონი ე. შევარდნაძე ცდილობს გამოიყვანოს საქართველო რუსეთის „ჩრდილიდან". მიმდინარე წლის აპრილში აზერბაიჯანისა და სომხეთის პრეზიდენტებთან ერთად მან ხელი მოაწერა ევროკავშირთან პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებას. საქართველოზე ასევე გაივლის კასპიის ზღვის ნავთობი, რომელიც დასავლეთის მომხმარებლისათვისაა გამიზნული. ამავე დროს, მიუხედავად ზეწოლისა, საქართველო ცდილობს არ შეუერთდეს რუსეთის მიერ შემოთავაზებულ დსთ-ს საბაჟო კავშირს, რომელიც, ქართველების აზრით, რუსეთის იმპერიის გაძლიერებისკენაა მიმართული და დიდ ზიანს მიაყენებს საქართველოს სავაჭრო ბალანსს (განსაკუთრებით, მის ძირითად სავაჭრო პარტნიორთან, თურქეთთან ურთიერთობებში).

ყველაფერი ეს საკმაოდ დიდ რისკთანაა დაკავშირებული. რუსეთს თავისი ჯარები ჰყავს განლაგებული საქართველოში — მათი ერთი ნაწილი მესაზღვრეები არიან, ხოლო დანარჩენი კი, სამშვიდობო ძალების სტატუსის გამო არ ტოვებენ საქართველოს. რუსეთის სამხედრო ნაწილები უშუალოდ იყვნენ ჩართული აფხაზურ კონფლიქტში. დღესაც ვარაუდობენ, რომ რუსი სამხედროები დაკავებული არიან იარაღითა და ნარკოტიკებით ვაჭრობის ბიზნესით. ჩეჩნეთის გამოცდილების შემდეგ რუსეთის პრეზიდენტი ბ. ელცინი ერთგვარად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა კავკასიასთან მიმართებაში, მაგრამ მისი გენერლების უმეტესობას კვლავ აქვს სურვილი „წესრიგი დაამყარონ რეგიონში".

ადამიანის უფლებათა დაცვის ჰელსინკის ორგანიზაციის მოხსენებაში გაანალიზებულია საქართველოში ეთნიკური და პოლიტიკური კონფლიქტების შედეგად გადაადგილებულ პირთა მდგომარეობა. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მონაცემებით საქართველოში 1989-1994 წლებში ლტოლვილთა და დევნილთა რიცხვმა შეადგინა 280 ათასი. სამხრეთ ოსეთიდან და აფხაზეთიდან ლტოლვილთა მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა საქართველოში არსებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა, მიუხედავად ევროორგანიზაციის სამშვიდობო ინიციატივებისა და ერთობლივი რუსულ-ქართულ-ოსური საჯარისო ფორმირებების შექმნისა, სამხრეთ ოსეთში დღემდე ძალზე მცირე პროგრესია მიღწეული ლტოლვილების დაბრუნების თვალსაზრისით. დაახლოებით 20 ათასი კაცი (ძირითადად, ქართველები) რეპრესიების შიშით ვერ უბრუნდება თავის საცხოვრებელ ადგილს. ორგანიზაციის ცნობით, აფხაზეთის ადმინისტრაცია ბიუროკრატული მეთოდებით აფერხებს ლტოლვილ ქართველთა დაბრუნებას. გაკრიტიკებულია, აგრეთვე, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი, რომელმაც ვერ მოახერხა ლტოლვილების სწრაფი და უპირობო დაბრუნების ორგანიზაცია. რეპატრიაციის პროცესი, ფაქტობრივად, დაუცველი რჩება. კერძოდ, გალის რაიონში, ადგილი ჰქონდა უამრავი მკვლელობისა და ძალადობის აქტს ახალდაბრუნებული ლტოლვილების მიმართ. აღნიშნულია, აგრეთვე, რომ ამ რაიონში უკანონობაა დამკვიდრებული და ვერც რუსეთის სამშვიდობო ძალები და ვერც გაეროს დამკვირვებლები ვერ ქმნიან შესაბამის პირობებს ლტოლვილების უსაფრთხო დაბრუნებისათვის.

ბონის ცენტრალურმა გაზეთმა **„ჯენერალ ანცაიგერმა"** გამოაქვეყნა ინფორმაცია გერმანიიდან საქართველოში ორი სატვირთო მანქანით ჰუმანიტარული დახმარების გაგზავნის თაობაზე. 40-მდე ტონა ტვირთი შეაგროვეს კიოლნის საზოგადოება „მეგობარმა" და მალტის ორდენმა. ტრანსპორტის ხარჯები გაისტუმრა გერმანიის ფეხბურთის ფედერაციამ და აღმოსავლეთ ევროპის დახმარების კათოლიკურმა ორგანიზაციამ. მანქანების დატვირთვაში მონაწილეობდნენ ბუნდესვერის ჯარისკაცები. ჰუმანიტარული დახმარება განსაზღვრულია არა მარტო გაჭირვებულთათვის, არამედ კულტურული ცენტრის „კავკასიური სახლის" კაფეს მოსაწყობადაც. ამ კაფეს შემოსავალი შემდეგ მეცნიერებისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენელთა გაჭირვებულ ოჯახებს უნდა მოხმარდეს.

მსგავსი აქციების მოწყობა უკანასკნელ ხანს საკმაოდ გაიოლდა, — აღნიშნეს ორგანიზატორებმა. ფეხბურთის ფედერაციის ჩართვა ამ აქციაში მოხდა გერმანიის ეროვნული ნაკრების ინიციატივით. ბერტ ფოგტსის გუნდმა საქართველოსთვის დახმარების გაგზავნის გადაწყვეტილება თბილისში, საქართველოს ეროვნულ ნაკრებთან თამაშისას მიიღო.

*სსს პრესსამსახური*

## კავკასია

### ყარაბაღის დახმარების მარათონი ამერიკაში დაიწყო

სრულიად სომეხთა ფონდის „ჰაიასტანის" მიერ მოწყობილი მარათონის „სტეფანაკერტი-ერევანი-ლოს-ანჯელესი" შედეგებს მიეძღვნა ფონდის დირექტორის მ. პეტროსიანის მიერ გამართული პრესკონფერენცია. მარათონმა სტარტი 24 მარტს, ყარაბაღში აიღო და რამდენიმე ხნის წინ, ლოს-ანჯელესში დამთავრდა. 12 საათის განმავლობაში სომხური ტელევიზიის არხი ამერიკასა და კანადას გადასცემდა სომხეთის ისტორიისა და ცხოვრების ამსახველ პროგრამას. ამ უპრეცენდენტო აქციის წყალობით, შეგროვდა 5.5 მილიონ დოლარზე მეტი. სომხური წარმოშობის ცნობილმა ამერიკელმა საქმოსანმა ამ თანხის გაორმაგების სურვილი გამოთქვა.

ფონდის დირექტორის, პეტროსიანის თქმით, აქციის მიზანი იყო მთელ მსოფლიოში მცხოვრები სომხებისათვის გაეცნო დამოუკიდებელი სომხეთის ცხოვრება, ყარაბაღის სიტუაცია და რაც შეიძლება მეტი თანხა შეეგროვებინა ყარაბაღის დასახმარებლად. ტელემარათონში 100 ათასამდე ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. ფულადი შესატანი 20-დან 500 ათას დოლარამდე მერყეობდა. ეს თანხა დაიხარჯება ყარაბაღში „ჰაიასტანის" პროგრამის განსახორციელებლად, კერძოდ, საავტომობილო გზის გორისტეპანაკერტის მშენებლობის დასამთავრებლად.

*სეგოდნია №103*

ფინური გაზეთის „ილტა ეპტის" ცნობით, ჯოჰარ დუდაევის ქვრივი, ალა დუდაევა, თავის 13 წლის ვაჟთან ერთად, ერთ-ერთ ევროპულ ქვეყანაშია და განზრახული აქვს, ფინეთს პოლიტიკური თავშესაფარი სთხოვოს. ალა დუდაევა, მოსკოვიდან, მშობლების ოჯახიდან, 2 კვირის წინ გაქრა.

ფინური გაზეთი ეყრდნობა ვინმე ბესარიონ გუგუშვილის ინფორმაციას, რომელიც წლის დასაწყისიდან მუდმივად ცხოვრობს ამ ქვეყანაში და თავი მოაქვს დუდაევის მთავრობაში სტატისტიკის ექსმინისტრად.

*სსს პრესსამსახური*

### ევროკავშირი სომხეთს სოფლის მეურნეობის აღსადგენად მისცემს 10 მლნ ეკიუს

— განაცხადა კავშირგაბმულობის მინისტრმა გაგიკ შაჰვაზიანმა ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროგრამის ხელმძღვანელმა ამიერკავკასიისა დაევროკა ცენტრალური აზიის ქვეყნებში, ფოკიონ ფოკიაპისმა შაბათს, ერევანში, სნგ-ს, ევროკავშირისა და საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების შეხვედრაზე. ინტერფაქსს სომხეთის სახელმწიფო სტატისტიკურმა სამმართველომ შეატყობინა, რომ 1996 წლის იანვარ-მაისში აშშ-მა და ევროკავშირმა ქვეყანას 23 მლნ დოლარის ღირებულების უანგარო დახმარება გაუწიეს. ეს იყო ნავთი და ნავთობპროდუქტები, აღჭურვილობა, მარცვლეული, ზეთი, საკვები პროდუქტები.

*სსს პრესსამსახური*

### აფხაზებმა ბალუაშვილის განცხადებას პოლიტიკური ფარსი უწოდეს

საქართველოს გენერალურმა პროკურორმა ბატონ ანზორ ბალუაშვილმა განაცხადა, რომ დამთავრდა 1992-93 წლებში აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დროს ქართული მოსახლეობის „გენოციდთან და ეთნიკურ წმენდასთან" დაკავშირებული ფაქტების წინასწარი გამოძიება. ამასთან დაკავშირებით, აფხაზეთის რესპუბლიკის გენერალურმა პროკურორმა ბატონმა აშბამ თავის მხრივ თქვა, რომ რადგან ბატონმა ბალუაშვილმა უარი თქვა ქართველი ხალხის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის მონაწილეთა გვარების დასახელებაზე, როგორც ჩანს, ლაპარაკი არ არის იმაზე, რომ გამოძიება საერთაშორისო სამართლის ნორმების დაცვით ჩატარდა, არამედ ეს არის „მორიგი პოლიტიკური ფარსი".

*ნეზავისიმაია გაზეტა №116*

თვითმარქვია აფხაზეთის რესპუბლიკის უშიშროების სამსახურმა კატეგორიულად უარყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი პრესცენტრის მიერ გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს ტერიტორიაზე თავს იყრიდნენ ჩეჩენი ბოევიკები. ოფიციალური სოხუმის განცხადებით, აღნიშნული ინფორმაცია ქართული სპეცსამსახურების მორიგი მონაჭორია და მიზნად ისახავს ვითარების დესტაბილიზაციას აფხაზეთში და ქართულ-აფხაზური მოლაპარაკების ჩაშლას. განცხადებაში ნათქვამია, რომ აფხაზეთის საზღვაო და სახმელეთო საზღვრებს აკონტროლებს რუსეთის სასაზღვრო ჯარი, რომელმაც არაერთხელ დაადასტურა, რომ აფხაზეთის ტერიტორიზე ჩეჩენი ბოევიკების შემოღწევის ფაქტებს ადგილი არ ჰქონია.

*სრულიად არასაიდუმლოდ №6*

თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი
„აჭარა"

გიწვევთ სასწავლებლად შემდეგ სპეციალობებზე: ✓ქართული ენა და ლიტერატურა, ✓ჟურნალისტიკა (ტელეწამყვანი, ტელედიქტორი), ✓ისტორია, ✓სკოლამდელი აღზრდისა და დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა; ✓ღვინის, ხორცის და პურპროდუქტების ტექნოლოგ-მენეჯერი; ✓საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა ორგანიზაცია, ✓ფინანსები და კრედიტი, ✓საგარეო პოლიტიკა; ✓სასურსათო და სამრეწველო საქონელმცოდნე, კომერსანტი და ექსპერტი; ✓იურიდიული (საბაჟო საქმე).

აბიტურიენტები უნივერსიტეტში ჩაირიცხებიან გასაუბრების წესით

საბუთები მიიღება 25 სექტემბრამდე, სწავლა დაიწყება 1 ოქტომბერს. დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ: ქ. თბილისი, ვარდისუბნის ქ. №8 (მეტრო „ღრმაღელესთან")

რექტორატი: 61-21-80; 67-87-78; 68-08-62

გეპატიჟებით
ბარი-რესტორანი
„პალმა"
კერძები, სასიამოვნო ატმოსფერო, ცოცხალი მუსიკა 24 საათის განმავლობაში
თბილისი, ლესელიძის ქ. №22. ვილებთ შეკვეთებს
ტელ. 99-00-14

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოეთი რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ

რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნები კვლავ რჩება მსოფლიო მასმედიის უპირველეს თემად. დასავლელი პოლიტოლოგები აღნიშნავენ, რომ არჩევნების პირველმა ტურმა დაადასტურა ელცინის წინასაარჩევნო კამპანიის „რეჟისურის პროფესიონალიზმი“, მაგრამ, იმავდროულად, მისი მრისხანე კონკურენტის, ზიუგანოვის, მაჩვენებელი მოწმობს, რომ დამხობის მიუხედავად, კომუნიზმის იდეა კვლავ განაგრძობს არსებობას რუსეთის უამრავი მოქალაქის ცნობიერებაში.

და, მაინც, ვინ გახდება რუსეთის პრეზიდენტი არჩევნების მეორე ტურის შემდეგ? „კვირის პალიტრამ“ ამ თემაზე აზრის გამოთქმა სთხოვა ამჟამად მოსკოვში მყოფ სააგენტო „ფრანს პრესის“ წარმომადგენელს რუსეთსა და კავკასიის რეგიონში, უილიამ ბრედლის. გთავაზობთ ექსკლუზიურ სატელეფონო ინტერვიუს მასთან.

*— ბატონო ბრედლი, როგორ შეაფასებთ მოსკოვში არსებულ ამჟამინდელ ვითარებას?*

— მე მას ვუწოდებდი „გაღვიძების სტადიაში მყოფ ვულკანს“. გარეგნულად თითქოს სიმშვიდეა, მაგრამ ყოველ ფეხის ნაბიჯზე იგრძნობა დაძაბულობა მოსალოდნელი პერიპეტიებისადმი. გენერალ ლებედის გადასვლას ელცინის ბანაკში თითქოს უნდა დაემშვიდებინა საერთო ვითარება, მაგრამ კომუნისტურ წრეებში ამ ფაქტმა აშკარა გაბოროტება გამოიწვია. სასტუმრო „ნაციონალის“, სადაც ვცხოვრობ, მოპირდაპირე შენობაზე ასეთი წარწერებიც ამოვიკითხე: **„Саша, ты не Лебедь, а гусь“**. *მწმენდავთა მთელი შტატი კარგა ხანს ხეხავდა საღებავით დაწერილ ამ ფრაზას...*

სავარაუდოა, რომ კომუნისტების დამარცხების შემთხვევაში, გარკვეული დროის მანძილზე, მძაფრი პოლიტიკური ბატალიების მოწმენიც გავხდეთ. მოსკოვში დიდი ხანია, დადის ხმები იატაკქვეშეთში მყოფი კომუნისტთა „მოიერიშე ბატალიონების“ შესახებ და მეტიც, ამ ძალებს ძლიერი მფარველები და კონსულტანტები ჰყავთ სამხედრო წრეებში...

*— ესე იგი, ლებედის განცხადება, სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის შესახებ, არ იყო საფუძველს მოკლებული...*

— შეიძლება ლებედის განცხადება გრაჩოვის კლანისადმი იყო მიმართული. კომუნისტებს კი გრაჩოვის გენერალიტეტის ბატონობით უკმაყოფილო სამხედროთა შორის აქვთ დასაყრდენი. ეს უაღრესად საშიშია, რადგან 3 ივლისის შემდეგ არავინ იცის, რა მოხდება არმიაში, რომელიც დღეს რამდენიმე ბანაკად არის გაყოფილი.

*— როგორ ფიქრობთ, ზიუგანოვის გამარჯვების შემთხვევაში, დატოვებენ კომუნისტები ლებედს ამჟამინდელ პოსტზე?*

— გამორიცხული არაფერია, ჩემი ინფორმაციით, უმაღლესი ძალისმიერი პოსტების მისაღებად კომუნისტებს სხვა კანდიდატები ჰყავთ. თუნდაც, თავდაცვის მინისტრის თანამდებობაზე გრომოვი და როდიონოვი.

*— მაგრამ, როდიონოვის კანდიდატურა ლებედმაც დაასახელა თავდაცვის მინისტრის პოსტზე, უფრო ადრე კი, გრომოვიც!*

— ლებედის მენტალიტეტი დიდად არ განსხვავდება კომუნისტების ცნობიერებისაგან. ლებედი, ამჟამად, კონიუნქტურამ მიიყვანა ელცინის ბანაკში. ასეთივე წარმატებით იგი კომუნისტებთანაც გადაბარგდება, მაგრამ ჭკვიანი მრჩევლები ჰყავს და რატომ დაკარგავს ელცინის მემკვიდრის პოსტს?

*— როგორ შეხვდა მოსკოვი ცნობას როდიონოვის შესაძლო დანიშვნის შესახებ?*

— როდიონოვი კომპრომეტირებული გენერალია და ვეჭვობ, რომ მისი კანდიდატურა გავიდეს ელცინის ბანაკში. კომუნისტებისაგან კი ყველაფერი მოსალოდნელია და მათ წრეებში მას დადებითი რეიტინგი აქვს. თავად როდიონოვის თქმით, იგი მხოლოდ მაშინ დათანხმდება მინისტრის პოსტს, თუ რუსეთის მთავრობა ოფიციალურად გაამართლებს, ე.ი. ჩამოსწმენდს 9 აპრილის ტრაგედიის სირცხვილს.

*— როგორ შეხვდება დასავლეთი თბილისის ტრაგედიის ორგანიზატორი გენერლის შესაძლო დანიშვნას?*

— ალბათ, არქივიდან ამოიღებენ და დაატრიალებენ დოკუმენტურ კადრებს 9 აპრილის ტრაგედიის შესახებ. ეს, რა თქმა უნდა, სასიკეთოდ არ წაადგება რუსული დემოკრატიის იმიჯს...

*— დასავლელ პოლიტიკოსთა და ჟურნალისტთა წრეებში როგორი იმიჯი აქვს ლებედს?*

— იგი, უდავოდ, ძლიერი პიროვნებაა, მაგრამ სწორხაზოვანი და არაპროგნოზირებადი. ლებედი, მე ასე ვიტყოდი, რუსი ხალხის ჭეშმარიტი წარმომადგენელია, რომლისთვისაც უცხო არ არის იმპერიული ამბიციებიც, სწორედ ლებედის ეს თვისებები შესძენს ელცინს მეორე ტურში დამატებით ხმებს.

*— თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ ელცინი ნამდვილად გაიმარჯვებს მეორე ტურში?*

— მე არაფერში არ ვარ დარწმუნებული. მაოცებს მხოლოდ რუსი ელექტორატის უპასუხისმგებლობა ქვეყნის მომავლისადმი. ამგვარი გაბოროტებული ელექტორატი მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ მინახავს. ესენი ყველაფერზე ნავლენ... მათ შორის, კუთვნილ შეღავათებშიც.

*— რას უნდა ელოდნენ ესენგეს ქვეყნები არჩევნების შემდეგ?*

— ზიუგანოვი, თუ ის გამარჯვების შემთხვევაში დააპირებს რაღაც ახალი კავშირის შექმნას, დაშლის ესენგესაც და, შეიძლება რუსეთსაც. ელცინი კი, იძულებული იქნება ლებედის პოზიციას გაუწიოს ანგარიში, რომელიც აუცილებლად დაეყრდნობა რუსეთის ეროვნული უშიშროების არგუმენტებს და უფრო მკაცრი კურსის მომხრე იქნება რუსეთის მეზობლების მიმართ. არც ლებედის მშვიდობისმყოფელობისა მჯერა, რასაც იგი ქადაგებს ჩეჩნეთთან დაკავშირებით...

*— სასიკეთოს არაფერს უნდა ველოდოთ?*

— ამგვარი სიტუაციის პროგნოზირება შეუძლებელია... მაგრამ, როგორც აქ ამბობენ, ისევ „ნაკლები ბოროტება“, ელცინ-ლებედის ალიანსი სჯობს, საყოველთაო კატასტროფას.

*—მეორე ტურამდე დარჩენილ დროში აშკარად შეიმჩნევა ელცინისა და მისი გუნდის ახალ-ახალ კომპრომისზე წასვლის ტენდენცია. რა არის ეს? დამარცხების შიში, თუ პროფილაქტიკური ღონისძიებები?*

— ერთიც და მეორეც. ზიუგანოვი ახალ-ახალ ბრალდებებს უყენებს ელცინის გუნდს, რომ ელცინი ამომრჩეველთა ხმებს ყიდულობს მეორე ტურის წინ, თანაც, ნაღდ ფულს არიგებს. ეს ფული კი, ზიუგანოვის თქმით, დაგვიანებული ხელფასებისა და პენსიების გადასახდელად იყო განკუთვნილი. ზიუგანოვი აშკარად აცხადებს, რომ მალე რუსეთს ეკონომიკური კატასტროფა დაეუფლება სწორედ ელცინის გუნდის მიერ წინასაარჩევნო კამპანიისათვის დახარჯული მილიარდების გამო. ეს, ნაწილობრივ, მართალიც არის და, თუ ელცინის გამარჯვების შემდეგ დასავლეთმა სასწრაფოდ არ მიაშველა რუსეთს ინვესტიციები, კრიზისი გარდაუვალი იქნება. ამიტომ, კომუნისტთა ელექტორატის დასამშვიდებლად მაინც, ელცინი კომუნისტებს ერთი, ან ორი მინისტრის პორტფელს შესთავაზებს. ერთი სიტყვით, ელცინს, გამარჯვების შემთხვევაში, მომავალი ოთხი წლის მანძილზე კოალიციურ მთავრობასთანაც ექნება საქმე და მძლავრ ოპოზიციასთან.

*— გმადლობთ.*

## ლებედი ბრჭყალებს აჩენს

ბ-ნ ლებედს, ალბათ, მნიშვნელოვანი წონა ექნება ქვეყნის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ჩამოყალიბებაში და, ცხადია, სამხედროთა ხელმძღვანელობის თვალსაზრისითაც. მან უკვე გაკეთა კიდეც რამდენიმე განცხადება მისთვის ჩვეული პირდაპირი და ლაკონური ტონით, შეიარაღებული ძალების რეფორმისა და ნატოსთან დამოკიდებულების შესახებ: „ჩვენ არა ვართ ნატო-ს აღმოსავლეთით გაფართოების წინააღმდეგი. ნატოს გაფართოება დასავლეთისათვის მეტად ძვირი სიამოვნებაა. ჩვენ მთელ მსოფლიოს უნდა განვუცხადოთ, რომ საკმარისად გვაქვს საკუთარი მიწა-წყალი, ამდენად, არავისთან ომსა და დავას არ ვაპირებთ, არც მსოფლიო პოლიტიკური რუკის გადასხვაფერება გვსურს. ასე რომ, დასავლეთმა თავიდანვე გადაწყვიტოს და გააფართოვოს კიდეც ნატო, თუკი ამისათვის ეყოფა ფინანსური შესაძლებლობა, თანმიმდევრობა და ხასიათის სიმტკიცე“.

ყოველივე ზემოაღნიშნული არ ნიშნავს, რომ ლებედს არ აქვს სუსტი მხარეები. რუსების მომეტებული ნაწილი არც თუ მაინცდამაინც სახარბიელოდ თვლის ქვეყნის მმართველობის სადავეებთან და სამხედრო (თუნდაც ყოფილი) პირის მოსვლას, მაგრამ ამ პრობლემას ეფექტურად ებრძვიან ლებედის თანაშემწეები, რომლებიც იშველიებენ ორი ცნობილი გენერალის — ამერიკელი დ. ეიზენჰაუერისა და ფრანგი შ. დე გოლის მაგალითს. ჯერ კიდევ შარშან, ელცინ-ლებედის ალიანსი წარმოუდგენლად ჩანდა, მაგრამ 46 წლის ლებედმა ევოლუციის საინტერესო პროცესი განიცადა, — კონსერვატორი, მეომარი გენერლიდან ერთგვარ შერბილებულ ავტორიტარულ ფიგურამდე.

„ლებედის უმაღლესი პრიორიტეტი ჯარის გარდაქმნაა,“ — იტყობინება „გარდიანი“.

მიმომხილველთა ერთსულოვანი აზრით, „ელცინ-ლებედის“ ტანდემი ელცინს ამომრჩეველთა ხმების დამატებითი 15%-ის მოსაზიდად სჭირდებოდა: „თუმცა, ზიუგანოვის ახლო გარემოცვა აცხადებს, რომ ლებედი მხოლოდ სახელია, რომლის უკანაც არ დგას პოლიტიკური ძალა, მაგრამ ეს უფრო თავის დამშვიდებას ჰგავს.

შემთხვევითი როდი იყო ზიუგანოვის განცხადება იმის თაობაზე, რომ პრეზიდენტად გახდომის შემთხვევაში იგი ლებედს პრემიერ-მინისტრად დანიშნავდა.

ლებედმა კი ელცინთან შეკვრა ამჯობინა, რაც დიდი დარტყმაა ზიუგანოვისათვის, რადგან ლებედი ნაციონალისტია და სწორედ იმ ხმებს წაართმევს ზიუგანოვს, რომლის მოპოვებასაც იგი ასე იმედოვნებდა არჩევნების მეორე რაუნდში,“ — წერდა „ფაინენშელ თაიმსი“.

## უზბეკეთში დაიწყო ნარკომაფიასთან ბრძოლა სახელწოდებით „შავი ყაყაჩო“

ბუხარის ოლქში უმუშევარ ი. აბდურახანს შინ უპოვეს გასაყიდად გამზადებული 113 გ ოპიუმი, რ. ბობორჯონს — 10.5 გ მარიხუანა.

ყარაყუმის რაიონში, პენსიონერ როპილი მამათყზის ეზოში 80 კვ.მ. ფართობზე ეთესა ყაყაჩო, რომელიც გაუნადგურეს.

კანაფის გაყიდვისას მოუსწრეს ბუხარელ. შ. ბეჯმუროდს. მას იგი საკუთარ ეზოში უკანონოდ მოჰყავდა.

*ინტერფაქსი*

*რუსულ-ესტონური* ურთიერთობა უსათუოდ გაუმჯობესდება, თუ კი რუსეთში ბორის ელცინი დარჩება პრეზიდენტად, — განაცხადა პრესკონფერენციაზე ესტონეთის მინისტრთა კაბინეტის მეთაურმა ტიიტ ვიაჰიმ, — ესტონეთს არა აქვს რუსეთთან დამოკიდებულების გაუმჯობესების იმედი მანამდე, სანამ ახალ პრეზიდენტს არ აირჩევენ, — დასძინა მან.

*მსოფლიო* ბანკი ყაზახეთს 1996 წლის ბოლომდე გამოუყოფს 180 მლნ დოლარის შეღავათიან კრედიტს. სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად. პირველი ტრანში, 90 მლნ-ის ოდენობისა, აგვისტოს ბოლოდან სექტემბრის დასაწყისამდე გადაეცემა. შეთანხმებას ხელი მოეწერა 25 ივნისს, საღამოს, ვაშინგტონში. ვალის დაფარვა დაიწყება 2001 წელს და 20 წელს გაგრძელდება. ამ სესხის სამაგიეროდ, ყაზახეთმა წლის ბოლომდე უნდა გააუქმოს ნორმატივის დამრღვევი ბანკები, გაკოტრებულად გამოაცხადოს არანაკლებ სამი მოვალე საწარმო, წლიური ინფლაცია 28 პროცენტამდე შეამციროს (1995 წ — 60,3 პროცენტი იყო ) და განამტკიცოს წარმოების მოცულობა.

*სსს პრესსამსახური*

## არჩევნების წინ ყუმბარებს უფრო ხშირად აფეთქებენ

ღამის 3.45 სთ-ზე, მოსკოვის გარეუბანი, კურკინო, აფეთქების ხმამ გააყრუა. საკმაოდ დაზიანდა სახელმწიფო დუმის დეპუტატის თანაშემწის, 35 წლის ალექსეი ვედენკინის სახლი. ვედენკინი რუსული ფაშიზმის წარმომადგენელია, მეტად სკანდალური პიროვნება. მილიციის თანამშრომლებმა დაადგინეს, რომ აუფეთქებიათ „РТС“-ის ყუმბარა, იგი სახლს ხუთიოდ მეტრით აცდა.

*მოსკოვსკი კომსომოლეცი №115*

## ა. ლებედი: „გორბაჩოვს მე ციხეში ჩავსვამ!“

რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინ მძაფრდება დაპირისპირება სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიასა და ჯგუფს შორის, კერძოდ, არჩევნების აუტსაიდერმა მიხაილ გორბაჩოვმა გენერალ ლებედს **„Подсобная утка“** უწოდა იმის გამო, რომ ლებედმა ელცინის მიერ ნაჩუქარ ვალუტას ანაცვალა რუსეთის ინტერესებიო.

რადიო „სვობოდასთვის“ მიცემულ ინტერვიუში გორბაჩოვმა ერთი საიდუმლოც გაამხილა: არჩევნების პირველ ტურამდე ლებედს შევთავაზე იავლინსკისთან ალიანსი. შევთანხმდით, რომ მეორე ტურამდე შევკრავდით მძლავრ დემოკრატიულ ბლოკს და ლებედი დაეთანხმა ამ წინადადებას. პოსტები ასე განაწილდებოდა: გორბაჩოვი — პრეზიდენტი, იავლინსკი — პრემიერ-მინისტრი, ლებედი — რასაც მოითხოვდა. მაგრამ, განაგრძობს გორბაჩოვი, **„Подсобная утка“**-მ ტროას ცხენის როლი შეასრულა ჩვენს ალიანსში „ხელისუფლების პარტიის“ სასარგებლოდ. თავისი საქციელით მან გაანადგურა „მესამე ძალა“, რომელსაც რეალური შანსი ჰქონდა არჩევნებში გამარჯვებისათვის. ეს მან ელცინისა და მისი ხალხის პირდაპირი მითითებით გააკეთა. მეტიც, მას ზიუგანოვთანაც ჰქონდა კონტაქტი და ისიც მოატყუა. ერთი სიტყვით, ლებედი ავანტიურისტია და მეტი არაფერი, ეს კი საშიშია მოსკოვისათვისაც და რუსეთისთვისაც, — დაასკვნა გორბაჩოვმა.

რადიო „სვობოდამ“ გორბაჩოვის ინტერვიუს კომენტირება თავად **„Подсобная утка“**“-ს — გენერალ ლებედს სთხოვა: „გამანადგურებელი დამარცხებით თავზარდაცემული გორბაჩოვი, — ამბობს ლებედი, — ცდილობს, რითიმე მიიპყროს ყურადღება. მე ვერაფრით დავეხმარები, რადგან ლებედი პოლიტიკური გვამების რეანიმატორი არ არის. მეტიც, მე გორბაჩოვს ერთ კვირას ვაძლევ, რათა მან საზოგადოებრიობას წარუდგინოს ჩემს მიერ აღებული ვალუტის დამამტკიცებელი დოკუმენტები. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცილისწამებისათვის ციხეში ჩავსვამ“.

ამასობაში, ჟირინოვსკიმ, საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ არჩევნებში მონაწილე ყველა მხარე დამპალია და რუსეთი მხოლოდ სასტიკი კატასტროფისათვის არის განწირულიო.

## რუსი, რომელიც პოლიტიკაზე მაღლა დგას

დასავლეთის საინფორმაციო საშუალებებმა ფართოდ გააშუქეს ბ. ელცინის მიერ საპრეზიდენტო დაცვის უფროსის, დასავლეთში რასპუტინად წოდებული ა. კორჟაკოვის, უშიშროების სამსახურის შეფის მ. ბარსუკოვისა და პირველი ვიცე-პრემიერის, „მკაცრთა კლანის სულიერი მამის“ ო. სოსკოვეცის თანამდებობიდან დათხოვნა, რომლებიც დადანაშაულებულნი იქნენ 3 ივლისს, ოფიციალურად დანიშნული საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის ჩაშლის მცდელობაში. კერძოდ, ბელგიური „ლე სუარი“ ამის თაობაზე აღნიშნავდა, რომ იგი მოასწავებდა „კრემლის ლიბერალების“ დამადასტურებელ გამარჯვებას „მკაცრებზე“.

მიმომხილველები ყურადღებას ამახვილებენ ალექსანდრე ლებედის პიროვნებაზე, რომელსაც სხვადასხვა კონტექსტში მოიხსენიებდნენ, როგორც „ნაციონალისტს“, პრაგმატულ ნაციონალისტს“, „საპრეზიდენტო სავარძლის ბედნიერ ბილეთს“ და ა.შ. აანალიზებენ რა ლებედის პიროვნებას, შეიძლება ითქვას, რომ საერთო ჯამში, ევროპული პრესა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მისდამი ერთგვარი სიმპათიითაც კი არიან განწყობილნი.

მაგალითად, ინგლისურ „გარდიანს“ ხაზგასმით მოჰყავდა ა. ლებედის განცხადება: „მე პროფესიონალი ჯარისკაცი ვარ, რომელმაც კარგად იცის, თუ რა არის ომი, რომელმაც საკმარისად იომა და უკვე პროფესიულად ეზიზღება იგი. ყველაფერს ვიღონებ, რათა რუსულ მიწაზე სისხლი აღარ დაიღვაროს“.

„რუსი, რომელიც პოლიტიკაზე მაღლა დგას“, — ასეთი სათაურით გვიხატავდა 19 ივნისის „ინტერნეიშენელ ჰერალდ ტრიბუნი“ ლებედის პორტრეტს: „ელცინის შანსები მნიშვნელოვნად გაიზარდა მას შემდეგ რაც ლებედი მის გუნდს შეუერთდა. ავღანეთის ომის გმირსა და გადამდგარ გენერალს ნაციონალისტის იარლიყი აქვს, მაგრამ თუ მისი პლატფორმის მიხედვით ვიმსჯელებთ, იგი უფრო კოლინ პაუელისაკენ (აშშ-ის შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბების ყოფილი თავმჯდომარე — გენერალ შალიკაშვილის წინამორბედი) იხრება, ვიდრე ვლადიმირ ჟირინოვსკისკენ. დასავლეთში იგი ცნობილია, როგორც პიროვნება, ვინც თავის დროზე პირველად გამოთქვა აზრი და იწინასწარმეტყველა საბჭოთა კავშირის გარკვეულწილად რეინკარნაცია. დღეისათვის კი იგი ტრივიალურ პოლიტიკაზე მაღლა მდგომი პიროვნებაა. მართლაც, მისი პროგრამა საკმაოდ პრაგმატულ მოტივებზეა აგებული და, რაც მთავარია, სულიერად ახლოა რუს ხალხთან, რომელიც შინაგანად ელის ძლიერ პიროვნებას, ისეთს, ვინც გაუმკლავდება კრიმინალურ სამყაროს და მთავრობაში შემოიტანს პატიოსნების ცნებას, გამდიდრებულთა დასჯისა თუ სხვა პრორევოლუციური მეთოდების გარეშე. ლებედმა უარყო ეკონომიკის კომუნისტური მეთოდები, როგორც „ჩიხისაკენ მიმავალი გზა“ და უფრო პრორეფორმისტული პოზიციებისაკენ გადაიხარა. ამასთანავე, ელცინისაგან განსხვავებით, რომელმაც 30 000 კაცის სიცოცხლე შესწირა ჩეჩნეთის კონფლიქტს, ლებედმა მოუწოდა, გაეყვანათ იქიდან რუსეთის მოსახლეობა, ხოლო ამ სეპარატისტული რეგიონის დამოუკიდებლობის საკითხის გადაწყვეტა კი თავად ჩეჩნებისათვის მიენდოთ.

# კანონი, დაგვიანებით, მაგრამ მაინც ამოქმედდა

საქართველოს პარლამენტის ეკონომიკურმა კომიტეტებმა განიხილეს „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საკითხი. აღნიშნული კანონი მიღებიდან მხოლოდ 5 თვის შემდეგ ამოქმედდა. კომენტარი ვთხოვეთ საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარეს ბ-ნ ზურაბ ცქიტიშვილს:

„სიმართლე გითხრათ, დღესდღეობით, საქართველოში არსებული საგადასახადო პარამეტრები მაღალი არ არის. მათი მთლიანი ჯამიც საკმაოდ მისაღები სიდიდე გამოდის, მაგრამ იგი იმდენადვე მგრძნობიარეა, რამდენადაც სამომხმარებლო ბაზარია ძალზე სუსტი, როგორც მყიდველი. ამჟამად არ არსებობს წარმოების განვითარების, საბრუნავი საშუალებების დაგროვების და მისი წარმოებაში კვლავ ჩადების საშუალება, ამიტომ მეწარმეს რჩება ერთადერთი გზა, ბანკს სესხის მისაღებად მიაკითხოს. აღსანიშნავია, რომ ეროვნულ ბანკს კრედიტის მისაცემად არც იურიდიული და არც მორალური უფლება არა აქვს. ამ შემთხვევაში, კრედიტს კომერციული ბანკები გასცემენ, მაგრამ საკრედიტო რესურსების ნაკლებობის გამო პროცენტული დანარიცხები საკმაოდ მაღალია, ამიტომ მეწარმეებს ისღა დარჩენიათ, გააძვირონ პროდუქცია. ამ გარემოებათა წყალობით, ქართველი მეწარმეები ნაკლებად სარგებლობენ კომერციული ბანკების სესხით და ეძებენ უცხოელ პარტნიორებს, რომელთა თავისუფალ კაპიტალს თავიანთი საქმიანობისათვის გამოიყენებენ. ამ შემთხვევაში, არა მარტო მათი კაპიტალის გამოყენების, არამედ მათთან მუშაობის სიკეთესაც ვხედავ.

ქართველ მეწარმეებს გარკვეული ცოდნის ამაღლება სჭირდებათ. ისინი ცოდნას უცხოელ პარტნიორებთან ურთიერთობებში მიიღებენ, ისწავლიან სამომხმარებლო ბაზრის გამოკვლევის სწორ მეთოდებს, კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებას, წარმოების პროცესის სწორ მართვას და სხვა მრავალ სასიკეთო საქმიანობას.

საქართველოს რესპუბლიკაში გატარებული რიგი რეფორმები იძლევა საშუალებას (აგრეთვე; ეს უსაფრთხოების გარანტიცაა), მოვიზიდოთ უცხოური ინვესტიციები. ინვესტორებს გარკვეული სტიმულიც სჭირდებათ. ზუსტად ასეთ სტიმულს გულისხმობს კანონი „უცხოური ინვესტიციების შესახებ“. კანონის 21-ე მუხლი ინვესტორებს სწორედ ასეთ შეღავათებს აძლევს.

სტიმული უნდა შეხებოდა ან სოციალურ სფეროს (ხელფასების ზრდას და გარკვეულ სუბსიდიებს, რომელიც სამომხმარებლო ბაზარზე მოთხოვნილებას გაზრდიდა), ან საწარმოო სფეროს. ვინაიდან ჩვენი ბიუჯეტი ვერ შეძლებს მოსახლეობისათვის სუბსიდიების გაცემას (კერძოდ, საბიუჯეტო ორგანიზაციები), ალბათ, სწორი იქნება თუ მასტიმულირებელი ორგანიზმი საწარმოო სფეროში ამუშავდება, გამოჩნდება სამუშაო ადგილები, გაიზრდება ხელფასის ოდენობა და სხვ.

თუ უცხოელი 100 000 დოლარს დააბანდებს ეკონომიკის რომელიმე დარგში, მას ეძლევა უფლება (ეს უფლება ლიცენზირების სახით არის გამოხატული) ქართველ მეწარმესთან ერთად ისარგებლოს იმ შეღავათებით, რომლებიც „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ კანონშია მოცემული.

100 000 დოლარი ყველაზე მინიმალური თანხაა. ფაქტობრივად, უცხოელი ინვესტორი ამ თანხით მოიპოვებს კანონში აღნიშნული შეღავათებით სარგებლობის უფლებას.

უკვე 30-მა საწარმომ მიიღო ლიცენზია. რაც შეეხება შეღავათებს, მოგების გადასახადს საწარმო 2 წლის განმავლობაში არ გადაიხდის, შემდგომი 4 წლის განმავლობაში გადასახადი განახევრდება. ამავე დროს, მეწარმე არ იხდის უცხოეთიდან შემოტანილ ნედლეულზე, დამხმარე მასალებზე და სხვ., როგორც საბაჟო, ისე 20%-იანი დამატებითი ღირებულების გადასახადს. სამაგიეროდ, ამოქმედებულ საწარმოში საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო ფონდები შეიქმნება, მაგ: სოც-ანარიცხების საწარმოს ინვესტირების შემთხვევაში, ეს მაჩვენებლები გაიზრდება, რაც საქართველოს ბიუჯეტსაც გაზრდის.

ამრიგად, ეს შეღავათები, რომელსაც „უცხოური ინვესტირების შესახებ“ კანონი აძლევს უცხოელ ინვესტორებს, ჩვენი მეწარმეებისთვისაც მისაღებია, რადგან ქართველი მეწარმეები უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობით წარმატებებს აღწევენ საქართველოს ეკონომიკის სხვადასხვა დარგების აღორძინებაში.

*ირმა სამხარაძე*

# სომხეთს საკუთარი შტრიხ-კოდი აქვს

ამ დღეებში სომხეთი საქონლის ნუმერაციის ევროპული ასოციაციის „EAN-INTERNATIONAL~-ის წევრი გახდა. ამიერიდან მას საკუთარი სავაჭრო შტრიხ-კოდი გააჩნია, მისი ნომერია 485, რომელიც ნაწილობრივი საწევრო გადასახადის — 200 ათასი ბელგიური ფრანკის შეტანის შემდეგ მიიღო (მთლიანი შესატანი 500 ათასი ფრანკია). სომხეთმა გადაიხადა, აგრეთვე, შესატანი თანხაც — 2,5 ათასი დოლარი. EAN-ARMENIA-ს ეროვნული ასოციაციის დირექტორის პ. ასლანიანის თქმით, კოდი სომხეთს საშუალებას აძლევს, რომ ეს ნიშანი მიაკუთვნოს სამამულო საწარმოებსა და საქონელს. სომხეთის კოდი პირველებმა მიიღეს ერევნის კონიაკის ქარხანამ და ფირმა „ჯერმუკმა“, რომელიც მინერალურ წყალს უშვებს. სომხეთის 14 საწარმოს შეტანილი აქვს განაცხადი კოდის მისაღებად. მომსახურების ტარიფია 600 დოლარი.

*სეგოდნია № 103*

# ევროგვირაბმა საზაფხულო ფასები შემოიღო

შარშან, ლა-მანშის გვირაბში ერთი მიმართულებით გავლის საფასური 100 ფუნტ სტერლინგს აჭარბებდა, ზოგიერთ კონკრეტულ შემთხვევაში კი, 300 ფუნტამდე ადიოდა. ახლა, 31 აგვისტომდე, „ევროგვირაბში“ ფასებს ამცირებენ, ზაფხულის განმავლობაში ერთი ავტომობილის გასვლა 129 ფუნტიდან 266 ფუნტამდე ჯდება. „ევროგვირაბის“ კონკურენტ კომპანიაში „UROPEAN FORRIES“-ში ოთხი მგზავრიანი მანქანის გატარება 149-დან 339 ფუნტამდე ღირს.

*კომერსანტ დეილი №103*

*ირლანდიამ და ახალმა ზელანდიამ* საკუთარი ეროვნული შემოსავლის უფრო დიდი ნაწილი დახარჯა განვითარებადი ქვეყნებისათვის, ვიდრე აშშ-მა. შეერთებული შტატების პოლიტიკა ამ მიმართულებით სასტიკად გააკრიტიკა ქლინთონის ადმინისტრაციის საგარეო დახმარების დირექტორმა ჯ. ბრაიან ატვუდმა. მან აღნიშნა, რომ შეერთებული შტატები საგარეო დახმარებაზე ხარჯავს ფედერალური ბიუჯეტის ერთ პროცენტზე ნაკლებს, რაც დაბლა წევს ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტს. აშშ-ის კონგრესმა საერთაშორისო განვითარებისა და ჰუმანიტარული დახმარების ფონდები 1995 წელთან შედარებით 8,4 მილიარდიდან 7 მილიარდ აშშ დოლარამდე შეამცირა (შედარებისათვის: იაპონიამ 1995 წელს საერთაშორისო დახმარებაზე დახარჯა 15,5 მლრდ. აშშ. დოლარი). აღსანიშნავია, აგრეთვე, ის ფაქტი, რომ ამერიკის დახმარების დიდი ნაწილი კონცენტრირებულია ისრაელსა და ეგვიპტეზე. 1995 წელს ამ მიმართულებით დახარჯული 7,3 დოლარიდან 2 მილიარდზე მეტი მოხმარდა ამ ორ ქვეყანას.

*სსს პრესსამსახური*

# როგორ გამდიდრდნენ „ახალი რუსები“

*ა. ოსლუნდი. კარნეგის ფონდის მთავარი მრჩეველი:*

უკანასკნელ რამდენიმე წელიწადში რუსეთში მართლა მდიდრები გაჩნდნენ — ბანკირები, ნავთობ-გაზის მრეწველობის წარმომადგენლები, ვაჭრები, მაღალი თანამდებობების პირები. ზოგიერთმა მათგანმა ერთ მილიარდ დოლარზე მეტის დაგროვება შეძლო.

როგორ მოახერხეს ეს? რუსეთის რიგითი მოქალაქეები ფიქრობენ და დასავლელი სპეციალისტებიც იმ აზრისანი არიან, რომ მათ ამაში ვაუჩერის პრივატიზაცია დაეხმარა, რომელიც ყოფილმა ვიცე-პრემიერმა ა. ჩუბაისმა წამოიწყო. საერთო აზრით, სახელმწიფო საწარმოთა ხელმძღვანელებს პრივატიზაციამ, ფაქტობრივად, ამ დაწესებულებათა მითვისების საშუალება მისცა. ეს ვარაუდი სინამდვილეს არ შეესაბამება, რადგან რუსეთი შედარებით გახსნილი ეკონომიკის ქვეყანა გახდა.

სინამდვილეში კი, უმეტესწილად, სიმდიდრეს სამი ძირითადი წყარო აქვს: კრედიტები, ფარული ექსპორტული სუბსიდიები და იმპორტის დოტირება. გამდიდრების ამ საშუალებებმა, რომლებიც 1988 წელს წარმოიქმნა სოციალისტური ტიპის ეკონომიკის მოწესრიგებასთან დაკავშირებით, 1991 წელს, როცა საბჭოთა ეკონომიკა მთლიანად მოიშალა, არნახული მასშტაბები მიიღო.

გამდიდრების მეორე მძლავრი წყაროა ნავთობის, ბუნებრივი გაზის, ლითონებისა და სხვა ნედლეულის ექსპორტი.

დიდი მოხელეები, რომლებიც კომპანია-წარმოებებსაც ჩაუდგნენ სათავეში, იაფად ყიდულობდნენ ნავთობსა და ლითონებს შიდა ბაზრებზე. საექსპორტო ქვოტებსა და ლიცენზიებს უმატებდნენ და მსოფლიო ბაზრებზე ყიდდნენ პირადი მოგების მიზნით. ამავე დროს წარმოიქმნა მძლავრი მაფიაც, რომელიც განსაკუთრებით აქტიურად მოქმედებდა მეტალურგიულ სექტორში. ნავთობის მრეწველობის წარმომადგენლები 1995 წლის დამლევამდე წინააღმდეგობას უწევდნენ ნავთობზე ფასის გაზრდას, თუმცა, ეს სულაც არ შეესაბამებოდა საზოგადოებრივ ინტერესებს.

გამდიდრების მესამე მძლავრი წყაროა ექსპორტის სუბსიდია. 1991 წლის ზამთარში, საყოველთაო შიმშილობის შიშით, რუსეთმა დიდი თანხები გამოჰყო 1992 წლის იმპორტის დასაფინანსებლად. იმპორტიორები, ვალუტის ყიდვის დროს, სახელმწიფოს მოქმედი გადამცვლელი კურსის მხოლოდ 1 პროცენტს უხდიდნენ, მთავრობა კი ამ სუბსიდიას დასავლეთის სასაქონლო კრედიტების დახმარებით ახორციელებდა. მაგრამ იმპორტული პროდუქტები რუსეთში ჩვეულებრივ ფასად იყიდებოდა და ამ სუბსიდიამ მოსკოველ ვაჭრებს გაუსქელა ჯიბე.

*იბეჭდება შემოკლებით*
*ფინანსოვიე იზვესტია №64*

# საქართველოს საკუთარი ნავთობი ექნება

ამერიკული სამშენებლო ფირმა „HAU BEIKERIS“ პრეზიდენტი ბილ უაითი „საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კომპანიის“ პრეზიდენტ გია ჭანტურიასთან ერთად განიხილავს გაჩიანში ნავთობგადამამუშავებელი მინიქარხნის მშენებლობის პერსპექტივებს.

გურიის რეგიონში, კერძოდ, სუფსაში, უკვე მუშაობენ ტენდერში გამარჯვებული საერთაშორისო კომპანიები, საზღვარგარეთული ფირმები, ეკონომიკური ორგანიზაციები და „საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კომპანიის“ წარმომადგენლები. შერჩეულია ადგილი, დადგმულია. სანიშნე ბოძები, სწავლობენ გრუნტს, რამდენიმე ადგილას საცდელი ჭაბურღილები დგას. გათვალისწინებულია 8 ტერმინალის დადგმა (თითო 33 ტონიანი), აქედან — 2 ტერმინალი სარეზერვო იქნება. მალე ფოთის ნავსადგურში შემოვა ორი გემი, რომლებიც მოიტანენ ნავთობმომპოვებელი სამუშაოსთვის საჭირო მასალებს. 1 ივლისიდან, საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კომპანია თანამშრომელთა შესარჩევად ჩაატარებს კონკურსს.

ნავთობის მოპოვებასთან დაკავშირებით გამართულ პრესკონფერენციაზე ითქვა, — დასავლეთის მიმართულებით ნავთობის ტრანსპორტირების განხორციელების შემდეგ, საქართველო იქნება არა მარტო სატრანზიტო, არამედ კავკასიის ინტერესების მაკოორდინებელი სტრატეგიული მნიშვნელობის ქვეყანა.

კომპანია „შევრონი“ იზიარებს საქართველოს ვარიანტს ალტერნატიული ნავთობსადენების შექმნაში. მათი აზრით, საქართველოს მარშრუტი ყველაზე მისაღები და, რაც მთავარია, ეკონომიურია.

*საკუთარი ინფორმაცია*

# შვეიცარიაში იხილავენ ფულის „ჩამორეცხვის“ საწინააღმდეგო კანონს

შვეიცარიის მინისტრთა კაბინეტმა დაამტკიცა არალეგალურ შემოსავალთა „ჩამორეცხვის“ წინააღმდეგ ბრძოლის კანონის პროექტი. თუ პარლამენტი მას მიიღებს, ბანკის თანამშრომლები ვალდებულები იქნებიან არა მარტო ყველა საეჭვო კლიენტის შესახებ აცნობონ პოლიციას, არამედ გამოძიების დამთავრებამდე გაყინონ აქტივი. გარდა ამისა, ბანკირებმა და იურისტებმა ხელისუფალთ უნდა აცნობონ ნარკოტიკებით ვაჭრობისა და უკანონო ოპერაციათა შედეგად შემოსული ფულის შესახებ. იურიდიული პასუხისმგებლობა ეკისრებათ სხვადასხვა ორგანიზაციებს, რომლებიც აქამდე არ ემორჩილებოდნენ ფულის „ჩამორეცხვის“ საწინააღმდეგო კანონს.

*ფინანსოვიე იზვესტია №64*

# ფულს, როცა ბევრი გაქვს, სხვასაც უწილადებ

აშშ-ის კონგრესის კომისიამ განსაზღვრა „უცხოეთის დასახმარებლად“ გამოყოფილი თანხა — იგი 12,2 მილიარდ დოლარს შეადგენს. ეს 327 მილიონი დოლარით მეტია, ვიდრე წარმომადგენელთა პალატა ითხოვდა და 700 მილიონით ნაკლები, ვიდრე ქლინთონის ადმინისტრაციას სურდა. ვარაუდობენ, რომ 5,1 მილიარდ დოლარს როგორც ყოველთვის, მიიღებს ისრაელი და ეგვიპტე, 475 მილიონს — აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები (აქედან 200 მილიონ დოლარს ბოსნია), 640 მილიონს კი ყოფილი საბჭოთა ქვეყნის რესპუბლიკები. აზიის განვითარების ფონდს 100 მილიონი დოლარი გადაეცემა, ევროპის განვითარების ბანკს კი 12 მილიონი დოლარი.

*კომერსანტ დეილი № 103*

# მონაკო საბანკო ანაბრების საიდუმლოს გაძლიერებას აპირებს

მართალია, მონაკოს სამთავრო, ჯერჯერობით „საფინანსო სამოთხის“ ხელსაყრელ კატეგორიას არ ეკუთვნის, მაგრამ თავის მუდმივ მაცხოვრებელთა შორის ჰყავს კინოვარსკვლავებისა და სხვა ცნობილი პიროვნებების მთელი პლეადა, რომლებიც ამა თუ იმ ფორმით გაურბიან გადასახადებს. უკანასკნელ ხანს აქ ცხოვრებაზე უფლების პერსპექტივა მიიღეს რუსმა მეწარმეებმა და სპორტსმენებმა.

ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა შვეიცარია და ლუქსემბურგი, სერიოზული უპირატესობა აქვთ მონაკოს წინაშე, რაც საბანკო ანაბრის სრულიად საიდუმლოდ შენახვაში მდგომარეობს. თუ ბანკის თანამშრომლებმა საიდუმლო გასცეს, ეს კანონის თანახმად, მათ სერიოზულ უსიამოვნებას შეამთხვევს. სწორედ ამ კანონის უქონლობას მიიჩნევენ სპეციალისტები მონაკოს საბანკო სისტემის ერთადერთ სუსტ წერტილად.

საერთაშორისო საფინანსო ბაზარზე თავისი კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად და კაპიტალის მოსაზიდად, ადგილობრივი ხელისუფლება ამზადებს რამდენიმე კანონპროექტს, რომელსაც წლის დამლევს პარლამენტზე გაიტანენ განსახილველად.

კერძოდ, მზადდება კანონი, რომელიც, საიდუმლოს გაცემის შემთხვევაში, ითვალისწინებს საბანკო მოხელის მკაცრ დასჯას. გამორიცხული არ არის, რომ კლიენტების ინტერესის დასაცავად შეიქმნება სპეციალური იურიდიული სტრუქტურები, რომლებიც გააიოლებენ შეტანილი ანაბრის მართვას. თუმცა, ახალი კანონები არ შეეხება საფრანგეთსა და მონაკოს შორის 1963 წელს დადებულ კონვენციას, რომლის თანახმად, სამთავროში მუდმივად მცხოვრები ფრანგები გადასახადს საფრანგეთში გადაიხდიან — გამონაკლისია მხოლოდ მემკვიდრეობის მიღების შემთხვევაში არსებული გადასახადი.

საფრანგეთსა და მონაკოს შორის საზღვარი არ არსებობს და ერთმანეთთან სავალუტო-საბაჟო კავშირი აერთიანებთ. სამთავროს ვალუტაა — ფრანგული ფრანკი. იმის მიუხედავად, რომ მონაკო გაეროს წევრია 1993 წლიდან, და იგი ეროვნული საბჭოს წევრი არ არის, 2002 წელს გადავა საერთო ევროპულ ვალუტა — ევროზე.

მონაკოს რომელიმე ბანკში ანგარიშის გასახსნელად, როგორც წესი, კლიენტი ნახევარმილიონ ფრანგულ ფრანკზე ნაკლებს ვერ შეიტანს.

*ფინანსოვიე იზვესტია №64*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიყვარს და ვკლავ...

აღდგომა ღამეს პოლონელი ემიგრანტების, ზაკრჟევსკების ოჯახი — დედა, მამა და მათი ორი ვაჟი (11 და 16 წლის) — პარიზის კინოთეატრში უყურებდა ფილმს „თუთიყუში“, რომელშიც საშინელი მკვლელობის ამბავი იყო ასახული. როცა მეორე დღეს ზაკრჟევსკის ოჯახის არცერთი წევრი არც სამუშაოზე გამოჩნდა და არც სკოლაში, ბიჭების თანაკლასელებმა შინ მიაკითხეს არტურსა და ადამს. როცა მადამ ზაკრჟევსკაიას ფეხები ჰაერში მოყანყალე დაინახეს, გულგახეთქილი ბავშვები კიბეზე თავპირისმტვრევით დაეშვნენ. რამდენიმე წუთში პოლიციამ ადამის ცხედარი იპოვა, იგი ყელგადაფატრული საწოლზე იწვა. პირველსა და მეორე სართულს შორის, ოთახში ყელზე თოკშემოხვეული არტური ნახეს. მეუღლეების საწოლ ოთახში 48 წლის ოჯახის მამა პეტრე იპოვეს, — დანით იყო მოკლული. პარიზის რესპექტაბელური გარეუბანი — სო, სადაც უბედურება დატრიალდა, შეძრწუნდა. პირველივე წუთებიდან ნათელი გახდა, რომ მკვლელი დედა იყო...

ზაკრჟევსკების ოჯახი ყველას სანიმუშოდ მიაჩნდა. ცოლ-ქმარი არქიტექტურული ბიუროს პატრონები იყვნენ, ძალიან მდიდრად თუ არა, შეძლებულად ცხოვრობდნენ, შვილები კარგად სწავლობდნენ, ოჯახში სიმშვიდე სუფევდა. ოჯახის დიასახლისი კეთილი, მშვიდი ქალბატონი იყო. ხოლო ტრაგედიის შემდეგ, ბინის ჩხრეკისას, იპოვნეს ძლიერმოქმედ წამალთა რეცეპტები, რომლებითაც, როგორც ჩანს, ინარჩუნებდა ქალი წონასწორობას.

კინოთეატრიდან ფილმში მომხდარი უბედურებით დათრგუნულები გამოვიდნენ (სხვათა შორის, ეკრანზე ბავშვი სწორედ ისე მოკლეს, როგორც ეს მარგარიტამ გააკეთა). შინ მისულებმა თავიანთ ოთახებს მიაშურეს.

ძნელი წარმოსადგენია, რა ხდებოდა იმ ღამეს მარგარიტას სულში... ყველას, ოჯახის დედის გარდა, ორგანიზმში ძილის წამალი აღმოუჩინეს. ამის გარდა, გაკვეთამ უჩვენა, რომ ერთი კვირით ადრე შეეცადნენ ოჯახის მამისა და შვილების მოწამვლას (მაშინ ბიჭებმა სკოლაში თქვეს, რომ სოკოთი მოიწამლნენ და იმიტომ არ დადიოდნენ). როგორც ჩანს, მარგარიტამ წამალი საკმაო დოზით ვერ იხმარა და ქმარ-შვილი სიკვდილს გადაურჩა. გარდაცვლილებს ძალადობის კვალი არ ემჩნეოდათ.

ექსპერტებმა და ფსიქიატრებმა დაადგინეს, რომ მარგარიტა დაავადებული იყო ე.წ. „ალტრუისტული მელანქოლიით“. ამ ავადმყოფობის კრიზისი იმაში გამოიხატება, რომ დაავადებული მარტო თავს კი არ იკლავს, ყველაზე ახლობელ და საყვარელ ადამიანებსაც კლავს, რათა ისინი მარტონი არ დატოვოს ამქვეყნად, სადაც, მათი აზრით, ეშმაკეული ბატონობს.

ფსიქიატრებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ ფილმმა კიდევ უფრო შეუწყო ხელი მარგარიტას განზრახვის ასრულებაში.

კომსოლსკაია პრავდა №116

# პატარებს ციხეშიც მშვიდად სძინავთ

მათი ყველას შურს, ამ 70 წლის ბებოსაც, 3 ტომარა კომბსაკვების მისაკუთრებისათვის რომ ზის, და 15 წლის მამისმკვლელ თვალნამიან გოგონასაც. ეს ფარული შური, განსაკუთრებით, ზამთრის გაუსაძლის ღამეებში ახრჩობთ, როდესაც 30 კაციან საკანში (8-ზე რომ არის გათვლილი) ერთადერთ უნიტაზთან რიგში დგანან და „ნეტა, ჩვენს დედიკოებსო“, — ფიქრობენ.

დედიკოებს მართლაც აქვთ შესაშური, — ქალების კოლონიაში მათზე პრივილეგიური კასტა არ არსებობს. სამშობიაროდ ისინი ქალაქის საავადმყოფოში გადაჰყავთ, ორი დღის შემდეგ, სპეცტრანსპორტითა და დაცვით უკან აბრუნებენ, ჩვილს რამდენიმე ხნის შემდეგ მოუყვანენ. ციხის საზომებით თუ ვიტყვით, სამ ფართო ოთახში ხალვათადაც კი გრძნობენ თავს. ასეთი კომფორტი ზოგიერთს გარეთ, თავისუფლების „ზონაშიც“ კი არ ღირსებია: სამზარეულო, აბაზანა, საშრობი, რაც ახალშობილის მოსავლელად, საკვებად და ჩასაცმელად არის საჭირო, ესეც ადმინისტრაციის საზრუნავია და ეს „ჩვენი დედიკოები“ ერთს რომ წამოჩიტავენ, იმაზე იწყებენ ზრუნვას, მეორე როდის და როგორ ჩაისახონ.

სუფთა ქვეშაგებში ტკბილად სძინავთ პატარებს, სულ შვიდნი არიან. მათი პაწია სიზმრები ლაღია და მშვიდი, ყველაზე საყვარელი ადამიანები გვერდით ჰყავთ, ჯერ არ იციან, რომ სამი წლისანი ცხოვრების წესს შეიცვლიან. დედიკოს დააშორებენ და საბავშვო სახლებში გადავლენ, ზოგიერთი საერთოდ ველარ შეხვდება დედას. პატარებს ბევრი და-ძმანიც ჰყავთ, ასევე უპატრონოდ აქეთ-იქით მიბარებული, მამილოებსოვთ.

ხდება ბედნიერი შემთხვევაც, როდესაც დედა-შვილი ერთად ტოვებს აქაურობას, ან ბებიას მიჰყავს შვილიშვილი, მაგრამ ეს იშვიათობაა. უფრო ხშირად კი ხდება: გააჩინა (სიცოცხლე ხომ უნდა გაგრძელდეს, მერე რა, პატიმარი რომ ვარო), სამი წელი იცხოვრა ადამიანურად, შემდეგ შვილი საბავშვო სახლს მიაბარეს და „დედიკო“ აღარ დაინტერესებულა მისი ბედით, ციხიდან

გამოსულს დაწესებულების მისამართიც კი არ უკითხავს. ფეხმძიმე ქალებს ციხის ადმინისტრაცია სთავაზობს აბორტს, მაგრამ, როგორც წესი, ამას არავინ თანხმდება, უხმობენ დედობრივ ნაზ, ყველაფრისგადამლახავ გრძნობებს, დედაშვილობის ულევ ძაფებს და... აღარაფრად უღირთ მოწყვეტილი პატარები, გათავისუფლებული დედიკოები ძალიან დატვირთულნი და სხვა საქმეებით დაკავებულნი აღმოჩნდებიან ხოლმე, — 50 ათასი რუსი „დეტდომელის“ ყოველი მეათის ცხოვრება საპატიმროდან იწყება.

— ყველა არ გაივლის ამ გზას, ჩემი ლენოჩკა სიცოცხლეს მირჩევნია, — იხუტებს პირმშოს 17 წლის ლურჯთვალა პატიმარი და მეორე დედიკო ასეთ ამბავს შეახსენებს, — ერთი ჩვენიანი, აქაური დედიკო სასამართლოში წაიყვანეს, პატარა ჩვენ დაგვიტოვა მისახედად. ისე მოხდა, რომ იგი დარბაზიდანვე გაუშვეს, როგორ გგონიათ, მოაკითხა შვილს? ნურას უკაცრავად, ჩვენ მოვაჩიტეთ და საბავშვო სახლს ჩავაბარეთ...

არადა, თითქოს დედის ინსტინქტზე უძლიერესი არაფერიაო ამქვეყნად.

დვოე №13

# დააპატიმრეს იტალიური მაფიის ბოსი

იტალიის ყველაზე დიდი მტერი, „კოზა ნოსტრას“ ბოსი — ჯოვანი ბრუსკა ოჯახთან ერთად ვახშმობდა, ტელევიზორში აჩვენებდნენ ფილმს მაფიის წინააღმდეგ მებრძოლ ჯოვანი ფალკონეზე. გარეთ კი, 100 კბილებამდე შეიარაღებული პოლიციელი სახლზე თავდასასხმელად ემზადებოდა, — ყველა მათგანი მაფიის ბოსის დაჭერაზე ოცნებობდა, რომელმაც, ოთხი წლის წინ, სახალხო გმირი ფალკონე 500 კგ-იანი ბომბით ააფეთქა. ბოლოს და ბოლოს, პოლიციელები სახლში შეცვივდნენ, ბრუსკამ წინააღმდეგობის გაწევა დააპირა, მაგრამ ამაოდ.

პოლიცია ექვსი წელი დასდევდა ბრუსკას. მაფიის წინამძღოლის მიერ დაღვრილი სისხლი ყოველ წელიწადს მატულობდა. ბრუსკამ მოკლა მაფიის წინააღმდეგ მებრძოლი ფალკონე და ბორსელინო, მის კისერზეა იმ საშინელ მკვლელობათა უმეტესობა, რომლებსაც „კოზა ნოსტრას“ მიაწერენ. 1993 წელს, როცა დიდი ბოსი სალვადორე „ტოტო“ რინა დააპატიმრეს, მისი ადგილი ჯოვანი ბრუსკამ დაიკავა. ესოდენი აღზევება მისმა რკინისებურმა ნერვებმა და ქილერის აბსოლუტურმა ინსტინქტმა განაპირობა.

საშინელი სისასტიკით უსწორდებოდა მოღალატეებს, პოლიციას და მთელ იტალიელ ხალხს. მაფიის ბომბები რომში, მილანსა და ფლორენციაში მუზეუმებსა და ეკლესიებს ანგრევდნენ.

მისი სისასტიკის უკიდურესი გამოვლინება იყო 12 წლის ჯუზეპე დი მატეოს მოტაცება. ბიჭის მამა „ღირსეული საზოგადოების“ წინააღმდეგ მთავარ მოწმედ გამოდიოდა სასამართლოზე და ამან მეტად განარისხა მაფიის ბოსი. ბრუსკას ყმაწვილი 12 თვის განმავლობაში დატყვევებული ჰყავდა, მერე დაახრჩო და მისი გაძვალტყავებული გვამი მჟავით სავსე აბაზანაში ჩაადნო. ბოლო თვეებში ბრუსკა დაპატიმრებას სამჯერ გადაურჩა. პოლიციას მის სამალავებში მხოლოდ ძვირფასი პერანგები, მიკი-მაუსიანი რვეულები და უამრავი იარაღი ხვდებოდა.

ბრუსკას რომის ფეხბურთის სტადიონის დაბომბვა ჰქონდა დაგეგმილი. დღეს პოლიცია თვლის, რომ ბრძოლა მოიგო, მაგრამ დარწმუნებული არაა, ეს გამარჯვება დიდხანს თუ გასტანს. ფიქრობენ, რომ მალე ამოქმედდება შავი სამყარო და ყველაფერს იღონებს თავისი ლიდერის გამოსაშვებად.

ფოკუსი 22/1996

# სომხური დიასპორა მოსკოვში

ქილერი მსხვერპლს სადარბაზოსთან ელოდა. ისიც, დაბარებულივით, ზუსტად განსაზღვრულ დროს, ლაპლაპა „BMV“-დან გადმოვიდა. წარმოსადეგმა, ბრგე აღნაგობის მამაკაცმა ის იყო სადარბაზოს სახელურს ხელი მოჰკიდა და სროლაც გაისმა, მკვლელმა მიბრჯნით, თავში ესროლა. როდესაც შემთხვევის ადგილზე ოპერმუშაკები მოვიდნენ, სისხლის გუბეში თავგახვრეტილი კაცი იხილეს, მის გვერდით სამი ჰილზა და საზღვარგარეთული პისტოლეტი ეგდო.

როგორც მოსალოდნელი იყო, არავინ არაფერი იცოდა...

მოკლული აღმოჩნდა 30 წლის სომეხი ბიზნესმენი სურენ ბ. მეზობლების თქმით, იგი დიდი ფულის პატრონი იყო.

ახლა მეორე შემთხვევასაც გაგაცნობთ...

...დედაქალაქის „რუოპელები“ სომხეთის მოქალაქის ჯილავიანის ასაყვანად მოვიდნენ. რამდენიმე ხნის უკან, მას წაუყენეს იარაღის უკანონოდ ტარების, შენახვის და გასაღების ბრალდება. აღმოუჩინეს საბრძოლო მასალისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების მთელი არსენალი: სამი ავტომატი, პისტოლეტები, ყუმბარები და ოთხი ჯავშანჟილეტი — ეს ყველაფერი ტერორისტებისგან თავდასაცავად მჭირდებაო, — ახსნა პატრონმა. მაშინ სერჟ ჯილავიანი თავდებით გამოუშვეს, აბა, რა ექნათ, კანონდამრღვევი მეტად პატივსაცემი პიროვნება — საერთაშორისო სომხური ასამბლეის პრეზიდენტი აღმოჩნდა. მდიდარი ბიზნესმენი აღარ დაელოდა მეორედ როდის მოაკითხავდნენ და საცხოვრებელი ადგილი შეიცვალა.

გამოცხადდა ძებნა. მოკვლევის მასალებმა დადასტურეს, რომ იგი მარტო სასამართლოს და მილიციას კი არა, მევალეებსაც დიდხანს გაურბოდა. „პატივცემული პიროვნების“ საქმენი საგმირონი სპიტაკის თავზარდამცემი მიწისძვრის დროს დაწყებულა, შეუქმნია საერთაშორისო ეროვნული ასამბლეა, მიულია უამრავი შემოწირულობანი და, „საკუთარი პირი უფრო ახლოას“ პრინციპით, მთელი თანხის ბატონ-პატრონი თვითონ გამხდარა. ამას დამატებია პავლოვისდროინდელი ფულის შეცვლის მაქინაციები, საბანკო ოპერაციების არნახული მასშტაბები და წამოვიდა ზღვა ფული.

რკინის კარების გაღებას არავინ ჩქარობდა. აფეთქება არ შეიძლებ-ოდა, მოსახლეობა დაზარალდებოდა, არადა, ბინაში აშკარად იყო ვიღაც, რომელიც დიდხანს დუმდა. ბოლოს და ბოლოს, ბინაში შესვლა მარტო კარებიდან ხომ არ არის აუცილებელი, კედლიდანაც შეიძლება და დაიწყეს ბურღვა. როდესაც ხვრელში კაცი უკვე გაეტეოდა, ამ დროს კარიც გაიღო და სახეზე გაოცებაგამოხატულმა, თითქმის ღიმილიანმა ჯილავიანმა „სტუმრები“ შეიპატიჟა, — თავიდანვე გეთქვათ, თქვენ რომ იყავით, მე ბანდიტები მეგონეთო.

„არტისტმა“ მაშინაც შესანიშნავად შეასრულა სცენა, ჩხრეკის დროს დიპლომატი რომ გახსნა და ეს ჩვენი ასოციაციისთვის შემოწირული ვალუტით იყო სავსე და მილიციის თანამშრომლებმა ხელი მოითბეს, ასი ათასი დოლარი ხელს გააყოლესო.

აკრძალული ილეთი ჰქვია, აბა, რა? წესით, ახლა ჩხრეკა მილიციის თანამშრომლებს უნდა ჩაუტარო, მაგრამ, რაც არ უნდა ცდილიყო, ახლა ჯილავიანს კოვზი ნაცარში ჩაუვარდა, მისმა ფოკუსებმა აღარ გასჭრა. ბინაში აღმოუჩინეს ხელოვნების იშვიათობა, სამი უზარმაზარი (1მX2მ-ზე) ხატი და მეთვრამეტე საუკუნის ვიოლინო (ადვილი შესაძლებელია, თავად სტრადივარიუსის ნამუშევარი).

საზღვარგარეთული პასპორტის მიხედვით, ბ-ნი სერჟი ესპანეთიდან კი არა, უზბეკეთიდან იყო ჩამოსული და ახალი პროფესია — სავაჭრო ფლოტის მეზღვაურობაც შეეძინა.

პრავდა-5 №23

# ნუ გვეძახით მაფიოზოს

პალერმოს მერს, ლეოლუკა ორლანდოს ესაუბრება „ტრუდ-7“-ის კორესპონდენტი:

*— თუ საიდუმლო არ არის, ჩვენს შეხვედრამდე რაზე ესაუბრებოდით პროკურორ კაზელის?*

— სიცილიაში არასრულწლოვანთა პრობლემებზე, განსაკუთრებით, იმ ახალგაზრდათა ბედზე, რომლებიც მაფიოზურ კულტურაში გაიზარდნენ... მაფიას აქვს თავისი ტრადიცია, კულტურა. მის წარმოდგენაში ყველაფერი, რაც კი რეალურად არსებობს, ვიღაცას უნდა ეკუთვნოდეს. მაფიისთვის არ არსებობს საერთო საქმე. არსებობს მხოლოდ „კოზა ნოსტრა“ — „ჩვენი საქმე“. მაფიოზური ფილოსოფია ნივთებზეც ვრცელდება და ცოცხალ ადამიანებზეც. ეს ჩვენი ტრაგედიაა. კარგი იქნებოდა, ერთ დღეს რომ აღმოგვეჩინა, სიცილიაში მაფია ფრანგებმა ან გერმანელებმა შემოიტანესო, მაგრამ მაფია სხვა ხალხისგან არ მოსულა, იგი სიცილიის ისტორიის ნაწილია. ამიტომ გაძლიერდა ასე და ამიტომაც არის მასთან ბრძოლა ასე ძნელი... მთელ მსოფლიოში, როცა ჩვენს კუნძულს ახსენებენ, მაშინვე მაფიაც აგონდებათ. ჩვენ, სიცილიელებმაც ვიცით, რომ უფრო დიდი მტერი, ვიდრე მაფიაა, არა გვყავს და პირველი მსხვერპლნიც ჩვენ ვართ. თუნდაც, ოჯახი ავიღოთ. იგი კრიმინალური ორგანიზაციის განსახიერებად იქცა, ამასთან ნამდვილი ოჯახის ფასეულობებით ცხოვრობს. მეგობრობა დანაშაულებრივი თანამონაწილეობის ფორმად იქცა, პატიოსნებაზე ნორმალური. შეხედულება სამარცხვინოდ ითვლება, თუ იგი „მაფიოზოს კანონებს“ არ ესადაგება.

მე თვითონ სიცილიელი ვარ და ძალიან ვამაყობ ამით. ოჯახიც ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს, მაგრამ, როცა მასზე ვლაპარაკობ, არავინ უნდა იგულისხმოს მაფია. მეგობრობასაც დიდი ადგილი უჭირავს ჩემს ცხოვრებაში, მაგრამ, როცა ვამბობ, ვილაცის მეგობარი ვარ-მეთქი, არ მინდა, ვინმეს მაფიოზო ვეგონო. ამიტომაც მაფიასთან ბრძოლა ჩვენთან ისტორიასთან, ტრადიციებთან ბრძოლაა.

*— ჰო, მაგრამ ისტორიას იარაღით ხომ ვერ შეებრძოლები?*

— ამიტომაც ენიჭება დიდი მნიშვნელობა სკოლას, ინფორმაციის საშუალებებს, ეკლესიას.

*— ნარკოტიკებითა და იარაღიათ მარტო სიცილიის მაფია ხომ არ ვაჭრობს?*

— დიახ, ირკვევა, რომ, თურმე, ეს საშიში მოვლენა რუსეთის, საქართველოს, ჩეჩნეთის, იაპონიის მაფიაშიც გავრცელებულა, რომ აღარაფერი ვთქვათ, ამერიკისაზე. ამიტომაც თუ სიცილიელები კულტურულ ბრძოლას ვაწარმოებთ საკუთარი მაფიის წინააღმდეგ, მსოფლიო მასშტაბებით ამ ფენომენთან საბრძოლველად საერთაშორისო ძალისხმევაა საჭირო.

*გამომშვიდობებისას ლეოლუკა ორლანდოს ჩვენი წინა შეხვედრა გავახსენე. მას შემდეგ 10 წელმა განვლო, ტრაგიკულად დაასრულეს სიცოცხლე გამომძიებლებმა, — ჯოვანი ფალკონემ და პაოლო ბორსელინომ. მოხდა უამრავი თავზარდაცემი დანაშაული. მაფიოზები თვით ორლანდოსაც არაერთხელ დაემუქრნენ. მაშინ არაფერი უთქვამს მაფიასთან შეიარაღებულ ბრძოლაზე, მაგრამ ცხადია, რომ ეს ბრძოლა ერთი წუთითაც არ წყდება არც სიცილიაში და არც მთელ იტალიაშიც. თუ რამდენად მძიმეა ეს, მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ჯ. ფალკონეს სიკვდილიდან მხოლოდ 4 წლის შემდეგ შესძლეს, კვალში ჩასდგომოდნენ მკვლელს, სუპერმაფიოზოს, ბრუსკას და დაეპატიმრებინათ იგი.*

ტრუდ-7 №109

სიდნეი შელდონი

# უნიღბო სახე

## თავი XIII

— რა?

— ანჯელი, ჩვენ ყველას ნიღაბი გვაქვს აფარებული. ფეხს ავიდგამთ თუ არა, უმალ ვსწავლობთ, როგორ დავმალოთ, რასაც მართლა განვიცდით. ვმალავთ შიშს, სიძულვილს. დონ ვინტონი კი, როცა ხიფათი ემუქრება, ნიღაბს იხდის და თავის ჭეშმარიტ სახეს გვიჩვენებს.

— გავიგე.

— ამ კაცის ყველაზე მტკივნეული ადგილი — მისი ეგოა. თუ რაიმე დაემუქრა, მართლა დაემუქრა, ჭკუიდან შეცდება. იგი ძალიან ახლოს დგას ზღვართან, რომელიც საღ ფსიქიკას სნეული ფსიქიკისგან მიჯნავს. სულ ცოტა კმარა, რომ მან ამ მიჯნას გადააბიჯოს. — ჯადი ჩაფიქრდა და მერე ისე განაგრძო, თითქოს თავის თავს ელაპარაკებაო: — „მანა“ აქვს.

— რაო?

— „მანა“. ასე ამბობენ ხოლმე ველურები იმ კაცზე, რომელსაც ძალუძს, სხვები თავის ნებას დაუმორჩილოს, ვითომდა მის არსებაში ჩასახლებულ დემონთა წყალობით.

— თქვენ თქვით, რომ ის კაცი არც მხატვარია, არც მწერალი და არც მუსიკოსი. საიდან იცით?

— ქვეყნად შიზოფრენიით დაავადებული აუარებელი მხატვარი, მწერალი და მუსიკოსია. უმრავლესობა ძალადობის გარეშე ახერხებს ცხოვრებას, რადგან მათი შემოქმედება ის კარია, საიდანაც შინაგანი დაძაბულობა გამოსასვლელს პოულობს. ჩვენსას კი ამის საშუალება არ გააჩნია. ის კაცი ვულკანივით არის და ერთადერთი გამოსავალი მისთვის ამოფრქვევაა: ჰანსენი, კეროლი, მოუდი.

— იმის თქმა გინდათ, რომ იგი უაზროდ კლავს, რათა...

— მისთვის სულაც არ არის უაზრო, პირიქით... — უცბად, ჯადი ყველაფერს მიხვდა. გუნებაში საკუთარ თავს შეუძახა, ამდენი ხანი ასე რამ დამაბრმავა და დამაყრუაო, — ჯონ ვინტონი თავიდანვე ჩემზე ნადირობდა. ჯონ ჰანსენი იმიტომ მოკლეს, რომ მე ვეგონე. მკვლელმა რომ დაინახა, შევცდიო, ჩემს კაბინეტში შემოვიდა, მაგრამ იქ, ჩემს მაგივრად, კეროლი დაუხვდა.

— იმიტომ მოკლა, რომ არ გაეთქვა?

— არა. ის კაცი, ვისაც ვეძებთ, სადისტი არ არის. კეროლი იმიტომ აწამეს, რომ მისგან რაღაც უნდოდათ შეეტყოთ. ვთქვათ, რაიმე ამბავი, რომელიც სახელს გაუტეხდა მკვლელს, კეროლმა კი არ გათქვა ანდა, უბრალოდ, არ იცოდა, რას მოითხოვდნენ.

— მაინც, რა უნდოდათ შეეტყოთ?

— წარმოდგენა არა მაქვს, მაგრამ გამოცანის გასაღები სწორედ ეს არის. მოუდიმ გამოცანის პასუხი იპოვა და ამიტომაც მოკლეს.

— კეთილი, მაგრამ ერთი რამ მაინც გაუგებარია. თქვენ რომ ქუჩაში მოეკალით, როგორღა გაიგებდნენ იმას, რაც აინტერესებდათ? აქ თქვენი ვერსია მოიკოჭლებს.

— მთლად მასე არ არის. ვთქვათ, ეგ ინფორმაცია ჩემს ფირებზეა ჩაწერილი. თვითონ ჩანაწერი სრულიად უვნებელია, მაგრამ სხვა ფაქტებს თუ დავუკავშირებთ, შეიძლება მკვლელისთვის საშიში იყოს. ისინი არჩევანის წინაშე დადგნენ: ან ფირი უნდა წაერთმიათ, ან მე მოვეკალი, რომ ვინმესთვის არ მეთქვა რამე. თავდაპირველად, ჩემი მოკვლა სცადეს, მაგრამ შეცდომით ჰანსენი მოკლეს. ამის შემდეგ, მეორე გზას დაადგნენ და კეროლისგან მოითხოვდნენ, რაც სჭირდებოდათ. ვერაფერს რომ ვერ გახდნენ, ისევ ჩემზე გადმოინაცვლეს. გახსოვთ, ფარებჩამქრალი ლიმუზინი? ეტყობა, მოუდის სანახავად რომ წავედი, მაშინაც მითვალთვალებდნენ. მერე, ეტყობა, იმასაც მიუჩინეს მეთვალყურე და სიმართლე რომ შეიტყო, მოკლეს.

ანჯელი, ეტყობოდა, შეფიქრიანდა.

— რაც ვთქვი, იქიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ სანამ ბოლოს არ მომიღებს, მკვლელი არ მომეშვება, — მშვიდად თქვა ჯადმა. — კაცი, რომელზედაც ვლაპარაკობდი, მიჩვეული არ არის წაგებას.

— თუ მართლაც ასეა, — შენიშნა ანჯელიმ, როცა ექიმის სიტყვებს დაუფიქრდა, — დაცვა გჭირდებათ, — მან პისტოლეტი ამოიღო და შეამოწმა, დატენილი იყო თუ არა.

— გმადლობთ, ანჯელი, მაგრამ პისტოლეტი არაფერში მარგია. იმ კაცს მე ჩემი იარაღით უნდა შევებრძოლო.

ამ დროს, მისაღები ოთახის კარის გაღების ხმა შემოესმათ.

ანჯელიმ პისტოლეტი ფეხზე შეაყენა, გვერდზე გადგა და კარი უცბად გამოაღო. ზღურბლზე გაოცებული პეტერ ჰადლი იდგა.

## თავი XIV

პეტერთან ლენჩის შემდეგ, შინისკენ მიმავალი ჯადი ტაქსიში იჯდა და გუნებაში სწონიდა, შეიძლება თუ არა, ცოცხალი გადარჩენილიყო. ცოცხლად დარჩენის შანსი ნულის ტოლი გამოდიოდა. რა სჭირდება ასე დონ ვინტონს? ანდა, საერთოდ, ვინ არის დონ ვინტონი? ჯადს ანჯელის რჩევა მოაგონდა. ახალი, უფრო საიმედო საკეტები უნდა გაუკეთოს ბინის კარს და მაიკი და ედი გააფრთხილოს, რომ არავინ გამოეპაროთ. ტაქსი სადარბაზოსთან გაჩერდა. შვეიცარი მანქანასთან მივიდა და ჯადს კარი გაუღო.

ჯადი ამ კაცს პირველად ხედავდა. მის წინ მაღალი, შავგვრემანი, ჩოფურა კაცი იდგა, რომელიც ძლივს ჩაკვეხებულიყო მაიკის ფორმაში. ყელზე ძველი ნაჭრილობევი აჩნდა. ტაქსი წავიდა და ჯადს შიშისგან ტანში გასცრა. „ოჰ, ღმერთო, ესღა მაკლდა“!

— სად არის მაიკი? — ძლივს ჰკითხა.

— შვებულებაშია, ექიმო.

ექიმო! მაშასადამე, უცნობმა იცის, ვინ არის ჯადი. მაიკი შვებულებაშია? დეკემბრის თვეში?

შვეიცარი კმაყოფილი იღრიჭებოდა, ჯადმა მიიხედ-მოიხედა. უკაცურ ქუჩაზე ქარი დათარეშობდა. გაიქცეს? რანაირად, როცა ფეხსაც ძლივს ადგამს. მთელი ტანი სტეხდა და ყოველ ჩასუნთქვაზე ფერდები სტკიოდა.

— შეუძლოდ ხართ? — ზრუნვით ჩაეკითხა უცნობი. ჯადმა უხმოდ აქცია ზურგი და სადარბაზოში შევიდა. იქ ედი მაინც ეგულებოდა მშველელად. შვეიცარიც უკან მიჰყვა. ედი ლიფტისკენ პირშექცეული იდგა. ჯადი პირდაპირ მისკენ გაემართა, რაც მთავარია, ამ კაცთან მარტო არ უნდა დარჩეს.

— ედი! — დაუძახა მან.

მელიფტე შემობრუნდა. ჯადის წინ შვეიცარის შემცირებული ასლი იდგა, ოღონდ, ნაიარევის გარეშე. ეჭვი არ იყო, ძმები იყვნენ. ვესტიბიულში სხვა არავინ იყო.

— წავედით, — ჩაიბურტყუნა მელიფტემ. ისიც ძმასავით კმაყოფილი სახით იღრიჭებოდა.

აი, როგორები არიან მკვლელები. ჯადს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მის წინ მკვლელობის ორგანიზატორები კი არა, უბრალო შემსრულებლები იდგნენ. ნეტა, აქვე მოკლავენ, ვესტიბიულში, თუ თავისივე ბინაში? ბინაში, გადაწყვიტა ბოლოს. სანამ ბინაში გვამს იპოვნიან, მიმალვას მოასწრებენ. ჯადმა სახლის მმართველის ბინისკენ გასწია.

— საქმე მაქვს მისტერ კაცთან...

— მისტერ კაცს არ სცალია, — გზა გადაუღობა შვეიცარმა.

— ზევით აგიყვანთ, — დასძინა მელიფტემ.

— არა. უნდა...

— წამოდი, რომ გეუბნებიან!

ამ დროს სადარბაზოს კარი გაიღო და ვესტიბიულში სიცილ-ხარხარით შემოვიდა ორი წყვილი.

— ქუჩაში ისე ყინავს, ციმბირი მონაგონია, — თქვა ერთ-ერთმა ქალმა.

— ამისთანა ამინდში, ძაღლი არ გაიგდება კარში, — მხარი აუბა თანამგზავრმაც.

წყვილები ლიფტთან მივიდნენ. მელიფტემ და შვეიცარმა უსიტყვოდ შეხედეს ერთი-მეორეს.

— რა მშვენიერი საღამო იყო, დიდი მადლობა, — თქვა კვერნისქურქიანმა, პატარა, კოპწია, ქერა ქალმა. ეტყობა, დამშვიდობებას აპირებდა.

— ნუთუ, გასათბობად ერთ ყლუპსაც არ დაგვალევინებთ, — პროტესტი განაცხადეს კაცებმა.

— ძალიან გვიანია, ჯორჯ, — ჩაიკისკისა პირველმა ქალმა.

— მხოლოდ თითო ყლუპი და წავალთ, — მხარი დაუჭირა პირველ კაცს მეორემაც.

— არა...

ჯადმა სუნთქვა შეიკრა. დათანხმდით!

— კეთილი! — მოწყალება მოიღო ქერა ქალმა. — ოღონდ, მხოლოდ ერთი ყლუპი, გასაგებია?

წყვილები სიცილით შევიდნენ ლიფტში. ჯადიც მაშინვე მიჰყვა. შვეიცარი ისევ იდგა და ძმას კითხვის თვალით შესცქეროდა. იმან მხრები აიჩეჩა, კარი დახურა და ლიფტი ზევით დაიძრა. ჯადი მეხუთე სართულზე ცხოვრობდა; თუ მისი თანამგზავრები უფრო ადრე ჩავიდნენ, კვლავ საფრთხე ემუქრებოდა, თუ არა, პატარა იმედი კიდევ რჩებოდა, რომ ბინაში შეასწრებდა, კარს ჩახერგავდა და მშველელს უხმობდა.

— რომელი სართულია?

— ვერ წარმომიდგენია, რას იტყოდა ჩემი ქმარი, რომ დავენახე, როგორ ავდივარ ჩვენს ბინაში ორ უცნობ მამაკაცთან ერთად, — გაიცინა პატარა ქერა ქალბატონმა, მერე მელიფტეს მიუბრუნდა და უთხრა, — მეათე.

— მეხუთე, — დასძინა ჯადმაც და სული მოითქვა.

მელიფტემ ისეთი თვალით შეხედა, თითქოს უთხრა, ყველაფერი გასაგებიაო. ჯადი მეხუთე სართულზე გამოვიდა და ლიფტმა გზა განაგრძო. ტკივილისგან დაკრუნჩხული, ბარბაცით მივიდა კართან, ძლივს მოარგო გასაღები და კედელს მიეყრდნო. გული ერეოდა. ძლივს აიძულა თავი, რომ ტელეფონთან მისულიყო. რა ქნას? ვის დაურეკოს? ანჯელის? ავადაა და შინ წევს. ეგეც არ იყოს, რა უნდა უთხრას? ჩვენს სახლში ახალი შვეიცარი და მელიფტეა და მე მგონია, რომ ჩემი მოკვლა უნდათო? ყურმილი ხელში ეჭირა და არ იცოდა, რა ექნა. აი, შემოვლენ და რასაც უნდათ, იმას უზამენ. ჯადს ნაიარევი კაცის გამომეტყველება გაახსენდა. ეშმაკობაში უნდა აჯობოს, ხელიდან უნდა გაუსხლტეს. ღმერთო ჩემო! როგორ და რა გზით?

ჯადმა პატარა ტელევიზორი ჩართო, რომელიც ვესტიბიულს აჩვენებდა. იქ არავინ იყო. ტკივილი ისევ აგორდა და შეუტია. შეეცადა თავგზა მოეკრიბა. მდგომარეობა კრიტიკულია...

დიახ... კრიტიკულია... სასწრაფოდ უნდა მონახოს რაღაც საშველი. თავბრუ დაესხა და ოთახი თვალწინ დაუტრიალდა. ბოლოს, როგორც იქნა, ტელეფონი მოხვდა თვალში. სასწრაფო დახმარება... ჯადმა აპარატი თვალებთან მიიტანა, რომ რიცხვები გაერჩია. ნელა, ძალიან ნელა აკრიფა ნომერი. ყურმილი მხოლოდ მეხუთე ზარის შემდეგ აიღეს. ჯადს ენა ერეოდა. ტელევიზორში რაღაც მოძრაობას მოჰკრა თვალი. ორი კაცი ლიფტში შედიოდა.

დრო აღარ ჰქონდა.

ძმები ფეხაკრეფით მივიდნენ ჯადის კართან და აქეთ-იქით დაუდგნენ. უფრო მაღალმა — როკიმ, კარს ხელი ჰკრა, მაგრამ არ გაიღო. მაშინ ცელულოიდის ფირფიტა ამოიღო, საკეტის ქვეშ, ღრიჭოში შეყო და ძმას თავი დაუქნია. ორივემ მაყუჩიანი პისტოლეტი ამოიღო. როკი ფირფიტას დააწვა. კლიტე გაიღო და ჩახმახშემართული ძმები დერეფანში შევიდნენ. ჯადი არსად ჩანს. სასტუმრო ოთახში ძმების წინ სამი დაკეტილი კარი აღმოჩნდა. მეორე ძმა, — ნიკი, ერთ-ერთს მიაწვა. მერე გაიღიმა, პისტოლეტი კლიტეს მიადო და სასხლეტს დააწვა. კარი უხმაუროდ გაიღო. ძმები საწოლ ოთახში შევიდნენ. იქაც არავინ იყო. ნიკმა კარადების შემოწმებას მიჰყო ხელი, როკი კი ისევ სასტუმრო ოთახში დაბრუნდა. იცოდნენ, რომ ჯადი ხელში ჰყავდათ და არ ჩქარობდნენ. ისე ნელა ირჯებოდნენ, თითქოს მოკვლის პროცესს იტკბარუნებენო. ნიკმა მეორე კარს ჰკრა ხელი. ისიც ჩაკეტილი იყო. კიდევ ერთი გასროლა და ახლა კაბინეტში შევიდნენ. არც იქ იყო ვინმე. ძმებმა ერთმანეთს შეღიმეს და მესამე კარს მიადგნენ. ტელევიზორს რომ ჩაუარეს, როკიმ ძმას ხელი სტაცა. ეკრანზე ჩანდა, როგორ შემოვარდა სამი კაცი ვესტიბიულში. ორი თეთრხალათიანი — საკაცეს მოათრევდა, მესამეს — სამედიცინო ყუთი ეჭირა ხელში.

— რა ჯანდაბაა!

— დაწყნარდი როკი. ეტყობა, ვიღაც ავად გახდა. ამ სახლში, ერთი, ასი ბინაა.

სანიტრებმა საკაცე ლიფტში შეიტანეს, ექიმიც უკან მიჰყვათ და კაბინა ზევით დაიძრა.

— ერთი-ორი წუთი ვაცალოთ, — თქვა ნიკმა. ერთიც ვნახოთ და, რაღაც უბედური შემთხვევა მოხდა! მაშინ შეიძლება ვიღაცაც მოყვეს.

— ბედი არ გინდა?!

— ნუ ღელავ. სტივენსი ვერსად წაგვივა.

უცბად კარი მოაფრიალეს და ოთახში ორი სანიტარი და ექიმი შემოვარდა. მკვლელებმა ძლივს მოასწრეს პისტოლეტების დამალვა.

— მკვდარია? — ჰკითხა ექიმმა ძმებს.

— ვინ?

— თვითმკვლელი. ცოცხალია თუ მკვდარია უკვე?

ექიმმა ძმებს გვერდი აუქცია და კარს ხელი ჰკრა.

— დაკეტილია. მომეხმარეთ, გავაღო.

ძმები უხმოდ უყურებდნენ, როგორ შეამტვრიეს კარი სანიტრებმა. ექიმი სტუმრებისათვის განკუთვნილ საწოლ ოთახში შევიდა.

— შემომიტანეთ საკაცე, — დაუყვირა სანიტრებს და თვითონ საწოლზე დაგდებულ ჯადთან მივიდა: — როგორ ხარ?

ჯადს თვალის გახელის თავიც კი არ ჰქონდა. — საავადმყოფოში წამიყვანე, — ჩაილუღლუღა მან.

— მივდივართ.

სანიტრებმა საკაცე შემოიტანეს, მარჯვედ დააწვინეს ზედ ჯადი და საბანი დააფარეს.

— დროა, მოვუსვათ, — ჩაიბუტბუტა როკიმ.

გასასვლელისკენ მიმავალი კაცები რომ დაინახა, ექიმი ჯადისკენ დაიხარა.

— აბა, როგორ ხარ? — ჰკითხა გულწრფელი მზრუნველობით.

— მშვენივრად, — ჯადის უნდოდა გაეღიმა, მაგრამ სახის კუნთები არ დაემორჩილა, — გმადლობთ, პეტერ.

— წავედით, — თავით ანიშნა პეტერმა სანიტარს.

## თავი XV

ამჯერად ჯადი სხვა პალატაში დააწვინეს, მაგრამ მოწყალების და იგივე მიუჩინეს.

— გაგიღვიძიათ კიდეც, — თქვა მან, როცა ჯადმა თვალი გაახილა. — ექიმ ჰარისს თქვენი ნახვა სურს. გადავცემ, რომ გაიღვიძეთ. — იგი ადგა და პალატიდან გავიდა.

პალატაში ექიმი ჰარისი შემოვიდა.

— აბა, როგორ გეძინა.

— პატარა ბავშვივით. — რა გამიკეთე?

— ფენობარბიტალი.

— რომელი საათია?

— შუადღეა.

— ღმერთო ჩემო! — შესძახა ჯადმა, — უნდა წავიდე.

— ჯად, ორი-სამი დღე უნდა იწვე.

— ვიცი, მაგრამ აუცილებელი საქმე მაქვს.

— დარწმუნებული ხარ, რომ აუცილებელი საქმე..?

— სავსებით.

— ო, კეი. ნამდვილი ვეფხვი ხარ. ხვალ გაგიშვებ.

ჯადს უნდოდა შედავებოდა, მაგრამ ჰარისმა არ აცალა.

— სიტყვაც არ დაძრა, დღეს კვირაა. ყველამ უნდა დაისვენოს...

— სეიმურ...

— იცი, რას გეტყვი? სულ არ მომწონს კრუხის როლის თამაში, მაგრამ ამ ბოლო დღეებში თუ ჭამდი რამეს?

— არ ვიცი. ალბათ, ვჭამდი, აბა, რას ვიზამდი?!

— არ გეტყობა. კეთილი. მისის ბედნამს 2 საათი ეძლევა შენს გამოსაკვებად. ჯად, ფრთხილად იყავი. შენისთანა პაციენტის დაკარგვა ხელს არ მაძლევს.

ექიმმა გაუღიმა და პალატიდან გავიდა.

მეორე დღეს, დილის 10 საათზე, ექიმი სეიმურ ჰარისი ქარივით შეიჭრა ჯადის პალატაში.

— აბა, როგორ არის ჩემი საყვარელი პაციენტი?

— თითქმის ადამიანად ვგრძნობ თავს, — გაუღიმა ჯადმა.

— შესანიშნავია. ლეიტენანტ მაკგრეივის შენი ნახვა სურს. — განაგრძო ექიმმა. ჯადს სუნთქვა შეეკრა. — კარგა ხანია, გელოდება.

მაშ, გადაწყვიტა, მაინც დააპატიმროს. ანჯელი ავადაა და მაკგრეივის ხელს ვერავინ შეუშლის, როგორც უნდა, ისე შეატრიალოს ფაქტები. თუ ხელში ჩაუვარდა, იმედის ნატამალიც აღარ დარჩება. სანამ მაკგრეივი მოვიდოდეს, უნდა გაიქცეს.

— თუ შეიძლება, მოწყალების დას სთხოვე, რომ პარიკმახერი მოიყვანოს. გავიპარსო მინდა. — ალბათ, ხმაზე რაღაც დაეტყო, იმიტომ, რომ ექიმმა უცნაური თვალით შეხედა. ან იქნებ, მაკგრეივი უკვე ყველაფერს მოუყვა?

— რა თქმა უნდა, ჯად, — უთხრა ჰარისმა და გავიდა.

როგორც კი ექიმმა კარი გაიხურა, ჯადი მაშინვე წამოდგა, სამ წუთში ჩაიცვა და სათადარიგო კარისკენ გაეშურა. ამასობაში, ლიფტის კარი გაიღო, მაკგრეივი გამოვიდა და ჯადის პალატისკენ წავიდა. უკან ორი პოლიციელი და სამოქალაქო სამოსში გამოწყობილი ორი დეტექტივი მოყვებოდა. ჯადმა კიბე ჩაირბინა, საავადმყოფოდან გამოვიდა და ერთი კვარტლის იქით ტაქსი დაიჭირა.

პალატა რომ ცარიელი დახვდა, მაკგრეივი თავის მხლებლებს მიუბრუნდა:

— დაგვიძვრა. წადით, იქნებ საავადმყოფოშივე დაიჭიროთ.

მერე ტელეფონზე დაიხარა.

— მაკგრეივი ვარ, — თქვა მან, როცა მეცხრამეტე განყოფილებას დააკავშირეს. — სასწრაფოდ გამოაცხადეთ საყოველთაო ძებნა. ექიმი სტივენსი... ჯადი. მამაკაცი. თეთრი. ასაკი...

ტაქსიმ ჯადი სამსახურში მიიყვანა. ახლა სიტყვა „უხიფათო“ მისთვის არ იყო მოგონილი. შინ ვერ დაბრუნდებოდა, რომელიმე ოტელში უნდა გაეთია ღამე. არც კაბინეტში შესვლა იქნება უხიფათო, მაგრამ აუცილებელია. ახლა საქმე ის იყო, რომელი მისწვდებოდა პირველი, — პოლიცია თუ მკვლელები.

ჯადი კაბინეტში შევიდა და კარი ჩაკეტა. სასწრაფოდ უნდა მოენახა ანას ტელეფონის ნომერი. საავადმყოფოში რაღაც-რაღაცა გაახსენდა: ჯერ ერთი ის, რომ ანა რამდენჯერმე მოვიდა მასთან სწორედ ჯონ ჰანსენის მოსვლამდე, მეორეც, იგი ხშირად ელაპარაკებოდა კეროლს. ვაითუ, ანამ უმნიშვნელო რამ აცნობა კეროლს, რამაც მერე მომაკვდინებელი მნიშვნელობა შეიძინა; თუ ასე იყო, სასწრაფოდ უნდა გაეფრთხილებინა ანა.

უჯრიდან მისამართების წიგნი აიღო, ანას ტელეფონის ნომერი მონახა, ყურმილი აიღო და კომუტატორს ნომერი უკარნახა. ცოტა ხნის შემდეგ მიუგეს:

— მოგვიტევეთ, მაგრამ ნომერი შეგშლიათ.

— გმადლობთ, — უთხრა ჯადმა და ყურმილი დადო. იფიქრა, ეტყობა, ნომერი შეცდომით ჩავიწერეო, მერე ანას ბინის მისამართი გადაიწერა: 617 უდსაიდ-ავენიუ, ბეიონი, ნიუ-ჯერსი. ჯადმა გაქირავების პუნქტიდან ავტომანქანა გამოიყვანა და ნიუ-ჯერსისკენ წავიდა. უდსაიდ-ავენიუსკენ რომ გაუხვია, პატარ-პატარა, ქოხმახებივით სახლებს შეხედა. უკვე მიხვდა, რაც ელოდა, — 617 ნომრის ადგილას ეკალ-ბარდებით დაბურული ტრიალი მინდორი იყო.

(გაგრძელება იქნება)

---

იხ. კვირის პალიტრა №17-25

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რუსეთის ტელეარხების პროგრამა

## კინოაფიშა

### *ორშაბათი*

12.15 — „ავარია“ — 2X2
12.20 — „ჩემი საუკეთესო მეგობარი ვასილი, იოსების ვაჟი„ — რტრ
13.50 — „ყველაფერი კარგად იქნება“ — ორტ
14.15 — „სათადარიგო მოთამაშე“ — ტვ-6
17.10 — „კარნავალი“ — 1-ლი სერია — სანქტ-პეტერბურგი
21.00 — „ქალი ფანჯარაში“ — ნტვ
23.30 — „იძებნება განსაკუთრებით საშიში დამნაშავე“ — რტრ
24.15 — „ვასკა“ — 1-ლი სერია — სანქტ-პეტერბურგი

### *სამშაბათი*

13.50 — „მოთხრობა ჩაუმქრალ მთვარეზე“ — ორტ
14.15 — „ალბა-რეგია“ — ტვ-6
17.10 — „კარნავალი“ — მე-2 სერია — სანქტ-პეტერბურგი
21.00 — „სენიტ ზონი“ — ნტვ
22.05 — „მოაგარაკეთა ცხოვრებიდან“ — ტვ-6
23.05 — „კავკასიელი ტყვე ქალი ანუ შურიკის ახალი ფათერაკები“ — რტრ
24.10 — „ვასკა“ — მე-2 სერია — სანქტ-პეტერბურგი
1.05 — „ძირითადი ინსტინქტი“ — რტრ
1.05 — „ის მიუნჰაუზენი“ — ორტ

### *ოთხშაბათი*

11. 10 — „იყო თუ არა კაროტინი“? — ორტ
12.15 — „ოდესმე...“ — 2X2
13.40-15.20 — „სახლი, რომელიც ააშენა სვიფტმა“ — რტრ
14.15 — „რომანი A LA RUSSO~ — ტვ-6
19.20 — „სარკე გმირისათვის“ — ორტ
20.30 — „ჩხვლეტა ქოლგით“ — ნტვ
22.05 — „პატრიოტული კომედია“ — ტვ-6
00.10 — „გენიოსი“ — რტრ
24.25. — „ოპერაცია „Ы“, შურიკის ახალი ფათერაკები“ — ნტვ
1.10 — „ეკიპაჟი“ — ორტ
3.50 — სხივდანთებული ბედნიერება“ — ორტ
4.30 — „ქალაქ სოჭში ბნელი ღამეებია“ — ორტ

### *ხუთშაბათი*

12.20 — „მრავალუცნობიანი დანაშაული“ — 1-ლი სერია — რტრ
14.15 — „შერლოკ ჰოლმსის დაბრუნება“ ტვ-6
21.00 — „საზღვარი“ — ნტვ
22.05 — „რუსები“ — ტვ-6
22.45 — „ჩვენ ჯაზიდან ვართ“ — ორტ
23.05 — „ჩემპიონი“ — რტრ
20.20 — „ვასკა“ — მე-3 სერია — სანქტ-პეტერბურგი
2.00 — „მუშკეტერები 20 წლის შემდეგ“ — 1-ლი სერია — ორტ
2.20 — „სამბა ტრაორე“ — ნტვ

### *პარასკევი*

12.15 — „მგზავრობის საფასური“ — 2X2
12.35 — „მრავალუცნობიანი დანაშაული“ — მე-2 სერია — ორტ
14.15 — „წითელი ცხელება“ — ტვ-6
15.45 — „ოდესმე...“ — ორტ
17.10. — „ბიჭები“ — სანქტ-პეტერბურგი
21.00 — „თახსირი“ — ნტვ
21.00, 23.25 — „ჯონ ფ. კენედი: უზრუნველი ყრმობა“ — ტვ-6
23.05 — „ბოლოს, როცა პარიზი ვნახე“ — რტრ
24.40 — „ერთგული რუსლანი“ — ორტ
2.40 — „მუშკეტერები 20 წლის შემდეგ“ — მე-2 სერია — ორტ
1.45 — „უზნეო ამბები“ — ნტვ

### *შაბათი*

13.20 — „ჩემი მეგობარი კოლკა“ — ორტ
15.20 — „მეფე ირემი“ — სანქტ-პეტერბურგი
18.10 — „ორი ისარი“ — რტრ
20.00 — „ეფრეიტორ ზბრუევის შვიდი საცოლე“ — ორტ
21.20 — „ერთადერთი“ — სანქტ-პეტერბურგი
22.00 — „უმამობა“ — ტვ-6
23.35 — „როკი“ — ნტვ
23.55 — „როგორ მივაღწიოთ წარმატებას რეკლამაში“ — ტვ-6
0.05 — „ყველაფერში შიკრიკია დამნაშავე“ — რტრ
0.05 — „ზამთრის ქორი“ — სანქტ-პეტერბურგი
0.50 — „სპილენძის ანგელოზი“ — 2X2
1.20 — „ჭექა-ქუხილიანი უღელტეხილი“ — ორტ
3.20 — „მუშკეტერები 20 წლის შემდეგ“ — მე-3 სერია — ორტ

### *კვირა*

11.10 — „დაიკარგა ზაფხული“ — ტვ-6
21.20 — „რუსული ანგარიში“ — სანქტ-პეტერბურგი
22.45 — „აურზაური არაფრის გამო“ — ტვ-6
23.10 — „როკი-II“ — ნტვ
0.50 — „მრისხანების დღე“ — 2X2
0.55 — „ვნების წყურვილი“ — რტრ
1.40 — „მუშკეტერები 20 წლის შემდეგ“ — მე-4 სერია — ორტ

**ყველგან მითითებულია თბილისის დრო**

*ორშაბათი* 12.20 — რტრ

***ჩემი საუკეთესო მეგობარი გენერალი ვასილი, იოსების ვაჟი*** — ცნობილი ფეხბურთელის ვსევოლოდ ბობროვისა და სტალინის ვაჟის, ვასილის ცხოვრების დრამა.

რეჟისორი ვ.სადოვსკი
1991 წ.

*ორშაბათი* 21.00 — ნტვ

***ეს ქალი ფანჯარაში...*** — ლირიკული კომედია მელოდრამატული სიუჟეტით. მთავარი გმირი ქალის სახლში, გასტროლების პერიოდში, ცხოვრობს ცირკის მსახიობი — მისი პირველი და საიდუმლო სიყვარული... როლებში: ი. მურავიოვა, ი. ბელიაევი, ე. იაკოვლევა.

რეჟისორი ლ. ეიდლინი
1993 წ.

*სამშაბათი* 1.05 — რტრ

***ძირითადი ინსტინქტი*** — უკანასკნელ წლებში ყველაზე გახმაურებული ეროტიკული თრილერი. ამ ფილმში მთავარი როლის შემსრულებელი შერონ სთოუნი ამერიკის ახალი სექს-სიმბოლო გახდა, ხოლო მისი პარტნიორი მაიქლ დუგლასი საავადმყოფოში მოხვდა. როგორც ავი ენები ამტკიცებენ, მან სექსის ძალიან დიდი დოზა მიიღო და „მოიწამლაო“

რეჟისორი პ. ვერჰუვენი
აშშ, 1992 წ.

*სამშაბათი* 23.05 — რტრ

***კავკასიელი ტყვე ქალი*** — ექსცენტრიკული კინოკომედია, სადაც ფოლკლორით გატაცებული შურიკი კავკასიურ სადღეგრძელოებს აგროვებს. რეჟისორი ლ. გაიდაი; როლებში: ა. დემიანენკო, რ. ახმეტოვი, ი. ნიკულინი, გ. ვიცინი, ე. მორგუნოვი, ნ. ვარლეი, ვ. ეტუში, ფ. მკრტიჩიანი.

1966 წ.

*ოთხშაბათი* 20.30 — ნტვ

***ჩხვლეტა ქოლგით*** — ექსცენტრიკული კომედია. პიერ რიშარის გმირი თავისდა მოულოდნელად აღმოჩნდება პროფესიონალი მკვლელის როლში.

რეჟისორი ჟ. ური
საფრანგეთი, 1980 წ.

*ოთხშაბათი* 18.15 — ორტ

ელდარ რიაზანოვის ***პარიზული საიდუმლოებანი*** — გადაცემა ეძღვნება ფრანგ მსახიობს რობერ ოსეინს, მას მაყურებელი კარგად იცნობს მარკიზ დე პეირაკის როლით „ანჟელიკადან“.

*ხუთშაბათი* 21.00 — ნტვ

***საზღვარი*** — სათავგადასავლო დრამა ტეხასელ რეინჯერზე, რომელიც მექსიკელ ლატაკებს ეხმარება. რეჟისორი ტ. რიჩარდსონი; როლებში: ჯ. ნიკოლსონი, ჰ კეიტელი, ვ. პერინი.

აშშ, 1981 წ.

*პარასკევი* 2.40 — ორტ

***ამორალური ისტორიები*** — 4 ეროტიკული სიუჟეტის ნოველა. რეჟისორი ვ. ბოროვჩიკი; როლებში: ლ. დანვერი, ფ. ლიუკინი, პ. პიკასო, პ. ქრისტოფი

საფრანგეთი, 1974 წ.



*პარასკევი* ტვ-6 — 21.00; 23.25

***ჯ. ფ. კენედი: უზრუნველი ბავშვობა*** — ისტორიულ-ბიოგრაფიული ფილმი აშშ-ის 36-ე პრეზიდენტის სტუდენტურ წლებზე.

რეჟისორი გ. უაინერი; როლებში: პ. დემპსი, ი. ქილოტი

აშშ, 1993 წ.

*შაბათი ნტვ — 2.30*

***ფლეიბოი*** — მათთვის, ვისაც არ სძინავს — ჯული პეტერსონის შოუ, პარიზის მოდები, სპეციალური რეპორტაჟი სექს-ინსტრუქტორებისთვის, „მის თებერვალთან“ ერთად მოგზაურობა სიეტლში, მუსიკალური პროგრამა „მხურვალე როკი“

*შაბათი რტრ — 24.05*

***შიკრიკია ყველაფერში დამნაშავე*** — დრამატული კომედია. ვენეციაში ჩამოსული ჭაბუკები სასტუმროში მნიშვნელოვან ცნობას ელოდებიან. რა ქნას შიკრიკმა, თუკი გმირებს ერთნაირი გვარები აქვთ?.. როლებში: დ. მური, ბ. ბრაუნი. რ. გრიფითსი. რეჟისორი მ. ჰერმანი

ინგლისი, 1996 წ.

*კვირა* 1.15 — ნტვ

***სამოცი წამი, რომელმაც შეძრა მსოფლიო***

დოკუმენტური ფილმი მოგვითხრობს მიწისძვრების პროგნოზირების პრობლემებზე. ავტორები მწვავე კითხვას სვამენ, — რა მოელის მსოფლიოს, თუ ტოკიოს მიწისძვრა დაანგრევს? რეჟისორი რ. ჯონსტონი

დიდი ბრიტანეთი — იაპონია, 1993 წ.

*კვირა* 22.10 — ნტვ

***როკი-II***

მსოფლიო ჩემპიონთან ჭიდილის შემდეგ დიდი სპორტიდან წასული როკი კვლავ უბრუნდება რინგს, რათა გამარჯვებისთვის იბრძოლოს... რეჟისორი ს. სტალონე; როლებში: ს. სტალონე, თ. შერი, ბ. იანგი.

აშშ, 1979 წ.

*კვირა* 22.45 — ტვ-6.

***აურზაური არაფრის გამო*** — შექსპირის ამავე სახელწოდების კომედიის ეკრანიზაცია. როლებში: კ. ბრანა, ე. თომფსონი, კ. რივსი, დ.ვაშინგტონი.

რეჟისორი კ. ბრანა
ინგლისი-აშშ, 1993 წ.

# საქართველოს ტელევიზია მეორე არხი

### 1.07 ორშაბათი
### სტარტზე! წავედით!

*22.10 სთ.*

ამ მძაფრსიუჟეტიან გასართობ ფილმში მთავარ როლს თამაშობს ცნობილი ამერიკელი როკ-ვარსკვლავი სინდი ლაუპერი; იგი, როგორც ყოველთვის, განსაკუთრებული ექსტრავაგანტურობით გამოირჩევა.

აშშ

### 2.07 სამშაბათი
### ნაშუადღევს

*22..15 სთ*

რეჟისორ ფრედ ცინემანის ვესთერნი, რომელიც ამერიკული კინოს კლასიკადაა აღიარებული. აგებულია ცნობილი სცენარისტის, კარლ ფორმენის ბიოგრაფიაზე.

მთავარ როლებში: მსოფლიო კინოს ლეგენდა გარი კუპერი და გრეის ქელი, რომელიც შემდეგ მონაკოს დედოფალი გახდა.

მინიჭებული აქვს სამი „ოსკარი“. ერთი ერგო მთავარი როლის შემსრულებელს და კომპოზიტორს დიმიტრი ტიომკინს.

აშშ

### 3.07 ოთხშაბათი
### ზღვის შვილები

*22.20 სთ*

რეჟისორი — კონსტანტინე პიპინაშვილი. ფილმი აგებულია სიყვარულზე, მეგობრობასა და ერთგულებაზე.

მთავარ როლებში მაყურებელი იხილავს ცნობილ ქართველ მსახიობებს: ოთარ კობერიძეს, ლია ელიავას, კოტე დაუშვილს, სოსო ლალიძეს, ნოდარ მგალობლიშვილს, ირაკლი უჩანეიშვილს.

„ ქართული ფილმი “— 1962 წ.

### 4.07 ხუთშაბათი
### ვაგზალი ორისათვის

*22.05 სთ.*

„რუსული ფილმის დღეს“ მაყურებელი შეხვდება რუსული კინოს დიდოსტატებს: რეჟისორ ელდარ რიაზანოვს, მსახიობებს: ოლეგ ბასილაშვილს, ლიუდმილა გურჩენკოს, ნონა მორდიუკოვას, ალექსანდრ შირვინდტსა და ნიკიტა მიხალკოვს.

„მოსფილმი“, — 1985 წ.

### 5.07 პარასკევი
### განუხორციელებელი ამოცანა

*22.10 სთ.*

რეჟისორ ბრაიან დე პალმას ეს ფილმი არ გამოირჩევა ღრმა შინაარსითა და დიდი რეჟისორული თუ აქტიორული ბრწყინვალებით. იგი მძაფრსიუჟეტიანია. მთავარ როლში — თომ ქრუზი.

აშშ

### 6.07 შაბათი
### ვალმონტი

*22.05 სთ.*

ცნობილი რეჟისორის მილოშ ფორმანის ერთ-ერთი ბოლო ნამუშევარი. სასიყვარულო ინტრიგის ქსელში გაბმული წყვილის თავგადასავალს ასახავს.

აშშ

### 7.07 კვირა
### ალისფერი ბგერა

*22.15 სთ.*

მე-16 საუკუნეში განვითარებულ მოქმედებას, რომელიც ადამიანთა გრძნობებსა და ურთიერთობებზეა აგებული, დღეს სიამოვნებით აღიქვამს მაყურებელი.

მთავარ როლებში: დემი მური, რობერთ დიუვალი, გარი ოლდმენი.

აშშ

საუკეთესო ხარისხის

ნებისმიერი
პოლიგრაფიული
პროდუქცია
თქვენთვის ხელსაყრელ ფასებში

გამომცემლობა «კოლორი»

☎ 36-78-07, 98-74-44 აკურის ქ. №8
Color სპორტის სასახლის უკან

ეტიკეტები
ბლანკები
გაზეთები
ბროშურები
წიგნები
პლაკატები
ფასიანი ქაღალდები
და სხვა

დაკაბადონება და ბეჭდვა

თბილისის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ინსტიტუტი აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 1996-97 სასწ. წელს შემდეგ სპეციალობებზე (ქართული და რუსული სექტორი):

იურიდიული ფაკულტეტი (დღის და დაუსწრებელი სწავლება): საერთაშორისო სამართალი, სამართალმცოდნეობა, ბიზნესის სამართალი.

ეკონომიკური ფაკულტეტი (დღისა და დაუსწრებელი სწავლება): საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, ბიზნესმცოდნეობა, აუდიტმცოდნეობა, საბაჟო და საგადასახადო საქმის მენეჯერი, საფინანსო-საბანკო საქმე.

ფსიქოლოგიური ფაკულტეტი (დღის სწავლება); ფსიქოთერაპია, რეკლამის ფსიქოლოგია, კონფლიქტოლოგია.

ჰუმანიტარული ფაკულტეტი უცხო ენები (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, თურქული, სპარსული), ჟურნალისტიკა, დაწყებითი განათლების მეთოდიკა.

ინსტიტუტი დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლებით, პერიოდულად ლექციებს წაიკითხავენ საზღვარგარეთელი სპეციალისტები. ინსტიტუტში უცხო ენების სწავლება მიმდინარეობს გაძლიერებული პროგრამით. გააჩნია თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ლინგაფონური კაბინეტი და კომპიუტერული ლაბორატორია. გათვალისწინებულია სამხედრო კათედრის გახსნა. წვევამდელთათვის უზრუნველყოფილი იქნება სწავლების უწყვეტი ციკლი. სტუდენტები სურვილისამებრ სტაჟირებას გაივლიან ბერლინის ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტში. ფრიადოსნები გათავისუფლდებიან სწავლის ქირისაგან და დაენიშნებათ სტიპენდია. ინსტიტუტში გრძელდება სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებიდან სტუდენტთა გადმოსვლა — I, II, III და IV კურსებზე.

მიმდინარე სასწავლო წელს ექსპერიმენტის წესით აბიტურიენტები ჩაირიცხებიან უგამოცდოდ (ზოგადი გასაუბრებით).

ინსტიტუტში სწავლება ფასიანია

ცნობებისათვის მოგვმართეთ მისამართზე: თბილისი, კოსტავას ქ. №70 (მეტრო „პოლიტექნიკური“, სასტუმრო „აჭარის“ გაგრძელებაზე).

☎ 36-34-06, 36-25-89, 74-23-21, 36-53-92, 36-66-78

თუ თქვენ გაწუხებთ: რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, ართრიტი, ართროზი, ნერვის ანთება (იშიაზი), სახსრების ნებისმიერი დაავადება, სისხლძარღვთა შევიწროება, ნიკრისის ქარი, მიოზიტები, რეინოს დაავადება, და ჯერ შვება არ გიგრძვნიათ, მიაკითხეთ ხალხური მედიცინის ჩინებულ მცოდნეს, ხელმადლიან მკურნალს ნუგზარ თაბუნიძეს და თქვენ დაიბრუნებთ ჯანმრთელობას.

მისამართი: ძმები ზუბალაშვილების ქუჩა №48

სამედიცინო დაწესებულება, პირველი სართული, მიღება ყოველდღე (შაბათ-კვირის ჩათვლით) 10-დან 12 სთ-მდე

სამშაბათსა და პარასკევს 3-დან 4 სთ-მდე

სოხუმის პ. ჯაფარიძის სახელობის სახელმწიფო სამედიცინო სასწავლებელი აცხადებს მოსწავლეთა მიღებას

სასწავლებელში მიიღებიან როგორც საშუალო, ასევე არასრული საშუალო სკოლადამთავრებულნი

საბუთები მიიღება შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარნოვის ქ. №10, საშუალო სკოლის შენობა, მე-2 სართული, ოთახი №6, მეტრო „რუსთაველი“.

იკითხეთ ახალი ილუსტრირებული გაზეთი

ბომონდი

რომელიც აუცილებლად დაგაინტერესებთ

საწერი და საბეჭდი ქაღალდი ყველაზე იაფად

24 ივნისიდან ქაღალდი ჩვენთან გაიაფდა

თეთრი — I ხარისხის
1 შეკვრა (200 ფურცელი) —
~~3,9~~ 3,3 ლარი
მუქი — II ხარისხის
1 შეკვრა (250 ფურცელი) —
~~2,7~~ 2,2 ლარი
გადარიცხვით და ნაღდ ანგარიშზე
მინიმალური რაოდენობა —20 შეკვრა

☎ 36-78-07, 98-74-44
აკურის ქ.№8
სპორტის სასახლის უკან, „კოლორი“
(გამოთვლითი მათემატიკის ცენტრი)

თქვენ გახდებით დიპლომირებული მენეჯერი
თუ გაქვთ 8-11 კლასის განათლება

თბილისის ბიზნესის კოლეჯი

აცხადებს მიღებას ქართული და რუსული განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე:

ეკონომიკური ფაკულტეტი: საბირჟო საქმე; სამეწარმეო საქმიანობა; საბანკო საქმე და საფინანსო მენეჯმენტი. აღრიცხვა. აუდიტი და კონტროლი; სამრეწველო მენეჯმენტი; მენეჯმენტი მომსახურების სფეროში; ინფორმაციული მენეჯმენტი (ინფორმატიკოს-ბიზნესმენი).

იურიდიული ფაკულტეტი: სამართალმცოდნეობა; ავტოსაგზაო მოძრაობის ორგანიზაცია და მართვა.

პედაგოგიური ფაკულტეტი: დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა.

სამედიცინო ფაკულტეტი; სახალხო მედიცინა; სააფთიაქო საქმე და ბიზნესი

სწავლა იწარმოებს შაბათ-კვირას.

საბუთების მიღება 15 ივნისიდან 30 ივლისამდე 10-დან 14 საათამდე.
ყოველდღე გარდა კვირისა

მისამართი:
თბილისი (საბურთალო),
ჯანო ბაგრატიონის ქ. №6
(პავლოვისა და ტაშკენტის ქუჩების გადაკვეთასთან)
ტელ. 38-45-07
30-24-89

ინტურისტი

გთავაზობთ 7, 11 და 15 დღიან დასვენებას პრინცის კუნძულებზე, მარმარილოს ზღვაზე და კურორტ კილიოსში — შავ ზღვაზე, რომელიც ჰავით ჩამოჰგავს გაგრას. მგზავრობა თვითმფრინავით.

intourist

*მისამართი:* რკინის რიგი №6, მეტეხის ხიდთან, ლესელიძის ქუჩის ბოლოში. ტელ.:99-78-28, 93-07-55

# რადაქციაში შეკითხვა მოვიდა

✓ *შეკითხვა:*

ვარ 70 წლის, შევიძინე სახელმწიფო საწარმო, რომელიც ამჟამად პრივატიზებული მაქვს. ვარ ამ საწარმოს უშუალო ხელმძღვანელი. დანიშნული მაქვს მოხუცებულობის პენსია. გთხოვთ, განმიმარტოთ, მეკუთვნის თუ არა პენსია მუშაობის პერიოდში ხელფასთან ერთად.

*გიორგი ოდილავაძე*

*პასუხი:*

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მუშაობის პერიოდში პენსიის მიღების უფლება აქვთ მხოლოდ მე-2 მსოფლიო ომის ვეტერანებს და მათთან გათანაბრებულ პირებს (ომის დროს ზურგში თავდადებული შრომისთვის დაჯილდოებული პირები უთანაბრდებიან ომის ვეტერანებს).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თუ თქვენ ამ კატეგორიას არ განეკუთვნებით, მიუხედავად იმისა, რომ მუშაობთ კერძო სექტორში, მუშაობის პერიოდში პენსიის მიღების უფლებით ვერ ისარგებლებთ.

*ირინე ღლონტი*

*სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოს უფროსი.*

✓ *შეკითხვა:*

როგორი იყო შეფარდება რუსულ რუბლსა და კუპონს, აშშ დოლარსა და კუპონს შორის 1993 წლის აპრილში და როგორია შეფარდება მაშინდელ რუბლსა და დღევანდელ ლარს შორის.

*ალექსანდრე ილუაშვილი*

*პასუხი:*

1993 წლის 5 აპრილიდან შემოღებული იქნა ეროვნული ბანკის კუპონი. ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსით რუსულ რუბლთან იყო შეფარდება— 1 რუბლი = 1 კუპონს. აპრილის პირველ დღეებში ასეთივე შეფარდება იყო შავ ბაზარზე, ხოლო 1 აშშ დოლარი უდრიდა 780 კუპონს. ერთი თვის შემდეგ ე.ი. 1993 წ. მაისის დამდეგს, ჩვენი მონაცემებით, თავისუფალ ბაზარზე 100 რუბლი უდრიდა 170 კუპონს, 1 ამერიკული დოლარი უკვე 1700 კუპონი გახდა.

1993 წლის 1000 რუბლი, ინფლაციის გათვალისწინებით, დღეს შეესაბამება 7.5. ლარს.

*ლია მდინარაძე*

*საქართველოს სოციალ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო დეპარტამენტის ფასების სტატისტიკის სამმართველოს მთავარი ეკონომისტი.*

МГУ ინგლისური ენის შემსწავლელთათვის

შეიძინეთ

ვიდეოკასეტები — მულტფილმები

ჩაწერის სპეციალური სისტემით, რომელიც დაგეხმარებათ ენის სრულყოფილად დაუფლებაში

ბარი «პალერმო»
ჯაზით და მომსახურებით

საუცხოო მიკროკლიმატი
ტელ. 95-01-55
წერეთლის გამზირი №67ა

# «ფანტომაშკა»



ამდენი ინფორმაციის კითხვით დაღლილ მკითხველს გთავაზობთ: მოხერხებულად მოეწყვეთ, დაიჭირეთ ცხვირწინ ეს საინტერესო „ფანტომაშკა“ (მაგიური მესამე თვალი) და მოდუნდით, დაელოდეთ ჯადოსნური ფიგურების ამოტივტივებას.



ფიგურები, რომელიც უნდა დაინახოთ



## თარაზულად:

**1**



**6**



**8**

ოვიედო — ასტურია,
ალბასეტე — მურსია,
ბარსელონა — ?

**13**

განსაკუთრებული ნიჭი

**14**

სევდა, გამოწვეული სამშობლოში დაბრუნების შეუძლებლობის გამო

**15**



**16**

10° C-მდე — სიცივე
30° C-ზე მაღლა — ?

**20**

გვარჯილა + საწვავის ნარევი = დინამონი
გვარჯილა + ტროტილი = = ამატოლი
გვარჯილა + ალუმინის ფხვნილი + ტროტილი = ?

**22**



**24**

ემოციური მხატვრული გამომსახველობითი ჰარმონია, დახვეწილობა

**26**

სიურრეალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი (ესეი „თავისუფალი აზროვნება“, რომანი „პარიზის გლეხი“, 1926 წ.)



**28**

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გადაწყვეტილება.



**30**



ელა ფიცჯერალდი ?

**32**

ამერიკელი ძუძუმწოვარი მღრღნელთა რაზმისა; აქვს ნაბლისფერი ხშირი პრიალა ბეწვი. იყენებენ მანდილოსნების ქურქის შესაკერად.

**37**

ნუშის ლიქიორი

**38**



მინიატურული იაპონური სკულპტურა

**39**



**40**



(სახელი)

**41**

Light amplication by stimulated emission of radiation (აბრევიატურა)

**42**

ადგილობრივი სისხლნაკლებობა, გამოწვეული მკვებავი არტერიის დაცობით ან დავიწროებით.



„ამერიკული ღამე“, „მადო“, „მწვანე ოთახი“, „„პროვინციელი ქალი“ (გვარი).

## შვეულად:

**1**



(ვირუსის ნაირსახეობა)

**2**



**3**



**4**



(ნაგებობა)

**5**

უმცროსი მატროსი

**7**



**8**

ირლანდიასა და შოტლანდიაში: გვაროვნული თემი; გვარი.

**9**

ჩქარი რიტმული ტემპის ვირტუოზული პიესა ფორტეპიანოს ან ორგანისათვის.

**10**



(მარკა)

**11**

ალან შირერი — ბლეკბერნი
ტედი შერინგემი — ტოტენხემი
დევიდ პლატი — არსენალი
ლეს ფერდინანდი
სტივ ჰაუი
რობერტ ლი
პიტერ ბირდსლი } ?

**12**

კულტურათა ურთიერთზეგავლენის პროცესი; ერთი ხალხის მიერ სხვა ხალხის კულტურის ნაწილობრივი ან მთლიანი შეთვისება.

**17**

| | შაქარი % | წყალი % |
|---|---|---|
| ნებოვანი წვეთი | 50 | 50 |
| ძაფი თხელი | 75 | 25 |
| ძაფი სქელი | 85 | 15 |
| ბურთულა რბილი | 90 | 10 |
| ბურთულა მაგარი | 95 | 5 |
| ? | 98 | 2 |

**18**

მთავრობის წევრი

**19**



**21**



მინდვრის შპატების ჯგუფის მინერალი; იყენებენ სხვადასხვა ნაკეთობისათვის და შენობების შესამკობად (ჩრდილოეთ ამერიკის ნახევარკუნძულის სახელის მიხედვით).

**23**

სიტყვა, რომელიც მნიშვნელობით სხვა სიტყვას ემთხვევა ან ძალიან უახლოვდება, ბგერითი შემადგენლობით კი განსხვავდება მისგან („ლამაზი“ — „მშვენიერი“, „პატარა“ — „მცირე“)

**25**



(ხატის ნაირსახეობა)

**31**

ბალახოვანი დეკორატიული მცენარე; აქვს იისფერი, წითელი ან თეთრი უსუნო ყვავილი.

**32**



(სახელი)

**33**



(ლემურების ოჯახის წარმომადგენელი)

**34**



პირველი შემქმნელის სახელი

**35**

4840 კვ იარდი = = 4046,86 კვ მეტრი

**36**



*კროსვორდი შეადგინა რამაზ ალანიამ*

**„კვირის პალიტრა“ №25-ში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

*თარაზულად:* 1. კოლიზეუმი; 5. ემუ (DROMAEINAE ცხოვრობენ ავსტრალიის და ტასმანიის ბუჩქოვან ტრამალებში); 7. ბარკაროლა (ვენეციელი გონდოლიერების სიმღერა); 11. ლაკოსტა; 12. მასკანი (1863-1945 წ.); 13. კონდორი; 14. არდი; 15. სიონი; 16. სინაი; 17. ოზმა; 18. დნმ; 19. ოპალი; 21. სიძე; 22. აგფა; 23. პლუტო; 27. ინტარსია; 28. გრატა; 29. ასათიანი; 32. მელპომენა; 33. კია; 34. ბურგუნდია; 37. შამპანური; 43. კარიატიდი; 44. გრო; 45. ინდონეზია.

*შვეულად:* 1. კალვადოსი; 2. იპონი; 3. ულაყი; 4. იამანიძე; 6. მაკმანამანი; 7. ბრიფინგი; 8. რაკია; 9. როდეო; 10. ანიმატორი; 20. არტალა; 24. ზამბია; 25. უსემი; 26. მარგო; 30. მელანი (მოყვანილია დამზადების რეცეპტი); 31. ებერსი; 35. მოკო; 36. კლიო; 38. აბრა; 39. ოკეი; 40. ალაო; 41. ეტა (ასო ბერძნული ალფავიტიდან); 42. ბოი.

## . ალმოჩენილია სოდომი და გომორი?

*ექსპერტთა აზრით, ეს ასწლეულის უდიდესი ალმოჩენაა — იორდანიაში მიკვლეულია ქალის ფორმის მარილის სვეტი, რომელიც ბიბლიური ლოთის ცოლს მოგვაგონებს.*

ხელოვნების უჩვეულო ქმნილებას სილის გორაკზე მას შემდეგ მიაგნეს, რაც მეცნიერებმა გამოთქვეს მინის პირისგან ალგვილი სოდომისა და გომორის სავარაუდო ადგილმდებარეობის ჰიპოთეზა.

ძველი ალთქმის თანახმად, ღმერთმა ეს ცოდვილი ქალაქები ცეცხლითა და გოგირდით მოსრა, ტომიდან მხოლოდ ლოთი და მისი ოჯახი გადაარჩინა და მკაცრად გააფრთხილა, — უკან არ მიიხედოთო. ლოთის ცნობისმოყვარე ცოლმა ცდუნებას ვერ გაუძლო, თავი იბრუნა და... იმავ წამს მარილის სვეტად იქცა... ლოთმა და მისმა ქალიშვილებმა გზა განაგრძეს.

— ახლა ეჭვიც ალარავის ეპარება, რომ ეს ლეგენდა კი არა, აბსოლუტური სიმართლეა, — განაცხადა ფრანგმა არქეოლოგმა კლოდ პონშარელმა, რომელმაც იგი ალმოაჩინა.

შარშან, დეკემბერში, გეოლოგებმა ივარაუდეს, — სოდომი და გომორი მკვდარი ზღვის ნახევარკუნძულ ელიბანის მიდამოებში არისო, — აქ ყველა პირობა იყო იმის დამადასტურებელი, რომ აქაურობა ცეცხლმა და მიწისძვრამ მოასოდომგომორა.

ამ მონაცემებზე დაყრდნობით, პონშარელმა მისხალ-მისხალ შეისწავლა უდაბნო და იანვარში კიდეც მიადგა ქანდაკს — შიშით შეძრწუნებულის პოზა ძალზე ადამიანური იყო.

რენტგენის სხივებმა დაადასტურეს, რომ ქანდაკების შიგნით მართალია, მარილის, მაგრამ მაინც გული და ფილტვები იყო, რადიონახშირბადის გამოყენებით კი ასაკიც დადგინდა — მიახლოებით ოთხი ათასი წელი!

ახლა პონშარელის ექსპედიცია უშუალოდ სოდომის გათხრებზე მუშაობს.

— იმედი გვაქვს, წელსვე ზაფხულში მივაკვლევთ პირველ ნიმუშებს, საგნებს, რომლებსაც საუკუნეებია, ინახავს მიწა.

სკანდალი №11

## მოცარტი და მათემატიკა

შვეიცარიის ერთ-ერთი სკოლის 600-მა მოსწავლემ დიდად გაიხარა, — მუსიკის გაკვეთილების სასარგებლოდ, მათემატიკისა და უცხო ენების გაკვეთილები შეუმცირეს.

სამი წლის შემდეგ შედეგი მართლაც გასაოცარი იყო. მუსიკის გაძლიერებული სწავლების ჯგუფების მოსწავლეები პარალელური ჯგუფების მოსწავლეებს უცხო ენების ცოდნით გაცილებით სჯობდნენ, ხოლო მათემატიკა ერთნაირად იცოდნენ.

„გარდა ამისა, მოსწავლეები 7-დან 15 წლამდე გაცილებით ადვილად სწავლობენ კითხვას, — ამბობს ამ ექსპერიმენტის გამომგონებელი, ფრაიბურგის უნივერსიტეტის პედაგოგი მარია შპიხეგერი, — მცირდება, აგრეთვე, სოციალური დაძაბულობა და, რაც მთავარია, როცა ბავშვები ერთად უკრავენ და მღერიან, ერთმანეთის მოსმენას სწავლობენ. ყველაზე ძნელად ალსაზრდელი კლასიც კი, სამი წლის შემდეგ შესანიშნავ კონცერტს მართავს, ეს საოცრებაა პირდაპირ“, — თავადვე უკვირს ქალბატონ შპიხეგერს.

მუსიკალური სკოლის დირექტორი, ისლანდიელი მარტინ გარდინერი ასკვნის, — „ხუთიდან შვიდ წლამდე ბავშვებს მუსიკის სწავლა, არა მარტო წერისა და კითხვის შესწავლას უადვილებს, არამედ მათემატიკისაც“. გარდინერის აზრით, მუსიკა ბავშვებს სულიერად აფაქიზებს, აბსტრაქტულ აზროვნებას და თეორიული საგნების შესწავლას უადვილებს.

ფოკუსი 22/1996

## მოულოდნელი კანონზომიერება

იტალიელმა საზოგადოებრივი აზრის მკვლევარებმა, აპენინზე გამოკითხვის შემდეგ, მყიდველებსა და მათ პოლიტიკურ მრწამსს შორის უცნაურ კანონზომიერებას მიაგნეს. ვინც ბევრ ყავასა და კარაქს ყიდულობს, მემარჯვენეთა პოლიტიკურ მიმდინარეობას მიეკუთვნება, ხოლო, ვინც უპირატესობას ბრინჯსა და დაკონსერვებულ სურსათს ანიჭებს, მემარცხენეებს უჭერს მხარს.

პრავდა №86

## სენსაცია - ფეხბურთს მოიგებს გუნდი, რომელსაც უფრო ძლიერი ჯადოქარი მფარველობს

როდესაც რუსეთის გუნდმა ევროპის ჩემპიონატზე ჩემოდნები ჩაალაგა, გაზეთ „მეგაპოლის-ექსპრესის“ რედაქციას ეწვია უცნობი და თავი გააცნო, — მოსკოვის ანომალისტიკის ცენტრის სპორტული პროგრამების ასტრალური დიაგნოსტიკის განყოფილების მუშაკი, ვიაჩესლავ მასლოვი ვარო. მან რედაქციის მუშაკებს ფეხბურთზე საუბარი შესთავაზა და დასძინა: იქნებ, თქვენი ეროვნული განცდები ამის შემდეგ რაიმეთი შერბილდესო.

მასლოვის გრაფიკის მიხედვით, რუსული ფეხბურთის წარმატება ევროპაში 8-წლიან ციკლს მიჰყვება, მსოფლიოში — 56-წლიანს. 60-70-იან წლებში დიდ წარმატებებს ამ ინტერვალების დამთხვევით ხსნის და ამიტომ ყოფილა რუსეთის ფეხბურთი (მაშინ სსრკ) მსოფლიოში მეოთხე და ევროპაში მეორე ადგილზე.

— ეს პერიოდები, ძირითადად, მსოფლიოსა და ევროპის ჯადოქრულმა ფეხბურთის კლანებმა განსაზღვრეს. ისინი, დიდი ხანია, ბატონობენ ფეხბურთის ასტრალიკაში. ფაქტობრივად, ბოლო 40 წელი საფეხბურთო ბრძოლა მინდორზე კი არა, ოკულტურ სამყაროში ხდება. აქ ყველაფერი გასაიდუმლოებულია.

— როგორ მოქმედებს ჯადოქრობა კონკრეტულ მატჩზე?

— აუცილებელია, რომ ფეხბურთელებმა და მწვრთნელებმა არ იცოდნენ მათზე ასტრალური ზემოქმედების შესახებ. გამოთვლილია, რომ ევროპის ან მსოფლიო დონის ნებისმიერ ფეხბურთის მატჩს ესწრება ორივე გუნდის ინტერესების დამცველი მისანი, მათი რიცხვი საერთო მაყურებლის 10%-ია, ისეც ხდება, რომ 15%-საც აღწევს. ეს ასტრალური ენერგიის უზღვაობაა, თავმოყრილია კოლოსალური ენერგეტიკა. მარტო მარადონაზე, მისი კარიერის სხვადასხვა ეტაპზე, 13 მისანი მუშაობდა. მაგრამ ამა თუ იმ მატჩის ბედს ერთადერთი გოლი გადაწყვეტს ხოლმე და ეს გოლი ერთი რომელიმე კონკრეტული გრძნეულის პირმშოა; თუმცა, ამ მომენტის შექმნაში სხვაც ბევრი მონაწილეობს. გახსოვთ ის სკანდალური შემთხვევა, როდესაც მარადონამ მთელი მსოფლიოს წინაშე ხელით ითამაშა? მაშ, იცოდეთ, ეს თავხედური სიტუაცია შექმნა და შეასრულა ბრწყინვალე ფრანგმა ჯადოქარმა, ბლუმ, რომელიც ახლახან შიდსით გარდაიცვალა ლიონში. იგი მსოფლიოს ყველაზე ძვირადღირებული გრძნეული იყო. მისი ფასი, ამა თუ იმ მატჩზე, ზოგჯერ 8 მილიონ დოლარს აღწევდა. მაშ, ასე... მან, ერთადერთმა, წამიერად შენიშნა, რომ მსაჯი მეათედ წამს ყოველგვარი დაცვის გარეშე დარჩა, ასეთი სისწრაფით მუშაობა მხოლოდ ფრენსის ბლუს შეეძლო. ამ დროს 120-მა მისანმა ერთდროულად მიაწოდა მარადონას ჩუმი ყიჟინა: „ხელით გაისწორე!“ და მხოლოდ ბლუმ იმუშავა მსაჯზე — ასტრალურად დაუცველს მძლავრი ასტროიმპულსი გაუგზავნა: „არ იყო ხელი!“, საკითხი გადაწყვეტილი იყო.

— გამიგია, რომ ჯადოსნობას ორი ვექტორი აქვს „...თვის“ და წინაალმდეგ.

—„...თვის“, ძირითადად, იმ შემთხვევაში იდება, როდესაც მოწინაალმდეგე თანაბარია. როდესაც გერმანია-რუსეთი თამაშობდა, მისნობდნენ მხოლოდ ჩვენი გუნდის შესუსტებაზე, გერმანია ნეიტრალში ჩაურევლად, სუფთად თამაშობდა, მაგრამ ჩვენებზე ხომ მუშაობდნენ?

— ჩემპიონატის ჩატარების ადგილს თუ აქვს მნიშვნელობა?

— უდიდესი. ასტრალურ თანრიგებს ისეთივე საფანელი აქვს, როგორც რასებად (ევროპული, მონღოლოიდური, აფრიკული) დაყოფას. ყველაზე კარგად ასტრალურ ბრძანებას იქ გაატარებ, სადაც შენი ტიპოლოგიური სამყაროა — ურუგვაი, არგენტინა, პორტუგალია, ჩილე, ბრაზილია — ერთი ტიპოლოგიური თანრიგია და ა.შ. ამიტომ არის, რომ „შინ კედლებიც გეხმარებიან“, ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონები, უმთავრესად, ან მასპინძელი ქვეყნის გუნდი, ან მისი ასტრალური ტიპის წარმომადგენელი ხდებოდა.

ერთადერთი წელი 1958 იყო, როდესაც მსოფლიო ფეხბურთმა სკანდინავიაში ჩაიმუხლა და შეშფოთდნენ ფეხბურთის გრძნეულნი, — ან სკანდინავიური, ან სლავური გუნდი გახდება ჩემპიონიო. მაშინ რუსეთის ფეხბურთი ზეაწეული იყო. ყველა ბრაზილია-სსრკ-ს ფინალზე ლაპარაკობდა. 100%-იანი შანსი გვქონდა.

— კი, სტრელცოვი რომ არ დაეჭირათ და „ჯგუფური გაუპატიურების“ საეჭვო საქმე არ შეეთითხნათ.

— სხვათა შორის, სწორედ 56-58 წლებში დაიწყეს ბრაზილიაში ფეხბურთისა და ასტრალური მეცნიერების სინთეზი, ამ წლების ბრაზილიურმა ოკულტიკამ განგაში დაჰკრა. სკანდინავიური ასტრალიკა აბსოლუტურად შეუსწავლელიაო. არაოფიციალური გამოკვლევებით, იმ წლებში 120 ბრაზილიელი ოკულტისტი მუშაობდა შვედეთის ასტრალიკაში, არნახული თანხები გაიღო სახელმწიფომ, რადგან ეს ბრაზილიის პირველი გასვლა იყო უცნობ ასტრალიკაში, გადაწყვიტეს, ფეხბურთის მოედნის მიღმა მოეგვარებინათ საქმე და 1956-58 წლებში სხვადასხვა მიზეზით სსრკ მოინახულა ბრაზილიის ფეხბურთის ათობით გრძნეულმა.

— საბჭოთა ასტრალები ვერაფრით შეეწინააღმდეგენ?

— მაშინ სსრკ-ში სულ 5-6 ასტრალური ოპერატორი ჰყავდათ. ისიც ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში გაბნეული, მაგრამ, როგორც შემდეგ ალმოჩნდა, თითოეული ცალ-ცალკე გრძნობდა საბჭოთა ასტრალურ სივრცეში ბრაზილიის ოკულტიკის მოძალებას. უმთავრესი ის იყო, რომ საბჭოთა რეჟიმი კატეგორიულად უარყოფდა ასტრალის არსებობას. ამიტომ არ გასჭირვებიათ სტრელცოვზე გასვლა, გაიყვანეს სათავისო „არხები“ და, ფაქტობრივად, აიძულეს, ტატუშინთან და ოგონკოვთან ერთად მოეწყო ის მრუშობის ღამე, თითქოსდა, მილიციის მუშაკის ქალიშვილი რომ გააუპატიურეს. მოკლედ, ვისაც ოქრო უნდა მოეტანა, ციხეში ალმოჩნდა.

— ეს მართლა მაგიაა. რა გოლიათი გამოიყვანეს წყობიდან?!.

— ამიტომაც არსებობს ჯადოსნობის მესამე, დამცველი სახეობა. ნებისმიერ ნაკრებში ფეხჩაუხრელად მუშაობენ და აგროვებენ ფეხბურთელთა პირსახოცებს, ცხვირსახოცებს, ბოთლებსაც კი. მოჭრილ ფრჩხილებს, ნახმარ ბინტსა და ბამბას — ამას სპეციალური აგენტი ემსახურება. ფეხბურთის ვარსკვლავის თითოეული ნაფეხური და ნერწყვი დასაცველია. ბრაზილიელ სოკრატესსა და ფალკაოს სპეციალური საფურთხებლებიც კი ჰქონდათ, რომ ფეხბურთელის ემანაცია ჯადოქრის ხელში არ მოხვედრილიყო და ვინმესთვის მილიონ დოლარად არ მიეყიდათ.

მეგაპოლის-ექსპრესი №24

## მატადორის ფიასკო

ესპანელ ტორეადორს რაფაელ რაიმონდოს სულ ცოტა, სამი ათასი ბრძოლა აქვს მოგებული გაშმაგებულ ხარებთან, მაგრამ ერთი ნაკაწრიც კი არ დარჩენია.მიუხედავად ამისა, მის კარიერას წერტილი ჩვეულებრივმა ძროხამ დაუსვა.

ერთ კვირადღეს, 41 წლის რაფაელმა თავისი ფერმის ღობის შეკეთებას მიჰყო ხელი. იქვე მშვიდად იცოხნებოდა ოთხი წლის ძროხა, რომელიც სულ პატარა ხბო იყო, როდესაც რაიმონდომ შვილს აჩუქა. ცოტა უცნაური კი იყო ეს ჩვენი „ლაქება“ (ასე ერქვა შავ-თეთრლაქებიანს), უყვარდა ხელჩანთებისა და შალის ქალაღაიების ღეჭვა, ან ჩლიქებით შესდგებოდა ხოლმე.

ჰოდა, სწორედ ეს ჩვენი ლაქება სრულიად მოულოდნელად გამოქანდა, ერთი ლაზათიანად ამოარტყა რქები სახელმოხვეჭილ ტორეადორს და ღობის იქით მოისროლა. დარტყმა სერიოზული ალმოჩნდა და ხარებთან ორთაბრძოლის დიდოსტატმა რამდენიმე დღე საავადმყოფოშიც კი დაჰყო...



გავარდა ხმა, ჟურნალისტებს საქმე მიეცათ, საქვეყნოდ მოეჭრა თავი რაფაელს და იძულებული გახდა, უარი ეთქვა რამდენიმე გამოსვლაზე — დამპალ ფორთოხლებს დამაყრიან თავზეო.

იქნებ, ეს ამბავი დავიწყებასაც მისცემოდა, მაგრამ ცხოველთა უფლებების დამცველმა აქტივისტებმა შემოჰკრეს ზარი — განგებამ ასე ინება, რომ რჩოლია ლაქებას საუკუნის მეოთხედის მანძილზე დაღუპული მოძმეებისათვის ეძია შური.

იქნებ, მართლაც!

ექსპრეს-პრესი

## იპოვნეს ჯორჯ ვაშინგტონის ხელნაწერი

ამერიკის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესო მანუსკრიპტი, რომელიც ჯორჯ ვაშინგტონს ეკუთვნოდა, დღემდე დაკარგულად ითვლებოდა. ინაუგურაციისთვის 1789 წლის 30 აპრილს დაწერილი ტექსტი ავტორმა თვითონ გააჩუქა. მანუსკრიპტის შემდგომი ბედი უცნობი იყო. გასულ კვირას, ინგლისში, აუქციონზე წარადგინეს ხელნაწერი, რომელიც, პატრონის თქმით, ვაშინგტონისეული იყო და მასში 200000 ფუნტი სტერლინგი მოითხოვა. ფილიპსის ექსპერტებმა ხელნაწერის ნამდვილობა დაადასტურეს. მას, ალბათ, ამერიკის კონგრესის ბიბლიოთეკა შეიძენს, რომელიც პირველადზე ბევრად მეტ თანხას გადაიხდის.

ინტერნეიშლ ჰერალდ თრიბუნი

## სასახლე სტუმრებს მიიღებს

კაიროში, ყოფილი სამეფო სასახლე აბდინი პირველად გაუღებს კარებს სტუმრებს. სასახლის 500 დარბაზიდან, რესტავრაციის დასრულების შემდეგ, ნაწილი მუზეუმს დაეთმობა. სასახლე 1863 წელს აიგო ფრანგი არქიტექტორის პროექტით და მხოლოდ ვერსალს და ზამთრის სასახლეს თუ ჩამოუვარდება. შენობა მოაჩუქურთმეს ფრანგმა, იტალიელმა და ეგვიპტელმა ოსტატებმა.

1952 წელს, მონარქიის დამხობის შემდეგ, სასახლე ეგვიპტის პრეზიდენტს მიეკუთვნა, მაგრამ პრაქტიკულად გამოუყენებელი იყო. 1992 წელს აბდინი ძლიერმა მიწისძვრამ ძალიან დააზიანა.

სასახლეში მოთავსებულია თეატრი, უნიკალური ბიბლიოთეკა და სამხატვრო მუზეუმი.

ტრუდი №111

## რომის ნანგრევებში ორგიები გაიმართება

იტალიის მთავრობა მზად არის, ნებისმიერი ნაბიჯი გადადგას და ყველა ღონე იხმაროს, ოღონდ კი რაიმე ხერხით შეავსოს დაცარიელებული ხაზინა, ამოკემსოს გარღვეული ბიუჯეტი.

ერთ-ერთი უკანასკნელი გადაწყვეტილება, რომელზეც იძულებით, მაგრამ მაინც წავიდნენ, ის არის, რომ დღეიდან ყველა მსურველს, ვისაც ჟინი მოუვლის და ფულიც არ დაენანება, შეუძლია, ქვეყნის ისტორიულ ადგილებში მიეცეს განცხრომასა და დროსტარებას. დედამიწის ეს უმშვენიერესი ნაწილი, მუზეუმი ღია ცის ქვეშ, ორგიების ასპარეზად იქცევა. მთავრობამ დააწესა ერთგვარი ნიხრიც, მაგალითად, პომპეის ამფითეატრში საღამოს გამართვა სულ რაღაც ორი ათასი დოლარი დაჯდება.

*ექსტრა-პრესი*

## მილიონერი ხარჯავს მოყირჭებულ მილიონებს

სხვაგან ვერსად მოიფიქრებენ, ფეშენებელურ რესტორანში ფეხის შედგმისთანავე პრეზერვატივი მოგაჩეჩონ ხელში. ეს ფლორიდის შტატია, მაიამი-ბიჩი, ქალაქი, სადაც ზაფხულობით თავს იყრის ათასობით გრძელკანჭა მომხიბლავი ქმნილება ერთადერთი საზრუნავით, რაც შეიძლება გააქესეტონ დაღლილი მილიონერები.

მოკლედ, საღამოა. რესტორანში, ზემოთ რომ ვთქვით, იმ „რეზინის ნაწარმით" შემოგეგებებიან. სარესტორნოდ მორთული ქალბატონები მორცხვად ჩაილიმებენ, სმოკინგიანი მამაკაცები მდუმარედ იჩურთავენ ჯიბეში... მაიამი-ბიჩი ასე ებრძვის შიდსს, არადა, ათასი ჯურის როსკიპისა და სიყვარულის ქურუმის მომსახურებით სულ ადვილი შესაძლებელია — „ღირსეულად დასაჩუქრდე".

თუ დღისით ქალაქი თვლემს, ღამე იწყებს ცხოვრებას: საბოლოოდ ახელს თვალს ბარი თუ კაბარე, რესტორანი თუ კაზინო.

საკლუბო რესტორანი კლიენტებს რბილ სავარძლებს სთავაზობს, ოღონდ, აუცილებელი პირობაა მათი გრძელი ხავერდის თოკებით დაბმა. დისკ-ჟოკეი გამჭვირვალე, ტყვიაგაუმტარი მინის ეკრანის მიღმა ზის, ეს ზომები გადაჭარბებულად არ მიიჩნიოთ, როდესაც დარბაზის შუაგულში გამოდის გველივით სხარტი და ჩამოქნილი ზანგი ქალიშვილი და თითქმის დედიშობილა, თავისი საოცარი სხეულით იწყებს დაუოკებელი და დაუკმაყოფილებელი ვნების დემონსტრირებას, მამაკაცებს მხოლოდ თოკებით და ათეული ღონიერი მცველით თუ დააკავებ. დარბაზში სალერღელაშლილ მამრს გვერდით ოთახში ელოდებიან შოკოლადისფერი მულატები, ვისკის ორმაგი ულუფა და მისტიკური თავდავიწყება.

რომანტიკული პაემნების მოწყობით პირველობას არავის უთმობს 50-იანი წლების სტილის ბარი, *CECVELANDER*-ი, იგი ღია ცისქვეშ არის მოწყობილი. შუაგულში უზარმაზარი ლაჟვარდოვანი აუზია, მის ირგვლივ როკავს და წელში ტყდება ნიმფა და სუპერმენი, პირტიტველა ჭაბუკი და შუახანს გადაცილებული მილიონერი. ხამი კლიენტი გაოგნებულია, როდესაც ზურგსუკან ჩაუჩურჩულებენ — რას ინებებთ, „სექსს წყალში" თუ „კამიკაძეს"? თურმე, ეს ფირმის კოქტეილების სახელწოდებაა, რომელსაც კარგა შეთქვირული ქერა ქალიშვილები დაატარებენ. ფირმის რეცეპტს არავინ გაგიმხელს, მაგრამ ერთი ჭიქის შემდეგ, მამაკაცი იწყებს ფიქრს პლაჟზე, ქალზე, გაგრილებაზე და თავდავიწყებაზე, მით უფრო, რომ იქვეა გამჭვირვალე ჩადრში გამოხვეული ვენესუელელი მზეთუნახავი, მცხუნვარე აფრიკელი — არჩევანი უკიდეგანოა.

თუ ფანტაზია მოგთხოვთ, ცათამბჯენიც თქვენს სამსახურშია. თქვენ მხოლოდ სართული დაასახელეთ და გოგონა აირჩიეთ.

ასეთი ვნებიანი და ეგზოტიკური ღამის შემდეგ, თუ მოინდომეთ და ტელევიზორიც ჩართეთ, აღმოჩნდება, რომ ამერიკელი პრაქტიკოსები დროს უქმად არ კარგავენ და იქვე, ლოგინში შემოგთავაზებენ ყვავილების ფასსა და მისამართს, რის შეძენასაც კი მოისურვებთ, ასე რომ, თუ თქვენი რჩეული ჯერ კიდევ გვერდით გყავთ, შეურჩიეთ საჩუქარი.

„ბითლზები" მაიამი-ბიჩის აუზში ნებივრობენ

შუადღემდე თუ შემორჩით ამ ქალაქში, მაშინ კილომეტრობით გადაჭიმულ პლაჟებს მიაკითხეთ. აქ ჩასაფრებულია ასობით პროვინციელი ქალიშვილი, რომელთაც პირდაპირ ყნოსვა აქვთ გამახვილებული და წამში აგნებენ მილიონერს, რომელსაც მოყირჭებია მილიონები და ნეტარებას მოუტანს მათი გაფლანგვა.

იჩქარეთ, ღირს მაიამი-ბიჩიში ფულის ხარჯვა.

*ინგლისური პრესის მიხედვით*
*მეგაპოლის-ექსპრესი № 23*

## ორი დღით ადრე, „იქს" საათამდე

პეტერბურგის დედამიწის მაგნეტიზმის ინსტიტუტის საკონსტრუქტორო ბიურო „არსენალთან" და ამერიკული კოსმოსური ცენტრის სტენფორდის უნივერსიტეტთან ერთად შემუშავებულია მიწისძვრის პროგნოზირების უნიკალური პროექტი. პროექტის შექმნას წინ უსწრებდა დედამიწის ქერქის დაშლის დაკვირვება-შესწავლის ხანგრძლივი პროცესი, რომელიც მიზეზია სხვადასხვა დამანგრეველი კატაკლიზმებისა. ის დაშლა, რომელსაც წინ უძღვის „ელექტრომაგნიტური წინა უწყება", შეიძლება ადრე დაფიქსირდეს სპეციალური სისტემების საშუალებით, რომელიც დედამიწის თანამგზავრ „კოსმოსზე" არის დამონტაჟებული.

ახალი პროგრამის — „წინა უწყების" მეშვეობით, რეალურ საქმედ გადაიქცა მიწისძვრის ადგილისა და დროის განსაზღვრა ორი დღე-ღამით ადრე, „იქს" საათის დადგომამდე. „მეთვალყურე" აპარატიან თანამგზავრს ორბიტაზე გაისად გაუშვებენ. უკანასკნელი წლების მსხვილი კონვერსიული პროგრამის რეალიზებაში მონაწილეობას მიიღებენ პეტერბურგის სამხედრო დაწესებულებები.

*ტრუდი № 108*

## არქიმედეს „მზის ლაზერის" საიდუმლოება

უძველეს დროში, ჩვენმა წინაპარმა ჯოხი აიღო ხელში და თავდაცვისა და თავდასხმის იარაღად გამოიყენა. მრავალი ათასი წლის შემდეგ, ჯოხის განვითარებამ ატომურ ბომბამდე მიგვიყვანა. ბევრი რამ აღმოაჩინეს ამ დიდ გზაზე. ზოგს ჩვენამდე არც მოუღწევია. მეცნიერთა მტკიცებით, ერთ-ერთი ასეთი დანაკარგია არქიმედეს საიდუმლო იარაღი.

ჩვ. წ. აღ-მდე 212 წელს, რომაელებმა ალყა შემოარტყეს ბერძნულ ქალაქ სირაკუზს. უძველესი რომაელი ისტორიკოსების ცნობით, არქიმედემ შეიმუშავა სარკეთა სისტემა, რომლის მეოხებით რომაელთა ფლოტი გაანადგურა. დღემდე უკვირთ და ბჭობენ, დასაშვები იყო თუ არა ჩვენს ერამდე ასეთი ტექნიკის შექმნა? არქიმედე იყო არა მხოლოდ გენიალური მათემატიკოსი, არამედ ბრწყინვალე მექანიკოსიც. რომაელთა ფლოტის განადგურების შესახებ ნათქვამია, რომ ხომალდები უმიზეზოდ, თვალის დახამხამებაში, ცეცხლის ალში ეხვეოდა. დაუჯერებელია, 445 კვ. სმ. ზომის 450 სარკის ერთი მიმართულებით ორიენტირება და პრიმიტიული ტექნიკის მეშვეობით მზის სხივის ფიქსირება მტრის ხომალდზე. იტალიელი მკვლევარები დარწმუნებულნი არიან, რომ არქიმედეს სამხედრო სარკეები ნამდვილად არსებობდა. მაგრამ, იქვე უარყოფენ, არქიმედეს არ ექნებოდა წარმოდგენა მატერიისა და ენერგიის ურთიერთმოქმედებაზეო. იქნებ, ხომალდებზე გაჩენილი ხანძარი ოპტიკური ჩვენება იყო? იქნებ, იმ მომენტში ცეცხლოვანი ისრები აჩენდნენ ხანძარს?

მოკლედ, უამრავ საიდუმლოებასთან გვაქვს საქმე. დაიღუპა არქიმედე. მან თან წაიღო აღმოჩენების საიდუმლოებანი. მოგვიანებით რომაელებმა გაანადგურეს ქალაქი. „ბერძნული ცეცხლის" საიდუმლოება დღემდე გამოუცნობია. ცეცხლის რეცეპტი, რომელიც წყალშიც კი ინვოდა, სამუდამოდაა დაკარგული. ღირს კი, მისი პოვნა, დღეს ხომ უამრავი ამგვარი „სათამაშო" არსებობს, რომელთაც პლანეტაზე სიცოცხლის განადგურება შეუძლიათ.

*ტრუდი № 111*

**პრიმორიე,** სიმბოლურად ტიგრინაიად წოდებული დაბიდან, რამდენიმე კილომეტრში პლანეტის წითელ წიგნში შეტანილი უსურიის ვეფხვის მორიგი მსხვერპლის ნარჩენებს წააწყდნენ. ადამიანის უთავო გვამის მიხედვით, მაინც მოხერხდა უბედურის ვინაობის დადგენა — ვლადივოსტოკელი ბ. რამდენიმე დღის წინ ტყეში წასულა და უკან აღარ მობრუნებულა. სხეულზე ვეფხვის კბილების აშკარა კვალი ეტყობოდა. სავარაუდოა, რომ ვეფხვი ამ ხანშიშესულ მამაკაცს ტყის ბილიკზე დაესხა თავს, ეს უკვე „ტაიგის მბრძანებლის" ადამიანზე ნადირობის მეორე შემთხვევაა. ადამიანებიც სცოდავენ, ძალზე მიეძალნენ ტაიგას, შეავიწროვეს და ნადირისთვის ადგილი ცოტა დატოვეს.

ახლა პრიმორიეს მოსახლეობა მკაცრად გააფრთხილეს, რომ თითოთითომ არ იარონ საშიშ ადგილებში... ვითომ, რამდენიმეს კი ვერ გაუმკლავდება ბატონი ვეფხვი?

*პრავდა-5 №23*

## აკრძალეს ოცი სახეობის კერძი...

ვიეტნამის ახალი პრემიერ-მინისტრის ვო ვან ქიეტის პირველივე განკარგულება ეგზოტიკური კერძების მოყვარულთ შეეხო. პრემიერმა, ბუნების დაცვის მიზნით, სპეციალური ინსტრუქციით აკრძალა ზოგიერთი სახეობის გარეულ ცხოველთა კულინარიაში გამოყენება. ეს განკარგულება ადგილობრივ და ჩამოსულ გურმანთა დიდ გულისწყრომას იწვევს, ინსტრუქციაში ხომ ისეთი დელიკატესებია ჩამოთვლილი, როგორიცაა სამკარის დათვი, ბამბუკის მაიმუნი, „გაზაფხულის გველი" და სხვ.

## მსხვერპლი და ჯალათი

ბიოგრაფები მილენა იესენსკას ფრანც კაფკას ბოლოსწინა საყვარლად მოიხსენიებენ. იგი ერთადერთი ქალია, ვინც მწერალმა უკვდავყო ნაწარმოებით — „წერილები მილენას". უკურნებელი სენით შეპყრობილი კაფკა მეგობარს გამოუტყდა, — მსგავსი არაფერი მინახავს, იგი ფეხადგმული ხანძარიაო.

ჩეხი მილენა იესენსკა, მართლაც, უჩვეულო ქალი იყო, — მგზნებარე, მამაცი, საღად მოაზროვნე, ჭკვიანი, მეტად რისკიანი. ეს თვისებები მან სრულად გამოამჟღავნა პოლიტიკურ ჟურნალისტად მუშაობის დროს. ჟურნალ „PRIBOMNOST~-ის 1937 წლის ზაფხულის ნომრებში იბეჭდებოდა მისი საყურადღებო სტატიები გერმანელ ემიგრანტებზე, — იმ დროს პრალას უამრავი უსახსროდ დარჩენილი გერმანელი შეეხიზნა. „ისინი უცხონი არიან, უცხო ენაზე ლაპარაკობენ და უცხო ქვეყნიდან მოვიდნენ, მაგრამ ჩვენ საერთოც გვაქვს — სვასტიკის ხსენება ერთნაირად გვზარავს და სულს გვიხუთავს", — წერდა მილენა.

ფაშიზმის სიძულვილი უფრო გაუმძაფრა 1939 წელს გერმანელების ჩეხეთში შემოჭრამ. ჟურნალის მთავარი რედაქტორის დაპატიმრების შემდეგ, მილენა რამდენიმე კვირა ხელმძღვანელობდა რედაქციას, სანამ იძულებული არ შეიქმნა იატაკქვეშეთში გადასულიყო. არალეგალური გაზეთი „V BOU" ბეჭდავდა მის მეთაურ სტატიებს, იგი მალავდა ფაშისტთაგან დევნილებს, კონტაქტი ჰქონდა წინააღმდეგობის მებრძოლებთან. 1939 წლის აგვისტოში მან ჩეხ ქალებს მიმართა, — „თუ თქვენ ნებით დაუკავშირდებით გერმანელებს, ე.ი. უარს ამბობთ ჩეხეთზე." ნოემბერში მილენა იესენსკა გესტაპომ „სახელმწიფო ლალატისთვის" გაასამართლა. როგორც სასამართლო ოქმებიდან ჩანს, ვერაფერი დაუმტკიცეს, მაგრამ არ გაუთავისუფლებიათ, რავენსბრუკის საკონცენტრაციო ბანაკში გადაიყვანეს, სადაც 1944 წლის მაისში გარდაიცვალა.

სასამართლო ოქმებმა შემოინახა იმ კაცის ვინაობაც, ვისაც ხელი ერია მილენა იესენსკას დაღუპვაში. ეს გახლდათ იაროსლავ ნახტმანი. პატრიოტისნიღბიანმა ნახტმანმა წინააღმდეგობის იატაკქვეშეთში მოახერხა შეღწევა და მამულიშვილის სახელიც დაიმკვიდრა. ისე რომ, 1945 წელს, ჭეშმარიტი ანტიფაშისტები კბილებით იცავდნენ მას და არ ანებებდნენ საბჭოთა სასამართლოს, რომელმაც ნახტმანს 15 წლით პატიმრობა მიუსაჯა. იგი საბჭოთა ციხეშიც ძველებური მონდომებით ემსახურებოდა ახალ ბატონებს; დაუფასდა „ღვაწლი" — დროზე ადრე გაათავისუფლეს, ბინაც მისცეს და სამსახურიც. 1959 წელს ჩეხოსლოვაკიის სასამართლომ ნახტმანის წინააღმდეგ საქმე აღძრა — მას ბრალი ედებოდა 200-ზე მეტი პატრიოტის მკვლელობაში. იგი პრალაში ჩამოიყვანეს. მიუსაჯეს 14 წლით თავისუფლების აღკვეთა. ძველი ხელობა გაიხსენა და — ციხის დამსმენსა და პროვოკატორს ორი წელი აკმარეს.

1974 წელს იგი, გერმანელი დიპლომატების ხელშეწყობით, გერმანიაში გადავიდა საცხოვრებლად, დიდი პენსიაც დაუნიშნეს. სიცოცხლის უკანასკნელი წლები ბავარიაში, რეგენში გაატარა, იქვე მიიცვალა 1995 წლის 2 მაისს.

...ცოტა ხნის წინ, მილენა იესენსკას ისრაელის სახელმწიფომ „ხალხთა შორის წმინდანის" წოდება მიანიჭა.

*ფოკუსი № 22*

## ჰერზიგიანის მიზეზით დაიღუპა

ამერიკელი მსახიობი კარენ ო' კონორი აცხადებს, რომ ბოლომდე იბრძოლებს ნარკოტიკთა გამსაღებლებისადმი სასჯელის ზომის გასამკაცრებლად. შარშან, იანვარში, პოლიციამ დააკავა ჰენრი ჰერზიგიანი, რომელმაც ო' კონორის ნაშვილებს ნარკოტიკები მიჰყიდა, ჰეროინის გამყიდველს ერთი წლის პატიმრობა მიესაჯა. ო' კონორის ვაჟმა, ჰიუგომ თავი მოიკლა — მსახიობი შვილის სიკვდილს ჰერზიგიანს აბრალებს და ამბობს, საკადრისად არ დასაჯესო. ო' კონორმა სენატში წინადადება შეიტანა, რომ ნარკოტიკთა გამსაღებლებს მკაცრი სასჯელი, ზოგ შემთხვევაში, სამუდამო პატიმრობაც კი მიესაჯოთ.

## კაზანოვას რევაზი ერქვა..

ეს შვებულება ელენა სერგეევნას დიდ ხანს დაამახსოვრდება. 40 წლის ორნაქმარევ ქალს ასეთი ბედნიერება არ ღირსებია. ამ დღეების გმირი რევაზი იყო, ვნებიანი საყვარელი და რაინდი.

სოჭის სასტუმროს წინ გამოემშვიდობა საოცნებო მამაკაცს და გულიც სანახევროდ მასთან დარჩა. მალე გაილია ტრფობის თვე...

აეროპორტისკენ მიმავალ ტაქსს ელოდნენ, იქვე ახალგაზრდა წყვილი იდგა და ეტყობოდა, ჩქარობდა.

თურმე, გზა მათაც აეროვაგზლისკენ ეჭირათ. ელენა სერგეევნას სთხოვეს დაეტევებინა, რევაზი მოხერხებით იდგა სასტუმროს წინ და ლამის თვალცრემლიანი დიდხანს უქნევდა ხელს „გაფრენილ სატრფოს".

„ვოლგა" თვალს მიეფარა, სალონში დუმილი ახალგაზრდებმა დაარღვიეს, იკითხეს და ძალზე გაიხარეს, როდესაც აღმოჩნდა, რომ ელენა სერგეევნაც ომსკში მიფრინავს და სწორედ იმავე რეისით. აეროპორტში ერთმანეთს აღარ დაშორებიან. კატიამ (ასე ერქვა ქალიშვილს) საპარფარეშოში წასვლა შესთავაზა... ბარგი მიტიას ჩააბარეს.

ვიდრე ელენა ვარცხნილობას ისწორებდა, კატერინა თვალს მიეფარა, არ აღელვებულა ქალი, ალბათ, ქმართან დაბრუნდაო, მაგრამ, ტყუილად შერჩა თვალების ცეცება, ცოლ-ქმრის კვალი გაქრა, ისინი უკან, სასტუმროსკენ მიქროდნენ და ელენას ნივთებსაც მიაცუხცუხებდნენ.

ორი საათის შემდეგ ცოლ-ქმარი კვლავ სასტუმროს წინ გაჩერებაზე იდგა, რევაზი მორიგ „სატრფოს" აცილებდა (როგორც შემდეგ გაირკვა, ეს დაუღალავი მიჯნური ერთდროულად 5-6 დამსვენებელს „ემსახურებოდა", კაცის ეგ ყოფილა, და ქუდიც მას ხურებია)...

— აეროპორტისკენ ხომ არ მიდიხართ? ჩემს ახლობელსაც იქით ეჩქარება, — ჩაუსვა ტაქსში ახლა უკვე ლიდია ივანოვნა და დახეთ საოცრებას, გზაში ისევ გაირკვა, რომ ახალგაზრდა წყვილიც სანქტ-პეტერბურგში და კვლავ ლიდიას რეისით მიფრინავდა.

...ამასობაში, რევაზი ელიზავეტა ალექსეევნას ამზადებდა გასამგზავრებლად.

*ჩასტნაია ჟიზნ № 11*

# რომის პაპის იოანე-პავლე მეორის ვიზიტი გერმანიაში



გასულ კვირას, გერმანიას მესამედ ეწვია რომის პაპი. იგი გამოვიდა ბერლინის ოლიმპიურ სტადიონზე. შეხვედრას 90 ათასამდე მორწმუნე ესწრებოდა. პაპმა წმინდანად შერაცხა ორი გერმანელი სასულიერო პირი, რომელთაც მძაფრი წინააღმდეგობა გაუწიეს ოცდაათიან წლებში ნაცისტურ რეჟიმს. ბერლინის გამოსვლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა პაპისთვის: „ამ ქალაქში, რომელიც ადრე დანაშაულებრივი ნაცისტური დიქტატურის ცენტრი იყო, ახლა სიცოცხლისა და მშვიდობის იმპულსები იბადება, მას დიდი წვლილი შეაქვს ქრისტიანებისა და ებრაელების მშვიდობიანი თანაარსებობის საქმეში". რომის პაპი შეხვდა გერმანიის ფედერალურ პრეზიდენტს რომან ჰერცოგსა და ფედერალურ კანცლერს ჰელმუტ კოლს. ჰელმუტ კოლთან ერთად მან ფეხით გაიარა ბრანდერბურგის ჭიშკარი და კანცლერმა სწორედ ამ ისტორიულ ადგილას მიაგო პატივი რომის პაპის დამსახურებას გერმანიის გაერთიანების საქმეში: „ჩვენ, გერმანელები, თქვენი უაღრესად მადლიერები ვართ, თქვენ არასოდეს შეგუებიხართ ევროპის გაყოფასა და რკინის ფარდას," — აღნიშნა მან. რომის პაპი შეხვდა გერმანიის ებრაელთა გაერთიანების პრეზიდენტს იგნაც ბუბისცს. რომის პაპმა შეკრებილ მორწმუნეებს მოუწოდა: „წინ აღუდექით სიძულვილისა და სიკვდილის კულტურას, რა ფორმითაც არ უნდა მოგევლინოთ იგი, ნიმუშად გაიხადეთ მათი ცხოვრება, ვინც შეებრძოლა ფაშიზმს".

პაპის ვიზიტს საკმაოდ სკეპტიკურად შეხვდნენ პროტესტანტული ეკლესიის წარმომადგენლები, რომელთაც, მიუხედავად იმისა, რომ პაპმა ქებით მოიხსენია მარტინ ლუთერი, გუნება ვერ გამოუკეთდათ.

*სსს პრესსამსახური*

◆◆◆ სპარსეთის ყურეში ომის დროს, ქუვეითის საზღვრის მახლობლად, სამხრეთ ერაყში, დიდი იარაღის საწყობი იყო. ხმა დაირხა, ერთ-ერთ ბუნკერში 1991 წლის მაისიდან ქიმიური იარაღია დამალულიო. ბილ ქლინთონის განკარგულებით, ამერიკელი ექსპერტები გულმოდგინედ ეძებენ და იკვლევენ იქაურობას.

◆◆◆ აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში ბილ ქლინთონის მთავარი მეტოქე — რობერთ დოულის რეიტინგი საგრძნობლად ჩამორჩება თეთრი სახლის ახლანდელ გამგებელს. CHГ-ისა და ჟურნალ „TIME"-ის გამოკვლევით არჩევნები დღესვე რომ ჩატარდეს, ქლინთონს მოსახლეობის 49% მისცემს ხმას, დოულს — 43%.

◆◆◆ ავსტრიის ეროვნული თავდაცვის მინისტრმა ვ. ფასლანენდმა გაზეთ „პრესას" შეატყობინა, რომ ნატოს განზრახული აქვს, 1999 წელს წევრად მიიღოს 4 სახელმწიფო — უნგრეთი, პოლონეთი, სლოვენია და ჩეხეთი. აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა უ. პერიმ ავსტრიელ კოლეგას ვაშინგტონში უთხრა, რომ, რუსეთში არჩევნების შემდეგ საგრძნობლად დაჩქარდება ნატოს გაფართოების პროცესი.

◆◆◆30 ივნისს კაიროს ეწვევა ისრაელის ახალი პრემიერ-მინისტრი ბინიამინ ნეთანიაჰუ. ეგვიპტის პრეზიდენტი ჰოსნი მუბარაქი და ნეთანიაჰუ მოილაპარაკებენ ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესების შესახებ. ეს მათი პირველი შეხვედრა იქნება.

◆◆◆ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალის სამართლის პალატამ, პროკურორ რიჩარდ ჰოულდსთოუნის წინადადებით, გაეროს ჰააგის ციხიდან სამხილის უკმარობის გამო, გაათავისუფლა ბოსნიელი სერბი გორან ლაიიჩი. მას ბრალდებოდა ბოსნიაში, კერატერმის საკონცენტრაციო ბანაკში 5 მაჰმადიანის მკვლელობა. ეს კაცი გერმანიის ტერიტორიაზე დააპატიმრეს. გორან ლაიიჩი აცხადებს, რომ არასოდეს ყოფილა კერატერმში და არც მაჰმადიანებს შებრძოლებია. მოწმეებმა დამნაშავის ამოცნობა ვერ შესძლეს.

*სსს პრესსამსახური*

# შვეიცარიელთა საიდუმლო

საფრანგეთში, სტრასბურგში, 1944 წლის 10 აგვისტოს, შეიკრიბნენ გერმანიის მრეწველობის გიგანტები — კრუპი, მესერშმიდტი, რაინეტალი, როსლინგი და ფოლკსვაგენი. სასტუმროში მათ ეწვია სამომავლო გარიგების გასაცნობად მაღალჩინოსანი ესესელი, გენერალი. მოკავშირენი რაიხს გარს ადგნენ, ომი მთავრდებოდა და საჭირო გახდა გერმანული განძის შვეიცარიაში გატანა, რათა, მისი თქმით, — „ძლიერი გერმანული იმპერია დამარცხების შემდეგ ფერფლიდან აღმდგარიყო". შვეიცარია — ულამაზესი ბუნებით, უბადლო საათებითა და მყარი საბანკო სისტემით ცნობილი ქვეყანა ჰიტლერელთა სიმდიდრის საიმედო დამცველად იქცა. მაგრამ, როგორც ჩანს, ყველაფერს აქვს დასასრული, მათ შორის, შვეიცარიის ბანკების „ნაცისტურ" ანგარიშებსაც. აქაური საბანკო სისტემა ანაბართა თუ სხვა სახის დეპოზიტების მფლობელთა ვინაობის საიდუმლოების დაცვითაა ცნობილი. იგი ემყარება 1934 წლის კანონს, რომელიც სრული — „საბანკო საიდუმლოების" გარანტიას იძლევა. თუმცა, ამ კანონის შეცვლის პირველი ნიშნები გამოჩნდა, ეს კი საერთაშორისო, პირველ რიგში კი, ებრაული საზოგადოებების ზემოქმედების შედეგია.

ახლა აღმოჩნდა, რომ მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, ნეიტრალური სტატუსით, შვეიცარიამ მაქსიმალური მოგებაც ნახა.

არსებობს საბუთები, რომელთა თანახმადაც, ნაცისტები შვეიცარიას იყენებდნენ დაპყრობილი ქვეყნებიდან თუ დარბეული ებრაული ოჯახიდან წამოღებული ძვირფასეულობის, ან დიდძალი თანხების შესანახად. ცნობილი ხდება, რომ გერმანიის უმაღლესი ჩინოსანნი, თვით ჰერმან ჰერინგიც კი, ინკოგნიტოდ შედიოდნენ შვეიცარიაში და ფული ჩაჰქონდათ. ცრუ-ს ერთ-ერთი დოკუმენტის მიხედვით, მარტო 1944 წელს, ორმა უდიდესმა შვეიცარიულმა ბანკმა, — „შვეიცარიის გაერთიანებულმა ბანკმა" და „შვეიცარიის ბანკმა" მილიონობით ნაცისტური ფულის კონვერტაცია მოახდინა და შანხაისა და ლისაბონის ბანკში გადარიცხა. სხვა ბანკებმა კი გაანაღდეს გერმანელთა მიერ ფრანგული ბანკებიდან გატანილი სერთიფიკატები. 1940 წელს, ბელგიის ოკუპაციის შემდეგ, გერმანელებმა ბრილიანტის დამამუშავებელი 1200 ქარხანა (უმეტესად, ებრაელთა საკუთრება) ამერიკელებს მიყიდეს. სწორედ შვეიცარია იქცა ხიდად, რომლის მეშვეობითაც განხორციელდა ეს ოპერაცია. ნაცისტებმა ჰოლანდიიდან 160 მილიონი დოლარის ოქრო გაიტანეს (39 ტ). მისი ნაწილი ეკუთვნოდა 140000 ებრაელს, რომლებმაც ქონება ჰოლანდიის მთავრობას მიაბარეს შესანახად. აღსანიშნავია, რომ მათგან 100000 საკონცენტრაციო ბანაკებში დაიღუპა. დღეს კი ებრაელთა მსოფლიო კომიტეტი მოითხოვს მსხვერპლთა კუთვნილის დაბრუნებას. შვეიცარიის მთავრობისა და კომიტეტის მაისის შეთანხმების მიხედვით მუშაობა დაწყებულია. ყველაფრის სინათლეზე გამოტანა კი ბევრ საიდუმლოებას ახდის საფარველს. განსაკუთრებით კი, შვეიცარიული საბანკო სისტემის საიდუმლოებას, რომელიც, როგორც ჩანს, — „საიდუმლო კი არის, მაგრამ სუფთა მაინც არ ყოფილა". ამასთან, ძალზე საინტერესო ფაქტები უკვე დღეს ხდება ცნობილი. აღმოჩნდა, რომ ომის დამთავრებისთანავე მოკავშირე ქვეყნების სპეცსამსახურებმა ნამდვილი ბრძოლა გააჩაღეს ფარული ანგარიშების ხელში ჩასაგდებად. არავინ იცის, ვინ რამდენის მოხელთება შეძლო. ერთი რამ კი ცხადია, „ნაცისტური ფულის" დიდი ნაწილი ძნელად მისაკვლევია. მით უფრო, რომ დეპოზიტორთა და ბანკირთა უმეტესობა დიდი ხნის გარდაცვლილია. სპეცსამსახურის მაშინდელი აგენტები დუმილს ამჯობინებენ, ზოგი მათგანი — მაგალითად, ЦРУ-ს ყოფილი შეფი ვილიამ კოლბი საიდუმლო ვითარებაში, ტრაგიკულად დაიღუპა. ამერიკელი მკვლევარის, ვინტერის თქმით, რაიმეს პოვნის შანსი ძალზე მცირეა.

*ნიუზუიქ, 24 ივნისი*

# ბატონი არ განვარისხოთ!

ცნობილი ბრაზილიელი მწერალი რენალდო გუარანი 1964 წლიდან სამხედრო დიქტატურას ებრძოდა, 1970 წელს გერმანიის ელჩი მძევლად აიყვანა, რის გამოც დაიჭირეს და მერე ქვეყნიდან გააძევეს.

დღეს იგი რიოში უზარმაზარ ბინაში ცხოვრობს. მისი სახლის ერთ მხარეს მდიდართა კვარტალია, მეორე მხარეს, — სანტა-ტერეზას ბორცვების გასწვრივ, ჭუჭყი და სილატაკე.

ფაველა ვიდიგალია 7 მილიონიან რიოს ღარიბთა 800 უბნიდან ერთ-ერთია, სადაც ყოველწლიურად 8000 მკვლელობა ხდება. ღატაკთა უბნებს განგსტერები მართავენ. აიძულებენ ხალხს, ფეხებზე ემთხვიონ. ათობით ცოლი და შვილი ჰყავთ, საუკეთესო რესტორნებში სადილობენ, საუკეთესო მაღაზიებში დადიან. სიკვდილსიცოცხლის საკითხსაც ისინი სწყვეტენ. მორჩილთ არ ერჩიან, ურჩებს სასტიკად უსწორდებიან: ასაჭურისებენ, ხელ-ფეხს აჭრიან და თავს კვეთენ, ან ცოცხლად სწვავენ. აქ უპირველესი კანონია: ბატონებს ნუ განარისხებთ!

ვიდიგალიაში მოზარდებმა ბანდის თავკაცის, ჯოვანის დავალებით ორი თოთხმეტი წლის გოგონა შინიდან გამოათრიეს და დაჭრეს. რატომ? გოგონებმა ჯოვანის ნათესავს გაბედეს და ხელი გაარტყეს. ჯოვანიმ კი ეს წესის დარღვევად ჩათვალა.

ფაველაში წესის დარღვევად ითვლება, აგრეთვე, აქ მომხდარ ამბებზე ჭორაობა. ბანდის შეფს, გრინგოს, მოეჩვენა, რომ ბოკა მოლი ზედმეტს ლაპარაკობდა, „ენაჭარტალას" თავისი ხელით ამოაცალა ენა, ყურები დააჭრა და სხვების დასაშინებლად ბოძზე მიაჭედა.

მისივე დავალებით მოკლეს ქილერებმა სიტყვის გამტეხი სინდიკატის — „წითელი კომანდოს" ხუთი წევრი და ქუჩის პირას დაკიდეს.

იქვე, იპანემას მდიდართა კვარტლის მცხოვრებთ ნაკლებად აღელვებთ განუკითხაობა. საზოგადოებასა და მთავრობასაც ყური მოყრუებული აქვთ. პირიქით, სახელმწიფო თანამონაწილეა ორგანიზებული დანაშაულისა. როგორც დიდი მწერალი ამბობს, — „მთავრობა ღატაკთა უბნელებს ადამიანებად არ თვლის. აქაურ ბავშვებს მომავალი არა აქვთ. ისინი მხოლოდ სისასტიკესა და პროსტიტუციას ხედავენ. დანგრეულ ოჯახებში იზრდებიან.

1985-95 წლებში რიოში 6100 ბავშვი მოკლეს, 100000 აწამეს ან გაძარცვეს, მაგრამ ამისთვის არავინ დასჯილა. და ვიდრე ბრაზილიის საზოგადოება და მთავრობა ასე გულგრილი იქნება ბავშვების ხოცვისადმი, არაფერი შეიცვლება.

განუკითხაობამ რიო დიდი ხანია „ტროპიკულ ბოსნიად" აქცია. მხოლოდ ეგ არის, რომ აქ სამშვიდობო ჯარები არ დგანან. ორი წლის წინათ ბიჭები აქ კენჭებით თამაშობდნენ, დღეს ავტომატებით დადიან".

*ფოკუსი № 22, 1996*

# დისიდენტი გაათავისუფლეს

ვიეტნამს ძალიან უნდა ღია საზოგადოების მქონე ქვეყნად იქცეს, მაგრამ ვერც „კომუნისტური სამოთხის" ერთგულება ეთმობა, რაც, პირველ რიგში, ოპოზიციური აზრის დათრგუნვით გამოიხატება, რის გამოც, მსოფლიო საზოგადოება ცდილობს, ვიეტნამის მთავრობას ციხეებიდან გაათავისუფლებინოს დისიდენტები. ყინული დაიძრა. ერთი კვირის წინ გამოუშვეს უხუცესი დისიდენტი, 72 წლის ჰოანგ მინთ ჩინჰი, რომელსაც ანტისამთავრობო გამოსვლების ორგანიზებისთვის 12 წლიანი პატიმრობა ჰქონდა მისჯილი.

*ინტერნეიშლ ჰერალდ თრიბუნი*

# შპიონაჟის მეტრთა შეხვედრა

სოჭის კინოფესტივალზე, ახალ ფილმთა ჩვენებასთან ერთად, საბჭოური ფილმების რეტროსპექტივაც გაიმართა. მაგრამ იმ პერიოდისადმი დაინტერესება მხოლოდ სურათების ჩვენებით არ შემოფარგლულა. საყოველთაო ყურადღება, ერთ დროს, ერთმანეთთან მკვეთრად დაპირისპირებულ მხარეთა ცნობილმა ჯაშუშებმა მიიპყრეს. ჯაშუშთა სამეული: მარკუს ვოლფი — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყოფილი უშიშროების შეფი, პიტ ბაგლეი — ცრუ-ს რეზიდენტი სსრკ-ში 60-იან და 70-იან წლებში და ყოფილი კგბ-ს გენერალი — სერგეი კონდრაშოვი, თვითმხილველთა თქმით, ძალიან გულთბილად შეხვდნენ ერთმანეთს. ჩემო ძველო მეგობაროო, — მიმართავდნენ, თურმე, ერთმანეთს.

*ნიუზუიქ, 24 ივნისი*

## იაპონია ამერიკულ ბაზებს მოამარაგებს

იაპონიის პარლამენტმა, დიდი ხნის დებატების შემდეგ, ამერიკული ბაზების თავის ტერიტორიაზე ყოფნის ვადის გაგრძელება გადაწყვიტა. ორ ქვეყანას შორის შეთანხმება ძალაში შევიდა იაპონური მხარის მიერ შეთავაზებული დამატებების მიღების შემდეგ, რაც იაპონელთაგან ამერიკული სამხედრო ბაზების სრულ მატერიალურ მომარაგებას გულისხმობს, მათ შორისაა საკვები, სასმელი წყალი, ტანსაცმელი, ნავთობპროდუქტები და სხვ., სულ 15 ასპექტი. იგი მათ მწარმოებელ იაპონურ კომპანიებს მნიშვნელოვან მოგებას მოუტანს. იაპონელი ოფიციალური პირთა თქმით, შეთანხმების რეალური შედეგი უკვე ოქტომბერში გამოჩნდება.

*ინტერნეიშლ ჰერალდ თრიბუნი*

## ლიონში სათათბიროდ შეიკრიბნენ

იმის გამო, რომ ბორის ელცინი არ ესწრება „დიდი შვიდეულის" ფორუმს, როგორც სჩანს, რუსეთის ინტერესები ნაკლებად იქნება გათვალისწინებული; რუსეთის პრემიერი მხოლოდ მოსკოვის პოზიციის ტრანსლატორის როლში თუ გამოვა.

შვიდეულის ლიდერებს ესმით, რომ ელცინმა ივნისის დამლევს ლიონს მოსკოვი ამჯობინა, და ჯერ-ჯერობით ჩერნომირდინიც საკმაოდ წონიანი ფიგურაა, მაგრამ პოლიტიკურ დარგსა და უსაფრთხოების სფეროში დასავლეთი მაინც არ მიიღებს სერიოზულ გადაწყვეტილებებს. ერთი იმიტომ, რომ არ მოინდომებს ზიუგანოვის გამარჯვების შემთხვევაში შორსმიმავალი ვალდებულებების აღებას, მეორეც, ნოემბერში ამერიკა პრეზიდენტს ირჩევს და მოვლენები შეიძლება სხვაგვარად განვითარდეს.

სამიტზე განიხილება ტერორიზმთან და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის, გლობალური უსაფრთხოებისა და ცხელწერტილებში კონფლიქტების მოწესრიგების პრობლემები.

*ნეზავისიმაიაგაზეტა №116*

# საფრანგეთის სიახლენი

— ***საფრანგეთის*** პარლამენტმა გადაწყვიტა საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურება გააიაფოს პიკის საათებში. ამ პერიოდში მეტროში უფასო მგზავრობაა ნავარაუდევი, რამაც მეტროს მესვეურთა სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია. დადგენილებაში არაფერია ნათქვამი, ვინ აანაზღაურებს ტრანსპორტირებას და როგორ უნდა იმუშაოს სისტემამ ახალ პირობებში.

— ***საფრანგეთის*** საკურორტო ქალაქი ავინიონი შეუერთდა მენტონისა და ნიცის გადაწყვეტილებას, რომელიც 1 ივლისიდან 15 სექტემბრამდე, ლოთობის საწინააღმდეგო მკაცრ პრევენტულ ზომებს ითვალისწინებს. საფრანგეთის სამხრეთის სხვა ქალაქები ანალოგიური ზომების მიღებას აპირებენ. საკურორტო სეზონში სანაპიროს მილიონობით ტურისტი აწყდება, ლოთები კი, ხომ მოგეხსენებათ, მრავალ თავსატეხ პრობლემას ქმნიან.

*ინტერნეიშლ ჰერალდ თრიბუნი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სისხლიანი მატჩი ტრაფალგარზე

ინგლისი გერმანიასთან რომ დამარცხდა, რამდენიმე წუთში ხუთშაბათიც დადგა. სწორედ ახალმა დღემ მოიტანა საზარელი მტვრევა და ლეწვა, წაგებით გაშმაგებულმა ინგლისელმა ფანებმა რომ მოაწყეს ლონდონსა და მის გარეუბნებში. ეს იყო პირველი სერიოზული ინციდენტი, ევრო-96-ის თითქმის სამკვირიან ისტორიაში. თამაშს 75 ათასი ინგლისელის გარდა, დაახლოებით 20 მილიონი მათივე თანამემამულე ტელემაყურებელი ადევნებდა თვალს. მარცხმა ალბიონის ყველა კუნჭულში გამოიწვია რეაქცია. „ცხელ წერტილებად", ძირითადად, პაბები და ბარები იქცნენ. თუმცა, იქ სერიოზული არაფერი მომხდარა. უმთავრესი არეულობა ლონდონის ცენტრში ტრაფალგარის მოედანზე მოეწყო. ინგლისურ-ბრიტანული დროშებით ხელდამშვენებული რამდენიმე ასეული ფანი მოედნის შუაგულში აღმართულ ადმირალ ნელსონის სვეტსა და მიმდებარე შადრევნის შორიახლოს განლაგდა. პოლიციამაც წინასწარ იყნოსა არეულობა და დიდი პიკეტი დააყენა. წესრიგის დამცველები თან გრძელ ხელკეტებს ატრიალებდნენ და განსაკუთრებით აღგზნებულებს მისი დაკვრით აშოშმინებდნენ ხოლმე. საუბედუროდ, დიდხანს ასე არ გაგრძელებულა. ბრბომ იხუვლა და გზად ყველაფერი წალეკა. ფანებმა პოლიციას დასცხეს, ხელჩართული ომი გაუმართეს გაჩერებულ მანქანებს, ფანჯრებს უმტვრევდნენ და ატრიალებდნენ, მაღაზიების და რესტორნების მინები ხომ მთელი არც ერთი არ დატოვეს, რამდენიმე ფანი მანქანის კაპოტებზე შეხტა. მათ პარპრიზები ჩაამტვრიეს და მძღოლებს ჭრილობები მიაყენეს. ზოგი გულშემატკივარი ნაგვის ყუთებსა და შუშის ბოთლებს ესროდა ცალკე პოლიციას და ცალკე მიმავალ მანქანებს.

ტრაფალგარზე მყოფ მრავალ ადამიანს ხულიგნების მიერ ნასროლი ბოთლებითა და ხურდებით თავი გაუტყდა. ზოგ მათგანს სახე დასისხლიანებოდა. ერთ-ერთი მოქალაქე პოლიციელებს მიუბრუნდა და უთხრა, — აქ არც არაფერი მოხდებოდა, თქვენ რომ არ მოთრეულიყავით. წინააღმდეგობა და ჩხუბი თქვენ გამოიწვიეთ, დამორჩილებოდით ბრძანებას და ყველაფერი წყნარად მორჩებოდაო.

ცოტა ხნის შემდეგ, ეგზალტირებულმა ბრბომ ტრაფალგარიდან ჩრდილოეთით, ეროვნული გალერეისკენ გადაიწია. ფანები კიბეებსა და სვეტებზე განლაგდნენ და ბრიტანელთა ეროვნული საგანძურის ფანჯრების ლეწვა დაიწყეს. ამ დროს გერმანელი გულშემატკივრები ფატერლანდის დროშების ფრიალით ცენტრალურ ლონდონში მიმოდიოდნენ. ის იყო, ტრაფალგარისკენ ჩაუხვიეს, რომ ზემოაღწერილ სცენას წააწყდნენ. შეშინებულებმა უკან მოუხედავად მოუსვეს და თავი ტრაფალგარის ახლობელ სოჰოს უბანს შეაფარეს. საზოგადოდ, ეს სოჰო ლონდონისა და მთელი ინგლისის გარყვნილების ბუდეა, მაგრამ დაზაფრულ გერმანელებს რა ეგარყვნილებოდათ, როცა სიკვდილს ძლივს გადაურჩნენ. დიახ, სიკვდილს, რადგან ამ მომენტში ინგლისელმა ფანებმა დანით მძიმედ დაჭრეს ვიღაც საცოდავი რუსი სტუდენტი, — გერმანელი გვეგონაო. ლონდონის პოლიციამ, ცხადია, საყოველთაო მობილიზაცია გამოაცხადა: უემბლიზე და სხვა საეჭვო ადგილებზე პოლიციელთა გაძლიერებული კორდონები გაემგზავრნენ. ღამის განმავლობაში დააპატიმრეს 82 კაცი. 28 ადამიანი დაშავდა, 10 კი ჰოსპიტალში გააგზავნეს.

ამ ლონდონურ მტვრევას სხვა წერტილებშიც ჰქონდა გამოძახილი. დედაქალაქის დასავლეთით აყირავებდნენ მანქანებს, ლეწავდნენ მათ ფანჯრებს და მაღაზიის ვიტრინებს. ლონდონის ჩრდილოეთით, ქალაქ ბედფორდში 300-400 ახალგაზრდამ რბევა მოაწყო — მანქანები და ვიტრინები ხომ თავისთავად, მაგრამ მაღაზიებშიც შეიჭრნენ და იქაურობაც მოსპეს. არეულობა ბედფორდის მახლობელ სოფლებსაც მოედო. პოლიციამ წესრიგის აღდგენა სცადა, მაგრამ სანაცვლოდ ქვები და ხის ნაფოტები მიიღო.

პოლიციის ოფიცერმა ტონი როუომ განაცხადა, რომ ტრაფალგარზე მომხდარი წმინდა წყლის ხულიგნობაა. ამას ვერც აღელვებას დააბრალებ და ვერც განრისხებას. ამ საძაგლობას ფეხბურთთან რა ესაქმება. ამ ხალხს ფანები როგორ ვუწოდოთ, ისინი ხულიგნები და კრიმინალები არიანო. მოხდა ზუსტად ის, რაც ბრიტანულმა პოლიციამ და უშიშროებამ კარგა ხნით ადრე ივარაუდა. მოქმედება კი ზუსტად გერმანიისა და შვედეთის სცენარით წარიმართა. ამ ქვეყნებში ევროპის წინა ორი ჩემპიონატი ჩატარდა და ინგლისელმა ფანებმა საარაკო ხულიგნობითა და მუშტიკრივით გამოიჩინეს თავი. ევრო-96-ის უშიშროების უზრუნველსაყოფად 25 მილიონი გირვანქა სტერლინგი დაიხარჯა, მაგრამ საქმეს მაინც არაფერი ეშველა.

სარბიელი №61

# როდეო ბრაზილიურად

„მალბოროს კაცი" — ამერიკული ცხოვრების სტილის სიმბოლო — გარემოს იცვლის. სამხრეთ ამერიკაში მისი ფონი პალმებითა და სამბას მოცეკვავეებით შეიცვალა.

ბრაზილია, ქვეყანა, რომელიც ფეხბურთის, კარნავალების, სამბასა თუ ყავის ქვეყნადაა ცნობილი, როდეოთი გატაცებას მოუცავს. შარშან, აქ, შეჯიბრებას 24 მილიონზე მეტი მაყურებელი დაესწრო. ბრაზილიის როდეოს ჩემპიონატში, ყოველწლიურად, 60 ათასი კაცი მონაწილეობს. შეჯიბრება ტარდება 1200 ქალაქში, ძნელია ბრაზილიელთა სიყვარულის მოპოვება, კოვბოები კი სათაყვანებლად გაუხდიათ. როდეოს პელეს უწოდებენ ადრიანო მორაესს, ის 1995 წელს გინესის რეკორდების წიგნშიც კი მოხვდა, რადგანაც ერთ შეჯიბრებაში 10 ხარს მოუგრიხა კისერი. კოვბოებს ხშირად შეხვდებით არგენტინის პამპასებსა თუ მექსიკის პრერიებში. მაგრამ ბრაზილიაში როდეო და კოვბოები ერთგვარ საკარნავალო ატრიბუტად იქცა. შეჯიბრებაზე დასწრება ისეთივე ძნელია, როგორც ფეხბურთის ფინალურ მატჩზე, ხოლო ტოტალიზატორში მოგება იმდენად დიდია, რომ ხშირად მოგებული სამუდამოდ უზრუნველყოფილია. როდეოს ასეთმა პოპულარობამ ბიზნესმენები გულგრილნი არ დატოვა. მათ ყოველწლიურად 500 მილიონზე მეტი შემოსავალი აქვთ კოვბოების ატრიბუტიკის — ქუდების, ტანსაცმლის თუ ჯიპების ვაჭრობით. ბრაზილიელთა მუსიკალურ სამყაროში სულ უფრო იჭრება კოვბოური ფოლკლორი — ქანთრი. მარტო 1995 წელს 8,5 მილიონზე მეტი კასეტა თუ კომპაქტდისკი გაიყიდა. ბრაზილიელი ბიზნესმენები ცდილობენ, როდეოდან, რაც შეიძლება მეტი მოგება ნახონ. ერთ-ერთი მათგანი ვალდომირო პოილისელი, მდინარე ხაგუირანას ნაპირზე სპეციალური როდეო-ცენტრის აშენებას აპირებს, რესტორნებით, სასტუმროებით და, რა თქმა უნდა, უზარმაზარი არენით. ბრაზილიელ ფერმერთა სიხარულს კი საზღვარი არა აქვს, — როდეომ ხალხს გული ფერმებისკენ უბრუნაო.

ნიუზუიქ, 17 ივლისი

## კეპკე „ბარსელონაში"

გერმანიის ნაკრებისა და ფრანქფურტის „აინტრაჰტის" მეკარე ანდრეას კეპკე, შემდეგი სეზონიდან, „ბარსელონას" ღირსებას დაიცავს. ამის შესახებ ოფიციალურად განაცხადა მისმა პირადმა მენეჯერმა. ანდრეას კეპკე 32 წლისაა და ამიტომ კატალონიის კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი სპეციალისტებმა სენსაციად მიიჩნიეს. თავის მხრივ, „ბარსას" მწვრთნელმა ბობი რობსონმა მას შემდეგ მოიწვია კეპკე, რაც უარი მიიღო პორტუგალიის ნაკრების მეკარის — ვიქტორ ბაიასაგან.

## გიგზს გემოვნება არ ღალატობს

უელსელი ფორვარდისათვის — რაიან გიგზისათვის ევროპის ჩემპიონატს ტყუილად როდი ჩაუვლია, მიუხედავად იმისა, რომ მის ნაკრებს საერთოდ არ მიუღია ჩემპიონატში მონაწილეობა. საქმე იმაშია, რომ გიგზმა ჩემპიონის მედლებზე არანაკლებ ძვირფასი პრიზი მოიგო — ესპანეთის ტელევიზიის უმშვენიერესი წამყვანის — კაი ფერერის გული. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მისი ცხოვრების ყოფილი მეგობარიც ტელეწამყვანი გახლდათ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გიგზს ძლიერ ყვარებია ტელეგადაცემები.

## ხილის საქმეებს პროკურატურა იძიებს

წლევანდელი სეზონი მართლაც ბედნიერია მადრიდის „ატლეტიკოს" პრეზიდენტის, ხესუს ხილისათვის — მისმა გუნდმა ესპანეთის ჩემპიონობაც მოიპოვა და ქვეყნის თასსაც დაეუფლა. თუმცა არაა გამორიცხული, ხილს მთელი ჯაფა წყალში ჩაეყაროს, რადგან ექსცენტრიული მილიონერის პერსონით ესპანეთის პროკურატურა დაინტერესდა. უკვე ერთი თვეა, რაც სამართალდამცავები იძიებენ ხილის საქმეს, რომელიც საზოგადოებრივი ფონდების უკანონო მოხმარებაშია ეჭვმიტანილი. ზოგიერთი მონაცემებით, ხილმა, რომელიც საკურორტო ქალაქ მარბელიას მერიცაა, 200 მილიონი პესეტა იშოვა უძრავ ქონებასთან დაკავშირებული უკანონო ოპერაციებით. კერძოდ, 1991 წელს მისმა კომპანიამ რამდენიმე კომერციული საწარმო შეიძინა, შემდეგ კი, ორჯერ უფრო ძვირად მიჰყიდა ისინი მარბელიას მუნიციპალიტეტის მიერ კონტროლირებად საზოგადოებას.

11X11 №34

## შირერზე ტაციაობაა

ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირობის უპირველესი კანდიდატის ალან შირერის სავარაუდო ტრანსფერის საკითხი საყოველთაო ყურადღების ცენტრშია. ინგლისში გავრცელდა ჭორები მისი „მანჩესტერ იუნაიტედში" გადასვლის შესახებ, მითუმეტეს, რომ ინგლისის წლევანდელ ჩემპიონთა საფირმო მაღაზიაში უკვე იყიდება კლუბის მაისურები წარწერით SHEARER. თავად შირერი ამტკიცებს, „ბლექბერნიდან" წასვლას სულაც არ ვაპირებო. „იუნაიტედის" მწვრთნელი ალექს ფერგიუსონი კი მრავალმნიშვნელოვნად აცხადებს, შირერის საკითხი მოგვიანებით გადაწყდება და ყველაფერი ფულზეა დამოკიდებულიო.

ამავე დროს, შირერის გადაბირების სურვილი გამოთქვა ინგლისის ნაკრებისა და „პორტუს" ყოფილმა და „ბარსელონას" ამჟამინდელმა მწვრთნელმა ბობი რობსონმა. კატალონიური კლუბი ვარსკვლავების შესაძენად რომ ფულს არ იშურებს, ჯოვანის 25 მილიონდოლარიანმა ტრანსფერმაც დაგვანახა, მაგრამ „ბარსელონას" მაინც გაუჭირდება შირერის დაყოლიება, — ინგლისელი ბომბარდირით ორი იტალიური სუპერგრანდი, „მილანი" და „იუვენტუსიც" დაინტერესდნენ.

11X11 №34

## მაყურებელთა სიკვდილი ორგანიზატორთა ბრალია

ზამბიის დედაქალაქ ლუსაკაში ამასწინათ დატრიალებული ტრაგედია, როცა ზამბიისა და სუდანის ნაკრების შეხვედრისას სტადიონზე 9 ადამიანი დაიღუპა, — ორგანიზატორებს დაბრალდათ. საქმე იმაშია, რომ მათ 30 000-იან სტადიონზე 40000 ბილეთი გაყიდეს, წარმოიქმნა ზედახორა და მან მსხვერპლიც გამოიწვია. მსგავსი შემთხვევა, ამავე სტადიონზე, რამდენიმე წლის წინ მოხდა. მაშინ მხოლოდ ერთი ადამიანი დაიღუპა. სტადიონს ამჟამად დისკვალიფიკაცია ელის, ზამბიის ნაკრები კი შეიძლება საერთოდ მოიხსნას მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირიდან.

## კრეიგ ბრაუნი ვიდეოჩანაწერების წინააღმდეგ

შოტლანდიის ნაკრების მწვრთნელი კრეიგ ბრაუნი სასტიკი წინააღმდეგია საკამათო სიტუაციებში ვიდეოჩანაწერის გამოყენებისა, — „მე ვფიქრობ, რომ მსაჯი ყოველთვის მართალია, მაშინაც კი, როცა არასწორ გადაწყვეტილებას იღებს. თუ იგი ყოველ საეჭვო სიტუაციაში ტელეეკრანისაკენ სირბილს დაიწყებს, — მსაჯი კლოუნს, ხოლო ფეხბურთი ცირკს დაემსგავსება", — განაცხადა ბრაუნმა.

# მისახედს მიხედვა დროზე უნდა

ოლროჩოლრო გზა უმწეოდ მხრებჩამოყრილ შენობასთან მიდის...

აქ არის მოთავსებული თბილისის განათლების სამმართველოს ოლიმპიური რეზერვების ბავშვთა და მოზარდთა ფიგურული სრიალის სპორტული სკოლა, რომელიც 34 წელია, არსებობს.

მრავალი თაობა აღიზარდა ამ კედლებში, ბევრმა ასახელა იგი. დღევანდელი მწვრთნელი-მასწავლებლებიც ამ სკოლაში დაოსტატდნენ.

29 ასაკობრივ ჯგუფში თბილისის 80-მდე სკოლის 332 მოსწავლე ეწაფება ამ, ჩვენთვის არატრადიციულ, მაგრამ პოპულარულ და ლამაზ სპორტს.

სკოლაში (დირექტორი ბატონი ნოდარ ნათაძე) მოღვაწე პედაგოგებიდან 14 სპორტის ოსტატია, 2 — საერთაშორისო სპორტის ოსტატი, 42 — ოსტატობის კანდიდატი. აქ საქმიანობს 1 საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი, 20 — რესპუბლიკური კატეგორიისა.

ამ პაწია ყინულის მოედანზე დაოსტატდნენ ბადრი ყურაშვილი (პარიზის ფიგურული სრიალის შოუ-ბალეტის სოლისტი), ანდრეი ტორიანი (მოღვაწეობს აშშ-ში), კიოლნის (გერმანია) შოუ-ბალეტის მწვრთნელი გიზო ბლიაძე, აშშ-ის ყინულის საბალეტო შოუს სოლისტი ბესო ცინცაძე...

სკოლაში ხდება ქორეოგრაფიულ, აკრობატულ, ციგურულ და ფიზსპეცმომზადებაში დაოსტატება.

სკოლა განსაკუთრებით ამაყობს იმით, რომ ამ ბუდიდან აფრინდნენ სახელგანთქმული ბალერინები ნინო ანანიაშვილი და ალა ხანიაშვილი.

შარშან, ესპანეთის ქალაქ ანდორაში ჩატარებულ საერთაშორისო ახალგაზრდულ ოლიმპიადაში ციგურებით ფიგურული სრიალის ქართული სკოლის ორი აღზრდილი მონაწილეობდა — ვახტანგ მურვანიძე და ხათუნა ხარიტონაშვილი. ამ საინტერესო, პრესტიჟულ შეჯიბრებაში ვახტანგმა საპატიო მე-12 ადგილი დაიკავა, ხათუნამ — 23-ე. რაც, შეიძლება ითქვას, რომ ეს ამ კერის გამარჯვებას მოწმობს.

ნეტავ, განახათ, როგორ გულმოდგინედ მუშაობენ აქაური პედაგოგები, რა სიყვარულით გადასცემენ ცოდნას ასევე მონადინებულ პატარებს. ყოველი სასწავლო წლის დასასრულს გამართულ შოუ-კონცერტში, რომელსაც შინაურებისა და ახლობლების გარდა, ვერავინ ესწრება (დარბაზის სიმცირისა და მოუწყობლობის გამო). სკოლას ისე უჭირს, რომ რემონტიც ვერ გაუკეთებია, თავისი აღზრდილი და ყოფილი მწვრთნელი თემურ ლომიძე უანგაროდ რომ არ ეხმარებოდეს (მასაც აღარ შეუძლია უკვე ხელის გაწოდება!), ყინულის შესაქმნელად აღარც მარილი ექნებათ და აღარც ფრეონი... წლევანდლამდე კიდევ იოლად გადიოდნენ, სასწავლო წელი დამთავრდა, რა იქნება გაისად?

მასწავლებლები მხოლოდ ენთუზიაზმით მუშაობენ, გაუსაძლის პირობებში, 18 ლარად... თავად სკოლას თავის პატრონობა არ შეუძლია, — ვეღარც შენობას შეაკეთებს, ვეღარც 6 ტონა სუფთა მარილს და 8 ბალონ ფრეონს იყიდის, ვეღარც ინვენტარს... განათლების სამინისტროს პატრონაჟში არ შედის, ქალაქის განათლების განყოფილების ერთეულია...

მართალია, გვიჭირს, მაგრამ ასეთ სახელიან განათლებისა და გამაჯანსაღებელ კერას, რომელიც ერთადერთია სახელმწიფოში, ალბათ, უნდა მივხედოთ, თორემ, ქალაქის ცენტრში, მყუდრო ადგილას მდებარე შენობა, ვაითუ, ვინმეს თვალში საბაზროდ მოუვიდეს...

ნინო პეტრიაშვილი

ვმკურნალობთ უვნებელი ბალახებით ყოველგვარი ქიმიის, უკუჩვენებისა და გვერდითი მოვლენების გარეშე.

სახსრებს (ანთება, მარილები), ოსტეოქონდროზს, პოდაგრას, ნერვის ანთებას (იშიასი, რადიკულიტი, სამწვერა და სხვა); მიოზიტებს, სისხლძარღვების შევიწროებას, გასტრიტს, ქოლეცისტიტს, ღრძილებს, ნევროზებს.

გვაქვს მაღალეფექტური მალამოები დამწვრობების (უკვალოდ), ბუასილის, ძირმაგარების, ჩირქოვან — შეუხორცებად ჭრილობების სამკურნალოდ.

ჩვენთან განკურნების უმაღლესი შანსია!!! ☎ 61-02-97 39-39-97

## აღმოჩენილია „იესოს პაპირუსი“

ე.წ. ოქსფორდის სახარების პაპირუსი ინგლისელმა პაპიროლოგმა ქარსთენ პეტერ თიიდემ გაშიფრა. მის წიგნში მოთხრობილია თითქმის სენსაციური ცნობები იესო ქრისტეს ცხოვრების შესახებ.

მეცნიერის თქმით, ოქსფორდული პაპირუსის თარიღი და მისი ნამდვილობა ახლებურად შეფასდა. ეს, ფაქტობრივად, უკვე აღმოჩენის ხელახალი აღმოჩენა, რევიზია, დიდი ხნის წინათ დადგენილის ახალი თვალით გადახედვაა.

სახარებაში აღწერილი ბოლო ამბები პირველი საუკუნის 30-იან წლებში ხდებოდა. მკვლევარს, ცხადია, აინტერესებდა ტექსტი, რომელიც დაწერილი იქნებოდა იმ დროსთან, რაც შეიძლება ახლოს, რადგან რაც უფრო ძველია ტექსტი, მით უფრო სარწმუნოა. ამჟამინდელი „ახალი აღთქმა“ სულ სხვა სურათს წარმოაჩენს, ვიდრე მაშინდელი საბუთები. ეს გასაკვირი არც არის. ყველა ეს ტექსტი ხომ ხალხურმა თეოლოგებმა მომხდარიდან კარგა ხნის შემდეგ შეადგინეს. 60-65-იან წლებში ვერავინ გაბედავდა სიცრუის თქმას, რადგან იერუსალიმსა და გალილეაში ჯერაც იყვნენ ადამიანები, რომელთაც ყველაფერი კარგად ახსოვდათ. ფანტაზიის შესაძლებლობა მაშინდელი თვითმხილველებისთვის ნაკლები იყო, ვიდრე შემდგომ.

მეცნიერმა აღმოაჩინა ჭეშმარიტად „იესოს პაპირუსი“, — აქ საჭოჭმანო არაფერია. ხელნაწერის ასოები ისეთი ე.წ. ლეგატურებითაა გადაბმული, რომლებიც პირველი საუკუნის პირველი ნახევრისთვისაა დამახასიათებელი.

ოქსფორდულ პაპირუსთან ასაკით ყველაზე ახლომდგომი პაპირუსი 66 წლის 24 ივლისითაა დათარიღებული. ოქსფორდული კი, გაცილებით ადრეა შედგენილი.

მაშასადამე, — ასკვნის მეცნიერი, — იესო ქრისტე ნამდვილად ძე ღვთისაა, ნამდვილად მოვლენილი ამქვეყნად, ნამდვილად ევნო და აღსდგა მკვდრეთით.

ფოკუსი №22

## კრემლის ექსტრასენსი ბრძანებს...

ივან ფომინი, სრულიად მოულოდნელად, 1979 წელს ექსტრასენსად მოევლინა ქვეყანას. ნიჭი ცოლმა აღმოუჩინა, როდესაც ჩვეულებრივი თესვის დროს, ივანის დათესილი სტაფილო მესამე დღესვე ამოვიდა, ცოლისა საერთოდ — არა; ახლა ხახვზე სცადეს, ხახვიც ამოყელყელავდა.

— შენს ხელებს რაღაც მაგიური ძალა აქვს, იქნებ, ეს თრომბოფლებიტიც მომირჩინოო... ივანმა ხუმრობით აუსვდაუსვა ხელები და ოთხი სეანსის შემდეგ 18 წლის წინ შემოპარულმა სენმა უკან დაიხია, ამას მეზობლების განკურნება მოჰყვა, ხმა გავარდა, სოფელს გასცდა და... მოსკოვამდეც მიაღწია. წაიყვანეს, შეამოწმეს, შეისწავლეს, გაიკვირვეს, იწამეს და „მიუსაჯეს“ — იცხოვრებ კრემლში და ჩადგები ამა ქვეყნის ძლიერთა სამსახურში.

ფომინს ხილვებიც აქვს, წინასწარ ხედავს მოსალოდნელ მოვლენებს, 1990 წელს ელცინის საავტომობილო კატასტროფაც იხილა და ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ რაც შეიძლება მსუბუქად გადარჩენილიყო პრეზიდენტი.

რუცკოი და კოზირევი, კორჟაკოვი და სხვანი უგდებდნენ ყურს ივან დიმიტრევიჩს. დღეს ექსტრასენსს ხშირად აწუხებს მილიცია, დაკარგულ ხალხს ეძებენ, ფოტოგრაფებს აჩეჩებენ და ისიც მიუთითებს, სად და რა მდგომარეობაში იმყოფებიან ისინი. იუგოსლავიაში ორი რუსი ჟურნალისტი უკვალოდ რომ გაქრა, მათი ბედიც ფომინმა გამოიცნო — ზუსტად მიუთითა, სად დაცხრილეს და ააფეთქეს მათი მანქანა. აი, სწორედ ეს ივან ფომინი ბრძანებს:

— ხილვები მოულოდნელად ჩნდება, ამისთვის მე არ ვემზადები, არც ის ვიცი, ძილი ჰქვია ამას თუ ღვიძილი, ის ვიცი მხოლოდ, რომ ჯერ თითქმის არაფერი შემშლია და იმასაც გეტყვით — დუდაევი არ დაღუპულა, იგი თურქეთში იმალება, ვხედავ კიდევაც, რომელიღაც მწვანეში ჩაფლული ქალაქის გარეუბანში. რამდენიმე ხნის შემდეგ „მკვდრეთით აღსდგება“.

მომავლის პროგნოზსაც გეტყვით:

არჩევნებში გაიმარჯვებს ელცინი;

ჩეჩნეთის ომი აგვისტოზე ადრე არ დასრულდება. სამამულო ომი არ იქნება. დიდი პოლიტიკური ჯახი, რომელიც უსისხლოდ ჩაივლის, ნოემბრის 20 რიცხვიდან არის მოსალოდნელი. არეულობა ოც დღეს გასტანს და მიყუჩდება. ეს ელცინის ჯანმრთელობის გაუარესებით იქნება გამოწვეული და მისი პოლიტიკური მოწინააღმდეგენი შეეცდებიან ხალხის დარწმუნებას, უარი თქვან ავადმყოფ პრეზიდენტზე. ელცინისთვის ყველაზე კრიტიკული დღეები 1997 წლის 17-19 მარტია, მოსალოდნელია ყველაზე უარესი...

პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვა ახალი პიროვნება, რომელიც მხარს არ დაუჭერს, მაგრამ მაინც გააგრძელებს ელცინის რეფორმებს.

კომსომოლსკაია პრავდა №108

## ხალი ბედის ნიშანია

უმრავლესობას ხალი, ეს ბუნებრივი ნიშანი, აღიზიანებს და, ლამის, სიმახინჯე ჰგონია. სულ სხვაგვარად აფასებენ მას სახალხო მკურნალები, წინასწარმეტყველნი და მაგები. მათ მიაჩნიათ, რომ ამ ნიშნების ადგილმდებარეობა განსაზღვრავს ადამიანის ბუნებას და ბედს.

მაშ, ასე, თუ ხალი გაქვთ:

**შუბლზე მარჯვნივ** — თქვენი ინტელექტი დიდებასა და კეთილდღეობას მოგიტანთ;

**შუბლზე მარცხნივ** — ხართ სუსტი ნებისყოფის და ექსტრავაგანტურობისკენ მიდრეკილი.

**თვალის შიდა მხარე (ცხვირისკენ)** — მშვიდი, მორიდებული და მომჭირნე ბრძანდებით;

**მარჯვენა წარბთან** — ადრეული და, შესაძლოა, ბედნიერი ქორწინება გელით;

**მარცხენა წარბთან** — უიღბლო ქორწინება;

**ყურზე** — უგუნურების ნიშანია;

**მარჯვენა ლოყაზე** — ბედნიერი ცოლქმრობა გელით;

**მარცხენა ლოყაზე** — სიძნელე, ბრძოლა გიწევთ;

**პირის სიახლოვეს** — კარგი ბუნებისა და მგრძნობიარე პიროვნება ხართ;

**ცხვირზე** — დიდი მომავალი, სექსუალურობა და მოგზაურობა დაგყვათ;

**ზედა ან ქვედა ყბაზე** — სუსტი ჯანის ნიშანია;

**ყელზე** — თქვენი ცხოვრება ცვალებადია, სიძნელე ახალგაზრდობაში, წარმატება მოწიფულობაში, გელით მდიდარი მემკვიდრეობა;

**ხელის მტევანზე** — ნიჭიერება მოგიტანთ წარმატებას;

**მხარზე** — რთული და ძნელი ცხოვრება გელით;

**მარჯვენა მკერდზე** — გექნებათ წინსვლისა და ვარდნის მონაცვლეობა;

**მარცხენა მკერდზე (მამაკაცის)** — წარმატება და ბედნიერება;

**მარცხენა მკერდზე (ქალის)** — ზეაწეული ტემპერამენტი ზოგჯერ უგუნურ ნაბიჯს გადაგადგმევინებთ.;

**მკერდის შუაში** — უზრუნველყოფილი იქნებით, მაგრამ დიდი სიმდიდრე არ გელით.

ტაინაია ვლასტ №6

## თხა თხაზე ნაკლები...

ცოლიანი მამაკაცი და მისი გათხოვილი საყვარელი ქალაქგარეთ, კოტეჯში მიეცნენ განცხრომას. ალერსგამოვლილებს მეზობლის სახლიდან მუსიკის სასიამოვნო ჰანგები შემოესმათ და ვიზიტი განიზრახეს. დაუპატიჟებლად სტუმრობა არ ყოფილა ხუმრობა, — კინაღამ გაშეშდნენ, როდესაც „სიყვარულის ბუდეში“ თავიანთი კანონიერი მეუღლეები იხილეს.

მოღალატე ცოლები ერთმანეთს დაერივნენ, ერთმანეთი რომ ითრიეს, თავშეკავებული ქმრები მხოლოდ მაშინ ჩაერივნენ და, — „ყველამ თავისას მოუაროს“ — პრინციპით, თავ-თავიანთი ცოლები ერთმანეთს დააშორეს. ამბავი იმით დასრულდა, რომ კანონიერების თვალსაზრისით დაწყვილებულმა ცოლქმრებმა იქაურობა დატოვეს.

ეს ბულგარეთში მოხდა და ამ ოჯახებმა ერთმანეთი ზაფხულში, შავი ზღვისპირა კურორტზე გაიცნეს.

პრავდა №5

## შემთხვევები, ფაქტები, მოვლენები

### №3124 ზომბი კიდევ ცოცხალია

უკრაინიდან ჩამოსულმა 42 წლის მამაკაცმა თავი ჩამოიხრჩო... ეს აღარავის უკვირს, მაგრამ თავი ჩამოიხრჩო მილიციის მანქანაში, რომელსაც კანონის დამრღვევი განყოფილებაში მიჰყავდა.

მოქალაქე არც მაშინ იქცეოდა ორდინარულად, როდესაც ღამით არაადამიანური ყვირილით ლამობდა მოსკოვის №5 საბავშვო სახლის შემტვრევას. ჩამომხრჩვალი მილიციამ მხოლოდ მაშინ აღმოაჩინა, კარები რომ გაუღეს, — მოვედითო. უცნაური თვითმკვლელობა უცნაურმა წერილმა კიდევ უფრო უცნაური გახადა: „კოსტია, ჩემს სიკვდილში ნურავის დაადანაშაულებ. მე ვარ ზომბი №3124. მე კომპიუტერებმა მომკლეს“.

ზოლოტაია სერედინა №59

**ინდოეთის კლინიკის ექიმები** შეფიქრიანდნენ, როდესაც ერთმა თანამემამულემ გააჩინა ტყუპი — თითოეული შვიდი დღის სხვაობით. გაკვირვებულ ესკულაპებს, რომლებსაც მსგავსი ამბავი ზღაპრადაც არ გაეგონათ, მელოგინემ უთხრა, ჩემი ქალ-ვაჟი სხვადასხვა მამისაა და სწორედ ერთი კვირით უნდა უსწრებდნენ ერთმანეთსო. ასეთი იყო მისი სექსუალური კალენდარიც. საბოლოოდ, ეს ვერსია ახალშობილთა სისხლის ანალიზმა დაადასტურა, თავგზააბნეულ მეცნიერებს აღარაფერი დარჩენოდათ, ქარაფშუტას სიმართლე უნდა ეღიარებინათ.

ჩასტნაია ჟიზნ №59

### რაკეტები ერთსა და იმავე დროს აფეთქდა

კოსმონავტიკის ისტორიაში ასეთი რამ არ მომხდარა. ბაიკანურის კოსმოდრომზე რაკეტა-მატარებელი „სოიუზ-უ“ აფრენიდან 49-ე წამზე აფეთქდა. ერთი თვის შემდეგ პლერეცკის კოსმოდრომზე, ზუსტად იმავე დროს, მსგავს რაკეტას კვლავ ავარია მოუვიდა. ორივე შემთხვევაში ბორტზე საკვლევ-საინფორმაციო თანამგზავრები იყო მოთავსებული. კოსმონავტების წესის თანახმად, ავარიის მიზეზის დეტალურად შეუსწავლელად მომდევნო რაკეტის გაშვება დაუშვებელია. ვერც ერთმა კომპიუტერმა, თუ მეთოდმა, ვერ დაადგინა, რატომ დაიკარგა 49-ე წამს „სოიუზ-უ“. ამ კატასტროფის შემდეგ რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მიერ მეორე რაკეტის გაშვება, გაუგებარია. საქმეს სახელმწიფო კომისია იძიებს.

იზვესტია №116

### მოზარდი სკოლას შეუჩნდა

პენზის ოლქის სოფელ ჩერნოიარში მესამეკლასელმა ბიჭუნამ ერთ ღამეს სკოლას ცეცხლი წაუკიდა. ვიდრე მეხანძრეები მოვიდოდნენ, სკოლა ფერფლად იქცა.

მესამეკლასელის შურისძიებას, თურმე, საბაბი ჰქონია — მესამედ ჩარჩენილს კიდევ მეოთხედ ტოვებდნენ იმავე კლასში. გულგაწყალებულმა ოროსანმა, მასწავლებლებს რომ ვერაფერი მოუხერხა, ჩუმად შენობა გაანადგურა.

მეგაპოლის-ექსპრესი №24

### ტრაგედია ჩინეთში

ქალაქ ტიან-ძიანის მახლობლად მდებარე ქიმიური ქარხნის აფეთქების შედეგად დაიღუპა 19 ადამიანი და ამდენივე დაიჭრა. ხელისუფლებამ არ იცის, რას ამზადებდა ეს ქარხანა. ჩინეთის ეკონომიკური გარდაქმნების ტალღაზე ბევრი პატარა ფაბრიკა და ქარხანა დაარსდა, რომლებიც ვერ იცავენ ელემენტარული უსაფრთხოების წესებს.

ნეზავისიმაია გაზეტა №117

**მაროკოს ცენტრალურ ნაწილში** კოკისპირული წვიმებისა და ქარიშხლის შემდეგ 14 ადამიანი დაიღუპა, დაინგრა ათობით სახლი, დაიკეტა საავტომობილო გზები.

### „ქუჩის“ მამა

ბირმინჰემის ერთ-ერთ ქუჩაზე აქამდე ერთმანეთისთვის უცნობი ორი ინგლისელი ახალგაზრდა დედა შვილიკოებს ასეირნებდა. რამდენჯერმე შეხვედრის შემდეგ, საბავშვო ეტლების „მძღოლებმა“ შეამჩნიეს, მათი პატარები საოცრად ჰგავდნენ ერთმანეთს. საუბარში გაირკვა, რომ ბავშვების მამა ერთის ქმარი იყო და მეორისა — საყვარელი. განრისხებული ქალები მრუშ მამას მიადგნენ, მან ქალების დასამშვიდებლად ისლა მოიფიქრა, რომ გამოტყდა, — ამ ქუჩაზე მოსეირნე, სულ ცოტა, რვა პატარა ჩემი შვილიაო...

### მოციქულ მუჰამედის მიწაზე სისხლი იღვრება

საუდის არაბეთის ქალაქ დეირანის ერთ-ერთ სახლში, სადაც აშშ-ის სამხედრო სპეციალისტები ცხოვრობდნენ, აფეთქება მოხდა. წინასწარი მონაცემებით, დაიღუპა 25 ამერიკელი, 105 მძიმედ დაიჭრა, 200 მსუბუქად.



...შენობას მიუახლოვდა ბენზინმზიდი, ორნი გადმოხტნენ და მიიმალნენ, მაშინვე გაისმა აფეთქების ხმა. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ მანქანაზე რამდენიმე ასეული კგ ასაფეთქებელი ნივთიერება იყო. ამ სახლში ფრანგები და ინგლისელებიც ცხოვრობენ, მაგრამ ბენზინმზიდი სწორედ „ამერიკულ კორპუსთან“ გაჩერდა.

გამომძიებლები განცვიფრებულნი არიან, ტერორისტებმა რომ იოლად შეაღწიეს ტერიტორიაზე, თუმცა, ისლამისტები კარგა ხანია, ემუქრებოდნენ ამერიკელ დიპლომატებს და სამხედროებს.

ვაშინგტონის რეაქცია დაუყოვნებელი იყო. პრეზიდენტ ქლინთონის ბრძანებით დეირანში გაფრინდა ფბრ-ის სპეცდანაყოფი, რომელიც გამოძიებაში მიიღებს მონაწილეობას. ტერაქტის ადგილზე სახელმწიფო მდივანი უორენ ქრისტოფერიც ჩავა.

ნეზავისიმაია გაზეტა №115

**ოდესის** ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში აფეთქების შედეგად დაიღუპა 2, დაიჭრა 3 ადამიანი. გამოძიებით დადგინდა, რომ ამ ხუთსართულიანი სახლის ერთ-ერთ ბინაში ინახებოდა ბენზინი, ელექტროქსელში მოკლე ჩართვამ გამოიწვია აფეთქება, რასაც მოჰყვა ხანძარი.

**ნიგერიის** ქალაქ ჯოსის მახლობლად კერძო თვითმფრინავის ავარიის შედეგად 19 ადამიანი დაიღუპა. დაჯდომისას კერძო თვითმფრინავი რეტლანსლაციურ ანტენას დაეჯახა დ მიწას დაასკდა. მგზავრთა შორის იმყოფებოდა კანოს შტატის სამხედრო ადმინისტრატორი.

**მაისის დამლევს,** კალინინის ახლოს, ზღვაში 150 ტ მაზუთი მოხვდა. ძალიან დაბინძურდა სანაპირო. წინასწარი მონაცემებით, ეკოლოგიური კატასტროფის შედეგად მიღებულმა ზარალმა 600 მლნ რუბლი შეადგინა. ბალტიის ზღვის სანაპიროს აღდგენა-გასუფთავებას 2 მლრდ რუბლი დასჭირდება. ზოგან დაბინძურებამ 1კვ.მ.-ზე 1 კგ მაზუთს მიაღწია. კალინინგრადის ბუნების დაცვის კომიტეტის მონაცემებით, ზღვის სანაპიროს დაბინძურების მიზეზი, შესაძლოა, იყო ლიტვის 4 ტანკერი, რომლებიც იმ ხანებში კლაიპედადან ჰოლანდიისაკენ გაემართნენ. ინცინდენტის გამოსაძიებლად მასალები გადაეცა ბალტიის ზღვაზე საგანგებო შემთხვევათა გამოძიების საერთაშორისო კომისიას.

სეგოდნია №104

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მუსიკის გიგანტი სხვა გიგანტებზე

იგი საუბრობს მთელი თავისი მოქნილი სხეულით, მიმიკით, ბოლომდე გახსნილი ღიმილით, საოცრად გამომხატველი სახით. შეეცადეთ, წარმოიდგინოთ დიდი პროფესიონალი, რომელიც პირადულის გამოაშკარავებას არასოდეს ცდილა, მაგრამ თავისი დამოკიდებულება აქვს ყველასთან და ყველაფერთან, ეს პოპულარული *Rolling stones*-ის ლეგენდარული მიკი ჯაგერია, რომლისთვისაც დღესავით ნათელია — არ შეიძლება იყო შურიანი და ლიდერი ერთდროულად.



მიკი ჯაგერს, სხვა უამრავთან ერთად, ვეკითხებით აზრს. მუსიკის გიგანტებზე:

*— როგორი ურთიერთობა გქონდათ Stones-სა და Beatles-ებს?*

— სუპერმეტოქეობრივი, მაგრამ მეგობრული. ახლა, უკან რომ ვიხედები, მძაგს ეს მოცილეობა, მაგრამ მიმაჩნია, რომ ნორმალურია, ასე ხდება სხვა ჯგუფებთანაც, მაგრამ *Beatles*-ს განსაკუთრებით აქტიურად ვუპირისპირდებოდით. *Beatles*-ები ისეთი გიგანტები იყვნენ, რომ შემდეგ მოსულები, ვინც მათ არ შესწრებია, ვერ შეიცნობენ მათ სიდიადეს. ასეთი კონკურენცია დღეს აღარ არსებობს, თუ მაიქლ ჯექსონს არ ჩავთვლით, მაგრამ ეს მაინც სხვა დონეა. ისინი შეუდარებლები იყვნენ, ვგულისხმობ გასტროლებს, ფირფიტების დიდ რაოდენობას. *Beatles*-ები მუსიკალური მოვლენა იყო. მათ გვერდით ჯგუფ №2-ად ვრჩებოდით.

*— როგორი დამოკიდებულება გქონდათ ჯონთან?*

— ჯერ დავიწყოთ იმით, რომ იგი ძალიან მომწონდა. ჩვენ ყველას კარგი ურთიერთობა გვქონდა ჯონთან, ისიც, მგონი, სიმპათიით იყო განწყობილი ჩვენი მუსიკის სტილისადმი, ხშირად ერთად გვიწევდა გამოსვლა. პროფესიული ამბები მეგობრობის სფეროს მიღმაა. როდესაც ჯონი *Beatles*-ებიდან წავიდა, რაღაც იდეები მიითვისა, მაგრამ არ ვამბობ, რომ მარტო ჯონი ჩადიოდა ამას, ან მარტო მე ვიყავი მისი იდეების წყარო, იგი განათლებული, ჭკვიანი, ცინიკური, ამყოლი, შესანიშნავი კომპანიონი იყო. *Beatles*-ს სიცილ-ხუმრობით ლიდერობდა, თუ რომელიმეს თავში აუვარდებოდა და ტრაბახს იწყებდა, ჯონი ამბობდა, აპატიეთ, ვერ მიეჩვია პოპულარობასო.

მე პოლთანაც კარგი ურთიერთობა მქონდა. გაცილებით ადვილად ვეგუებოდი, მასთან სიმძაფრე გამორიცხულია. ჯონთან ყოველთვის აკრეფილი უნდა ყოფილიყავი. მისი სარკასტული შენიშვნების პასუხი მზად უნდა გქონოდა, ამის გუნებაზე კი ხშირად იყო. ამ დუეტმა უამრავი შესანიშნავი რამ შექმნა, მათი პარტნიორობა პირველ-მეორეობას გამორიცხავდა, მაგრამ მე, ჩემი ღრმა რწმენით, მაინც მიმაჩნია — ჯონი მიუღწეველი იყო.

*— რას ფიქრობდი, როცა ესროლეს?*

— იყო სევდა და გაოცება, მწარე ირონია. ჯონი ფიქრობდა, რომ იპოვა თავისი ადგილი, სადაც საკუთარი ცხოვრებით იცხოვრებდა, თავის იდეებს განახორციელებდა, იგი ხომ *Beatles*-ებიდან წამოვიდა, მარტო თავის თავს ეკუთვნოდა, დაცვაც კი დაითხოვა, უნდოდა თავისუფლება, ჯონ ლენონად ცხოვრება უნდოდა.

მე, უბრალოდ, დიდი დარდი მეწვია, ვიცოდი, რომ ახლობელი დავკარგე, ნეკროლოგები და გამოსათხოვარი წერილები არ დამიწერია, მაგრამ სულ მახსოვს, — ამ დღეს მოკლეს ჯონ ლენონი.

*— თინა თერნერზე რა აზრის ხართ?*

— მან საოცარი გავლენა მოახდინა ჩემზე. თერნერი პირველი ქალია, რომელიც სცენაზე ჩემსავით აგრესიულია. მომღერალ ქალთა უმრავლესობა საკმაოდ სტატიკურნი არიან, ან იყვნენ, ყოველ შემთხვევაში. ახლანდელები ცდილობენ, მაგრამ თინასგან შორს არიან.

*— ჰენდრიქსი?*

— ჯიმი ჰენდრიქსი იმ მომენტიდანვე მიყვარს, როგორც კი ვნახე. მაშინვე ვიფიქრე, ეს რაღაც ფანტასტიკაა-მეთქი, ახალმოქცეულივით ვგრძნობდი თავს, მას ხმა არ ჰქონდა განსაკუთრებული, მაგრამ მისი გიტარა ფარავდა ყველაფერს, ეს იყო ბლუზ-მსახიობისა და როკ-შემსრულებლის კლასიკური შერწყმა.

*— როგორ აღიქვამ პრინცს?*

— პრინცი ბრწყინვალე არტისტია. მან დაამსხვრია მუსიკალური პროტოტიპები, მიაგნო და გამოიგონა ახალი სტილი, ძალზე ნაყოფიერიცაა, ზოგი დაწერს ერთ-ორ სიმღერას და შემდეგ თავის თავს ამღერებს, მეორდება. პრინცი ტალანტია, შესანიშნავი შოუც აქვს და ამაში ყველას გაუსწრო. მე მას სიის თავში მოვათავსებდი და კონკურენტებსაც ნაკლებად ვხედავ.

*—როგორ იქნება Rolling stones—ი მომავალში?*

— ეს გამოცანაა. ვერ გეტყვით, ყველაფერი ხდება, ცხოვრება ცვალებადია. არაფერს ვგეგმავთ, მაგრამ გავბედავ და ვიწინასწარმეტყველებ, — *Rolling stones*—ი კიდევ იმღერებს ერთად, ჩვენ შესანიშნავი ისტორია და მყარი ტრადიციები გვაქვს.

*იბეჭდება შემოკლებით*

ფლეიბოი №7

# ქალთა გულისმპყრობელი

ადრიანო ჩელენტანო ჟურნალ „ფოკუსს“ აზრს უზიარებს ქალების, ჰომოსექსუალიზმისა და ქორწინების შესახებ.

*— სათაური, — „მამაკაცები მოდიან“, ზედგამოჭრილია ისეთი მაჩოტიპისთვის, როგორიცაა ჩელენტანო.*

— მაჩო არა ვარ, ყოველ შემთხვევაში, შინ მე იტალიელი ვარ, ვუმღერ სიყვარულს, ქალისა და კაცის ურთიერთობებს, იმ ამბებს, რაც მრავალგზის გადამხდენია.

*— ბევრი ქალის გული დაგიპყრიათ?*

— საკმაოდ.

*— ეტყობა, თქვენი მეუღლე, მსახიობი კლაუდია მორი, ტყუილად არ ეჭვიანობს.*

— ჩვენ ნამდვილი იტალიელი ცოლ-ქმარი ვართ.

*—თქვენს სახლში ორნელა მუტის სახელის ხსენება თუ შეიძლება?*

— აღფრთოვანებას იწვევს-მეთქი, ვერ ვიტყვი.

*— რა გხიბლავთ ქალებისა?*

— თვალები, ფეხები და ჩვენთან თამაში. ჯერ გვაღელვებენ, მერე კი, როცა ჩვენგან ყველაფერს მიიღებენ, ხელიდან გვისხლტებიან.

*— ქალსა და მამაკაცს შორის ბიოლოგიურის გარდა, სხვა არსებითი განსხვავება თუ არის?*

— ქალები ძალიან ცნობისმოყვარენი არიან. გაუთავებელი შეკითხვებით მამაკაცებს ტვინს გვიბურღავენ და გულს გვიწვრილებენ. თანაც დაცინვა და ყველაფერში ცხვირის ჩაყოფა უყვართ. დარწმუნებული ვარ, რომ ბევრი ომი ქალის გამო დაიწყო. მამაკაცებმა კი ამის გამო პასუხი უნდა ვაგოთ. ქალები ამას ჩვენზე საბატონოდ ჩადიან.

*— ამბობენ, ჰომოსექსუალისტებს ვერ იტანსო.*

— უბრალოდ, მათი არ მესმის. ეს ხომ ადამიანის ღირსებას შეურაცხყოფს, თანაც არაბუნებრივია. შარვლიან ქალსაც ვერ ვეგუები.

*— ძველმოდური შეხედულებისა ბრძანებულხართ. სიბერის მოკაკუნებამ რაიმე პრობლემა ხომ არ გაგიჩინათ?*

— 15 წლის წინ თითოეულ ჩამოვარდნილ თმის ღერს მივტიროდი. ვიცოდი, ეს დასასრულის დასაწყისი იყო. საშინელებაა სიბერე.

*— თქვენი პოპულარობა უფრო კარგად რატომ არ გამოიყენეთ?*

— 70-იან წლებში ჰოლივუდის ბევრ ფილმში ვიყავი მიწვეული, მაგრამ, რაც უფრო ახლოვდებოდა გამგზავრების დღე, მით მეტად მთრგუნავდა შიში. ფრენის ისე მეშინია, რომ კონტრაქტს ვარღვევდი ხოლმე. ის კი არა, ლიფტშიც და გვირაბშიც ცივი ოფლი მასხამს.

*— მეგონა, იტალიელებს მხოლოდ მაფიის ეშინიათ-მეთქი?*

— ერთ ტელეშოუში აბორტებისა და სელაპების ხოცვის წინააღმდეგ გამოვედი და აფეთქება დამიპირეს. მას შემდეგ კონფლიქტებს ვერიდები, რაღა თქმა უნდა, გარდა სასიყვარულოსი.

ფოკუსი №22

# დევიდ ბოუიმ გვარიანად იხმაურა

„არ შემაწუხოთ“, — ასეთი განცხადება მუდმივად ეკიდა მოსკოვში, დევიდ ბოუის საპრეზიდენტო („პალას-ოტელში“) ნომრის კარზე. იგი არ ჩასულა არც ბარში და არც რესტორანში, საჭმელს ნომერში მიირთმევდა, ერთხელაც არ დაუტოვებია სასტუმრო რაიმეს დასათვალიერებლად, არც ვინმეს ნახვის სურვილი გასჩენია და მის პატივსაცემად გამართულ ვახშამზე ხომ სულ ხელები გაასავსავა, რითაც ძალიან გაანაწყენა მოსკოვის პოპ-ბოჰემა.

მჭახე განათება, პროჟექტორები, რომლებიც მაყურებელს მთელი კონცერტის განმავლობაში თვალმოჭუტულს ამყოფებდა, სცენის მეწამული განათება შეესაბამებოდა აგრესიულ, ერთფეროვან მუსიკას, რომელსაც ინგლისელი როკ-ვარსკვლავი კრემლის სასახლეში ასრულებდა. პრესასთან გამართულ ხანმოკლე შეხვედრაზე მან თქვა, რომ მისი ბოლო ალბომი „OUTSIDE“ მასობრივ მსმენელს და არა „მუსიკალურ უმცირესობას, ე.ი. აუდიტორიის დახვეწილ ნაწილს ეძღვნება“. საერთოდ, ბატონ ბოუის, მისივე თქმით, უკანასკნელ ხანს ძალიან იტაცებს ხელოვნების ეგზოტიკური დარგები — მაგალითად, სულით დაავადებულ მხატვართა შემოქმედება. მეტისმეტად ხმაურიანმა კონცერტმა ვერ დატოვა ის განწყობა, რომელსაც მისი თაყვანისმცემლები ელოდნენ.



ტრუდი №109

# წყნარ და იდუმალ ბაღნარში

კატრინ დენიოვი უკვე ხუთი წელია, დაჩოქილი მემუდარება, უარის თქმა ვერ შევძელი; საძრახისს ნურაფერს დაინახავთ და რეპუტაციას ნუ შეულახავთ, აქ ლაპარაკია ჩემი ბიბლიოთეკიდან ორი ტომის თხოვებაზე, რომლებსაც ვერასდიდებით ვერ მოიძიებთ მაღაზიებში. მსახიობმა წიგნები ორი დღის შემდეგ დამიბრუნა, თან ბარათიც მოაყოლა, — „დიდად გმადლობთ, კატრინ დენიოვი“. მადლიერების ასეთმა მკაცრმა ბანალურობამ აღმაფრთოვანა და მაშინ მივხვდი, რომ ძალზე ცუდად, თითქმის არ ვიცნობდი ჩვენს ეროვნულ კინოვარსვლავს. უცოდინრობის შესავსებად ჩემი სამაგიდო ბიბლია, „Who s who“ გადავფურცლე და წავიკითხე ძუნწი, სტენდალს რომ შეშურდებოდა, ისეთი ლაკონიზმით დაწერილი: „კატრინ დენიოვი (ნამვილი გვარი დორლეაკი), დრამატული მსახიობი, დაიბადა 1943 წ. 22 ოქტომბერს, პარიზში. იგი დრამატული მსახიობის — მორის დორლეაკის და რენე დორნიოს ქალიშვილია. გაეყარა ქმარს, დევიდ ბეილს, მოდურ ფოტოგრაფს. ჰყავს ორი შვილი: ქრისტიან ვადიმი, კინორეჟისორ როჟე ვადიმისგან და კიარა-შარლოტა მასტროიანი — მსახიობ მარჩელო მასტროიანისგან. დაამთავრა პარიზის ლიცეუმი „ლა ფონტეონი“. მისი დებიუტი შედგა ფილმით „კნუტები“ (1959), ამას მოჰყვა ფილმი „მამაკაცი ქალების თანხლებით“ (1960) და „პარიზელი ქალები“. აგროვებს სამშვენისების კოლექციას. კატრინს ადრე მოაკლდა ახლობლების მზრუნველობა, ითამაშა 50-ზე მეტ ფილმში... და დასახელებულია: „შერბურის ქოლგები“, „უკანასკნელი მეტრო“, „ველური“, „ინდოჩინეთი“, „მსხვერპლი“, „ტრისტანი“ და სხვ.

ახლა იმას დავამატებ, რაც ცნობარში აღარ წერია: იღებდნენ ყველაზე დიდი რეჟისორები, ვისკონტის გარდა, რაც ძალიან საწყენია. წარმოვიდგინოთ, რა სახეს შექმნიდა ვისკონტის მიერ დახვეწილი დენიოვი. თუ კატრინს შეეკითხებით, მაინც რატომ არ გადაიღო ვისკონტიმ, იგი დუმილით აიწურავს მხრებს და ეს მისი თავდაცვის ყველაზე საყვარელი პოზაა. იგი ისეთივე დახვეწილობით დუმს, თითქოს მარაოს ხმარობდეს, ან დიდებული მანერით ფეხს ფეხზე იდებდეს. იშვიათად დგება ალსარებისა და მონოლოგის გუნებაზე, მაგრამ რამდენიმეს მაინც გაგიზიარებთ:

„რა თქმა უნდა, როგორც ყველა ქალს, მეც მეშინია სიბერის. შეიძლება, სხვებზე მეტადაც. მსახიობისთვის ერთი ზედმეტი ნაოჭი რასაც ნიშნავს, ხომ იცით? ტყუილი იქნება, საპირისპიროს მტკიცება რომ დავიწყო“. მსახიობს უყვარს ყველაფრის გასაიდუმლოება, — „მიყვარს, როდესაც ჩემს შესახებ მარტო მე ვიცი. საკუთარი, პირადული პირადულადვე უნდა დარჩეს. ხდება ხოლმე, რომელიმე ინტერვიუში რაიმე წამომცდება და თითქმის ყოველთვის მინანია“.

რატომ ინილბება „დღის ეს ლამაზმანი“? იმიტომ, რომ ჩვენი ეროვნული კინოვარსკვლავი გაურბის პირობითობებს, არ ემორჩილება მათ.

კინემატოგრაფიულ ჰორიზონტზე იგი ხელისგულივით მოჩანს, მაგრამ სულ შეუმჩნეველია, როდესაც საუბრობენ მასზე, როგორც ჩვეულებრივ ქალზე, დედაზე, საყვარელზე. შვილებმა დიდი ხანია, დედის კალთა მიატოვეს, დამოუკიდებელ ცხოვრებას ეწევიან, არც მათ დედაშვილობაზე იცის ფრანგმა ბევრი, არც სასიყვარულო დუეტებია ცნობილი, მარჩელოსა და ვადიმის, პირველი დევიდ ბეილის გარდა, სხვა უცნობი მამაკაცებიც იყვნენ, მაგრამ უცნობებადვე დარჩნენ.

კატრინს უყვარს, როდესაც არავის ახედებს თავის სულიერ სამყაროში და ამის უფლებაც აქვს. მას დაგმანული აქვს დარაბები, ურდულით ჩაკეტილი კარები ყველასთვის არ იღება, მჭიდროდ შემოსაზღვრულ სამყაროში უკეთესად შეიცნობს საკუთარ თავს.

კატრინ დენიოვი, ოდისეის დროს, შესაძლოა, სირენა ან ნარცისის სიყვარულით თავდავიწყებული ნიმფა ექო ყოფილიყო. გაუჩინარების საუკეთესო ხერხია მამაკაცების მზერაში შეცურება, რასაც დიდოსტატურად ასრულებს ეს მდუმარე ქალბატონი, ხშირადაც იძირება, მაგრამ მალე პოულობს უკან მოსაბრუნებელ გზას და თავსაც უმალვე ალიდგენს ხოლმე.

მოუხელთებელი და სიტყვაძუნწი დენიოვი უკარება ჩანს და ამით ამაყობს კიდეც. მისთვის საოცნებო და მისაბაძი დიტრიხისა და გარბოს მსგავსად, უჩინარდება ხოლმე და სრულიად მოულოდნელად, კვლავ აკიაფდება და აალაპარაკებს პარიზს.

ფიგარო

1-დან - 7 ივლისამდე
კინოთეატრი
„ივერია“
(რუსთაველის მოედანი, მიწისქვეშა კომპლექსი, მეტრო „რუსთაველი“)
გიწვევთ პრემიერაზე
ეროტიკული კომედია
ორენოვანი საყვარელი
მთავარ როლში: მომხიბლავი ორნელა მუტი
სეანსების დასაწყისი: 12, 14, 16, 18 სთ.
ბილეთის ფასი 1 ლარი.



«ანტალია სერვისი»
თავისუფლების მ. 7
ცეკავშირის შენობა
VII სარ. ოთახი 721
☎ 99-96-31

მიწვევთ სამოგზაუროდ
საქვეყნოდ ცნობილ
კურორტ ანტალიაში.
თქვენს განკარგულებაშია
სამ, ოთხ და ხუთ
ვარსკვლავიანი
სასტუმროების
ფართო არჩევანი.
ჩვენ გპირდებით
საუკეთესო დასვენებას
და უმაღლეს
კომფორტს. მგზავრობა
ავტობუსით ან თვითმფრინავით

ყველაზე
იაფად

## კონონოვი ბუტირკაში ჩასახლდა

„ჩუკოტკის უფროსს“ და ისტორიის ცნობილ მასწავლებელს ნესტორ პეტროვიჩს, ყოველდღიურ ცხოვრებაში მსახიობ მიხაილ კონონოვს, ერთი ასულის სიყვარული შეეყარა, გაეყარა მისთვის ჩვეული ცხოვრების წესს და აგერ, უკვე რამდენიმე თვეა, ბუტირკაში ზის. მაგრამ ეს თქვენი ნაცნობი ბუტირკა არ გეგონოთ, სოფელია პოდმოსკოვიეში, სადაც თავი შეაფარეს მიჯნურებმა. მიხაილი თანასოფლელებისგან ალარაფრით გამოირჩევა, ნამდვილი რობინზონივით გამოიყურება. მიტოვებულ სამყაროსთან ურთიერთობა იმით ამოიწურება, რომ თვეში ერთხელ, ადგილობრივი ფოსტიდან, მიუტანენ (უკვე მერამდენედ!) ქალიშვილის დედის დეპეშას — დაბრუნდითო, — იხვეწება ქალი და შიგადაშიგ კოლეგა-მსახიობები სთხოვენ, გაიხსენოს პროფესია.

არაფერი გამოდის, — სიყვარულის ტყვეები ტყვეებადვე რჩებიან.

## 1300 კილომეტრი

მკვლევარმა — ორნიტოლოგებმა ნიშანდებული ბექედი წამოაცვეს ფეხზე ერთ თოლიას, რომელსაც ანტარქტიდაში, როსის ზღვის სანაპიროზე ჰქონდა ბუდე გაკეთებული, შემდეგ სამხრეთ პოლუსისაკენ წაიყვანეს და იქ გაუშვეს.

ათი დღის შემდეგ თოლია კვლავ თავის ბუდეში იჯდა და ბარტყებს ზრდიდა. მან 1300 კილომეტრი გაიარა ყინულოვან სივრცეში. ნეტავ, რა ალღომ გაუწია მეგზურობა? ჯერჯერობით, არც ესაა ცნობილი მეცნიერთათვის.

მოგვმართეთ ნებისმიერი კითხვით

„კვირის პალიტრა“ შეეცდება თქვენთვის საინტერესო კითხვებზე მოგაწოდოთ კომპეტენტური პირების აზრი.

36-39-54; 36-10-03

## შავგვრემანებო, ფრთხილად!

ამერიკელმა მეცნიერმა ჰ.ი. მაიბახმა ხანგრძლივი კვლევა-ძიების შემდეგ დაასკვნა, რომ კოღოს — ადამიანისა და ცხოველისათვის მეტისმეტად აბეზარ მწერად რომ ითვლება, — საკუთარი გემოვნება ჰქონია: ჯერ ერთი, თურმე, შავგვრემანები უფრო მოსწონს და მეორეც, ახალგაზრდები ურჩევნია მოხუცებს. ამის მიზეზი, ჯერჯერობით, უცნობია.

*სანტიმენტალური* ამერიკელების საყვარელმა ფილმმა „ბეიბ'მ“ საზღვარგარეთის ეკრანებსაც მიაკითხა. მის შესყიდვას მალაიზიაც აპირებს. იქაურ ჩინოვნიკებს ერთი საფიქრალი გასჩენიათ, — წავა კი ისლამის ერთგული მაყურებელი ფილმის სანახავად? მისი მთავარი მოქმედი გმირი ხომ გოჭია, მომავალი ღორი? მაგრამ ერთ-ერთის არგუმენტმა გასჭრა, — ბოლოს და ბოლოს, ჩვენს მაყურებელს ეკრანიდან ძალით ხომ ვერავინ აჭმევს ღორის ხორცსო და, ალბათ, მალაიზიაც შეიძენს ამ ფილმს.

* * *

*„ო ჯეის არ გავამდიდრებთ“,* — ასე თქვეს ამერიკელებმა და ჩაუშალეს სიმფსონს ჩანაფიქრი...

ციხიდან გამოსულმა სიმფსონმა, როდესაც სასამართლოზე მიღწეული გამარჯვებით ტკბობა განასრულა, იფიქრა, რითი შეევსო შეთხელებული ქისა, რისთვის მიეძღვნა თავი და თავისი აზრით, მიაგნო კიდეც ბიზნესს, — გამოუშვა ვიდეოკასეტა, რომელზეც მაყურებელს უამბობს თავისი ცოლისა და მისი საყვარლის მკვლელობის ვერსიას. სიმფსონის იმედებმა არ გაამართლა — კასეტები არ იყიდება. სწორედ იმის გამო, სათაურში რომ წერია და საერთოდ, ბევრს არ უყვარს ო ჯეი.

* * *

უბერებელმა თინა თერნერმა თავისი თვრამეტთვიანი მსოფლიო ტურნე პარიზში გახსნა და ორი საათი აჩუქა მელომანებს. ფრანგ თაყვანისმცემლებს ტემპერამენტიანმა ამერიკელმა კიდევ ერთი სიურპრიზი მოუმზადა — „გამხურებლის“ როლში თერნერმა ჰოლივუდის „კერკეტი კაკალი“, ბრუს უილისი წარუდგინა. თავდაპირველად, ბრუსმა თავის ჯგუფ „აქსელეითორსთან“ ერთად იმღერა რამდენიმე სიმღერა და საზოგადოება აღაფრთოვანა. ამას მოჰყვა თინასა და უილისის დუეტი, რომელსაც მაყურებელი გამოუთქმელი ინტერესით აღიქვამდა. როკის დედოფალი (ეს კი დაეჯერება) გამოტყდა, რომ განცვიფრებულია უილისის მუსიკალურობით, ვოკალით, აღიარა, ეს ჩემთვის აღმოჩენააო.

უნივერსიტეტი „იბერია“

თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი „იბერია“ აცხადებს მიღებას 1996/97 სასწავლო წლისათვის დასწრებული და დაუსწრებელი ფაკულტეტების შემდეგ სპეციალობებზე:

1. ისტორიული (დიპლომატია, პოლიტოლოგია)
2. ეკონომიკური (საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის მენეჯერი, მრეწველობის მენეჯერი, ვაჭრობის მენეჯერი)
3. იურიდიული (სამართალმცოდნეობა)

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ მიმღებ კომისიას ყოველდღე დილის 10 სთ-დან 17 სთ-მდე.

მისამართი: დავით აღმაშენებლის გამზ. №138.

უნივერსიტეტი „იბერია“

# კროსვორდი



რეკლამა „კვირის პალიტრაში“ ☎36-39-54

*თარაზულად:* 5. მდინარე საქართველოში; 6. ტანსაცმლის ნაწილი; 7. ადგილი, სადაც ისევ „დაიზრდებიან ლეკვები მგლისანი“; 8. კურორტი; 10. ვაჭარი; 14. ტექსტის ახსნა-განმარტება; 15. ლოგინის ის მხარე, სადაც მწოლიარეს თავი უდევს; 18. საყველედ რძის შესადედებელი მასალა, დვრიტა; 19. მოქანდაკე აგული ერისთავის მონაფე (ფილმი); 20. ადამიანის მიზანშეწონილი ფიზიკური ან გონებრივი მოქმედება; 21. ტაფაზე მომწვარი ლავაში; 24. ხაზინის თავკაცი; 25. გამანადგურებელი ქარი; 26. სიგრძის საზომი ძველებური ერთეული; 27. გათხოვილი ქალისადმი მიმართვა ან მისი ხსენება გერმანიაში; 28. ისტორიული ქვეყანა ახლანდელი აზერბაიჯანის ჩრდ. აღმოსავლეთ ნაწილში; 30. ახლო მანძილზე სროლისათვის განკუთვნილი საარტილერიო ჭურვი, გატენილი მრგვალი ტყვიებით; 34. პურის საჭმელად გამზადებული მაგიდა; 35. ნატოს ყოფილი გენერალური მდივანი; 36. მანქანა, რომლითაც სითხეს ან აირს იღებენ საიდანმე, ან დენიან რამეში; 37. რაიმესადმი ძლიერი მიდრეკილება; 40. სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში; 41. ბოსტნეული მცენარე; 42. რისამე გაგების შესწავლის სურვილი; 45. ყველის სახეობა; 47. ქალაქი-კურორტი ლატვიაში; 49. დასასვენებელი ადგილი ქალაქგარეთ; 50. პირი, რომელიც მიეკუთვნება არმიისა და ფლოტის მეთაურთა შემადგენლობას.

*შვეულად:* 1. ჟორჟ სიმენონის განთქმული ნაწარმოებების მთავარი გმირი; 2. ზოგი კულტურულ-საზოგადოებრივი დაწესებულების სახელწოდება; 3. ქალაქი უზბეკეთში; 4. სავაჭრო ანუ... 9. ძველი ბერძნული მითოლოგიის გმირი (ღმერთებს ცეცხლი მოსტაცა); 11. მწვანილეული მცენარე; 12. მანქანა სასოფლო-სამეურნეო და სხვა იარაღების გასაწევად; 13. მგალობელი ფრინველი; 16. ის, რაც აუცილებლად, უსათუოდ უნდა შესრულდეს; 17. ქართველი სპორტსმენი (ტანმოვარჯიშე), პედაგოგი; 22. სადგომი ცხოველებისა ან ფრინველებისათვის; 23. საშუალო სიმაღლის ხე მომჟაო-მოტკბო ნაყოფით; 29. სიტყვა, რომლითაც თანამესუფრე სადღეგრძელოს გვთავაზობს; 31. მუსლიმანური მთვარის კალენდრის მეცხრე თვე, რომლის განმავლობაშიც მორწმუნეები მარხულობენ მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე; 32. მინის თხილი; 33. ქართული გაზეთი; 38. მწერალი, რომელიც წერს სცენაზე დასადგმელ ნაწარმოებებს; 39. სიახლეს, ორიგინალურობას მოკლებული; 43. უკანონო შვილი (იმერეთში, გურიაში); 44. კინოთეატრი თბილისში; 46. მოხერხება, სიმარჯვე; 48. ავტობუსის, თვითმფრინავის და ა.შ. განვლილი გზა საწყისიდან ბოლო პუნქტამდე.

„კვირის პალიტრის“ წინა ნომერში (№25) გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

*თარაზულად:* 2. ულტიმატუმი; 6. „ზამთარი“; 7. ბერკეტი; 8. „ბორჯომი“; 10. ლეგენდა; 13. ზაქათალა; 16. ნათლია; 17. თეთნულდი; 19. ნილოსი; 20. სიონი; 22. გუდაუთა; 24. ზამბარა; 27. თებერვალი; 29. თასი; 30. ლაბირინთი; 33. მარათონი; 34. არავითარი; 37. ირისი; 38. სითბო; 41. ბარძაყი; 43. რიჩმონდი; 45. იაგუნდი; 47. იატაგანი.

*შვეულად:* 1. ბუმბერაზი; 3. ასტარტა; 4. „იზაბელა“; 5. ლასო; 9. ისარი; 11. გელათი; 12. ნაგუთნარი; 14. ქუთაისი; 15. ლენინი; 18. უნგრეთი; 21. ოაზისი; 23. თაგვი; 25. ბალადა; 26. პლაფონი; 28. ბასმაჩობა; 29. თეატრი; 31. ბრიანსკი; 32. თეთრი; 35. თაბაგარი; 36. სიზმარი; 39. გრაფიკი; 40. პა; 42. გუგული; 44. ჩოგანი; 46. ნანტი.

გვეწვიეთ ახალგახსნილ ფაცხებში

აქვე, თბილისთან ახლოს, წყნეთის გზაზე შემოგეგებებათ სიგრილე, თბილისის ხედი, გემრიელი კერძები.

ჩვენთან არც მზე იკბინება და არც ფასები.

„ბითლზების“ დაშლიდან დიდმა ხანმა განვლო, მაგრამ დიდება და აღიარება თან დაჰყვა მათ, მათ გარშემო დიდხანს იტრიალებს დრო. აგერ, ახლაც, დიდების შარავანდედში „ბითლზების“ პროდიუსერი ჯორჯ მარტინი გაეხვია. დაბადების დღესთან დაკავშირებით, მისმა უდიდებულესობამ, დედოფალმა ელისაბედმა ჯორჯს რაინდის ტიტული უბოძა.

დაიჯესტის რედაქცია პასუხს არ აგებს სხვა გაზეთიდან გადმობეჭდილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების სიზუსტეზე, პუბლიკაციათა სტილი დაცულია. რიგ შემთხვევაში, მასალა შემოკლებით იბეჭდება.

სარედაქციო კოლეგია
მისამართი: აკურის ქ. №8 ტელ. 36-39-54
გაზეთი A&B-ის დამატება
სარეგისტრაციო № 1518
„კვირის პალიტრა“ გამოდის ორშაბათობით
გაზეთი დაკაბადონდა და დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“